

619 / 2
1956

დროშა

№ 2 თებერვალი 1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ძ. შუთაისის მოსვლელთა სექციის ინიციატივით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელმა გ. გაფრინდაშვილმა, მოსვლელებმა: სპორტის ოსტატმა ალ. ნემსიწვერიძემ და გ. ყალაბეგაშვილმა 1955 წ. ბოლოს მოაწვეეს ექს-

პედიცია ქ. კიათურის მიუვალ გამოქვაბულთა „ქიპიანი“ კლდისა და „სატობის“ კომპლექსთა შესასწავლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მოსვლელებმაც.

ექსპედიციის შედეგად საინტერესო მასალა შეგროვილი ქართველი ხალხის საშუალო საუკუნეების საყოფა-

ცხოვრებო სათავსოთა და ყოფაცხოვრების თავისებურებათა შესახებ.

ფოტოზე: მოსვლელებს „ქიპიანი“ კლდის გამოქვაბულში აპყავთ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-მუშაკი გ. გაფრინდაშვილი.

ფოტო კ. ლუცენკოსი.



40869

ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე პოროქილოვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, დიდი ლენინის ერთგულ მოწაფეს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწეს — თქვენი დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავის დღეს.

ახალგაზრდობიდანვე დაადექით რა რევოლუციურ გზას, თქვენ მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება მოახმარეთ მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას მემამულეთა და კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დამსახურებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის ყველა პოსტზე თქვენ თქვენთვის ჩვეული ენერჯით ახმარდით და ახმართ მთელ თქვენს ძალებს, ცოდნასა და ცხოვრების დიდ გამოცდილებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეს.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო კლიმენტ ეფრემის-ძე, მრავალ წელს ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ შრომას ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის
მინისტრთა
საბჭო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ კ. ე. პოროქილოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების ბინიჭების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს დაცვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
მ. ტარასოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეპოვი.
მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 3 თებერვალი.

საქართველოს კომპოზიტორთა მეორე ყრილობა

ა/წ 26 იანვრიდან 6 თებერვლამდე მიმდინარეობდა საქართველოს კომპოზიტორთა მეორე ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ერევნისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების კომპოზიტორები და მუსიკის მცოდნეები.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ა. ბალანჩივაძის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენება თემაზე: „სიმფონიური, კამერული-ინსტრუმენტური და კანტატურ-ორატორიული მუსიკა“ გააკეთა მუსიკისმცოდნე მ. ხუჭუაძე.

კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის მოხსენება მიეძღვნა ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედებას.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს ქართველ კომპოზიტორთა ნაყოფიერი მუშაობა საანგარიშო პერიოდისათვის.

მათ შექმნეს დიდი და მცირე ფორმის 200-ზე მეტი ნაწარმოები — ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, ორატორიები, კანტატები და სხვ. ამ ნაწარმოებთაგან ბევრი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს.

ყრილობამ აღნიშნა, რომ ქართველ კომპოზიტორთა მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნია: ჯერ კიდევ არაა შექმნილი მაღალმხატვრული ოპერები და ბალეტები თანამედროვე თემებზე, სუსტად ვითარდება მასობრივი სიძლიერისა და ესტრადის ჟანრი, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში არა საკმარის ხდება საბჭოთა მუსიკალური კულტურის მიღწევების პოპულარიზაცია, ჯერ კიდევ სუსტია კომპოზიტორებისა და მწერლების შემოქმედებითი კონტაქტი.

ყრილობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კომპოზიტორთა შემოქმედებითი მუშაობის გასაძლიერებლად.

ყრილობის დღეებში გაიმართა სიმფონიური და კამერული მუსიკის სპეციალური კონცერტები. ამ კონცერტებზე შესრულებული იქნა ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს კომპოზიტორებმა შექმნეს პირველი ყრილობის შემდეგ.

ყრილობამ აირჩია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ახალი გამგეობა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა მეორე ყრილობის დელეგატები.

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის ახლად არჩეულმა გამგეობის პირველმა პლენუმმა აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი, შ. მშველიძე, ა. ბუკია, ს. ცინცაძე, ვ. დონაძე.

გამგეობის პრეზიდიუმის პირველ მდივნად არჩეულია ა. ბალანჩივაძე, მდივნებად — ა. მაჭავარიანი და ო. თაქთაქიშვილი.





მ ი წ ა, ფოლადი, ბინების კონსტრუქცია ადამიანი...

კლიზარ უბილაკა.

კლადიერი თორლაუ

ფოტო ვლ. ბინგუზურბისა

ლომინიევილის ამ სიტყვებმა გაოცებაც გამოიწვია მასში და გამხნეებაც. თვით ეს სამგორის ველიც არც ისე დიდი ხნის წინათ ყამირი იყო მისთვის, დღეს ადამიანის ხელით დამორჩილებული და სიცოცხლედაშევიდრებული.

— მზად ვარ, ამხანაგო ისიდორე, გავამართლებ ამ ღირსებას.

და მირონი თავის მეზობელ კომბაინერებთან. გიორგი გაბათაშვილთან, შოთა ჩიტრეკაშვილთან და აგნოზ მიგრიულთან ერთად ეშელონით გაუდგენენ გზას მოძვე ყაზახეთის ველებისაკენ. იქაც, როგორც სამგორში, თავი ისახელეს ამ შრომისმოყვარე ქართველმა მექანიზატორებმა.

დაბრუნდნენ ისინი უფრო გამხნეებულნი, გამოცდილებით გამდიდრებულნი და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი.


მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს, არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს — სულ ათიოდე წლისაა. მის ადამიანებს კი უფრო მეტი ხნის გამოცდილება აქვთ. მირონ ფარსმანაშვილმა, მაგალითად, ამ ოცი წლის წინათ შეატყურა თავისი მინდვრის ხომალდი კახეთის ბარაქიან პურის ყანებში. მას შემდეგ ეძიო იგი ადამიანის შრომის შემამსუბუქებელ ამ ჭკვიან მანქანას.

ოთხიოდე წლით მოაცდინა წყევულმა ომმა თავის მშობლიურ მინდვრებს, ჩამოაშორა კომბაინს და სამკალს, მაგრამ იქ—სტალინგრადთან თუ ბობრუისკთან, ვიტებსკთან თუ მინსკთან დაზვის ტყვიამტრქვევით ისევე თიბავდა მოსულ ფაშისტ მტრებს, როგორც მისი მშვიდობიანი კომბაინი აქ, მწიფე ხორბლის თავთავებს.

დაბრუნდა ომგადახდილი ვაჟაკი. მიაშურა თავის კომბაინს, რომელსაც მისი აქ არყოფნის დროს მართავდა ზურგში დარჩენილი თანასოფლელების იმედიანი ხელი, და მშვიდობიან შრომას მოწყურებული გაიჭრა ბარაქიან პურის ველზე.

წამოზრდილა, მკლავსა და მუხლებში ძალა ჩასდგომია, სწავლასა და საკოლმეურნეო შრომას დაუგაჟაკებია მისი პატარა გურამი. როგორც არწივი წვრთნის თავის ბარტყს, ასევე შეასწავლა შვილს მირონმა თავისი პროფესია. და შარშან, როცა ვოლგისპირეთის მოწოლილ უხვ მოსავალს ადგილობრივი ძალები ვერ ერეოდნენ, თავისი კომბაინით მირონმა მიაშურა ომგადახდილ, დღეს მშვიდობიან შრომის ფერხულში ჩაბმულ ვოლგისპირეთს და თან მეშ-

მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საერთო ხედი.



მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიერ შეკეთებული ტრაქტორები მზად არიან მინდვრებში გასახვლელად.

მ არტყოფელ პატარა ნიკოს ვერც კი წარმოედგინა იმ ბუნების გარდაქმნა, რომელიც მის ზაფხულობას გარს ერტყა. ეს ბუნება მკაცრი იყო ზაფხულში მცხუნვარე, მწველი მზით, ხრიოკი ველ-მინდვრებით, უნაყოფო ზეგნებით, ზამთარში კი თოვლითა და ქარბუქით. პაპიდან თუ მამიდან ამ მკაცრი ბუნებისადმი უმადურობა და ჩივილიდა ესმოდა და ახსოვდა მას. წყურთა მარტყოფს წყალი. სამგორის მიწა — ხმელი და ხრიოკი, ნამის, წვიმის მონატრული იყო. თესდა გლეხი და გულს შიგ ხნულში ატანდა თითქოს ამ თესლს, ეშინოდა — ვაითუ ეს თესლიც დავკარგო წვიმასა და წყალს მონატრებულ ამ ნახანავში.

არც ისე შორეულ წარსულს ეკუთვნის გლეხის ასეთი შიში. თვით საკოლმეურნეო მარტყოფსაც უმძიმდა მწირ მიწასთან შებრძოლება, თუმცა მექა-

თავისი ზონის კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს მანქანა-ტრაქტორთა სადგური. დროზე ჩაატარეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნა.

აკრონომი მ. ბაბალაშვილი (მარცხნივ) და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ი. ლომინიევილი ამოწმებენ ხვნის ხარისხს.



ნიზაცია უკვე დამკვიდრებული იყო ამ ვრცელ ველ-მინდვრებზე. მაგრამ მექანიზაცია ვერას აწყობდა მკაცრ ბუნებასთან — სიცოცხლის პირველი წყარო ამ მინდვრებზე წყალი უნდა ყოფილიყო, ხოლო ეს წყალი სამგორს არ ჰქონდა. საჩრდილობელი ხე რა იყო, ისიც ენატრებოდათ გულგამომშრალ მიწას და მის მფლობელ ადამიანებს.

ბედნიერა ჩვენი თაობა, რომ მის თვალწინ მოხდა ბუნების ეს საოცარი გარდაქმნა, მის თვალწინ შემოიჭრა სამგორის თვალუწვდენ ველზე იგრის მადლიანი წყალი, მის თვალწინ გაჩნდა თბილისის ზღვა და მკვდარ მიწაზე სიცოცხლე დაამკვიდრა. ამ დიდმა პროცესმა ბუნების გარდაქმნისამ მარტყოფელი ნიკოს თვალწინ ჩაიარა. სჯეროდა ნიკოს, რომ თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო, რომ პარტია, ხალხი თავის ნებაზე არ მიუშვებდა ასე ვრცელ მინდორს არ დატოვებდა უსარგებლოდ. სწორედ ამ რწმენამ უბიძგა მას მიეღო უმადლესი საინჟინრო განათლება, მექანიზაციის სპეციალობა, რომ განახლებულ სამგორში დაბრუნებულს უწინდელი მწირი მიწის აყვავებისათვის მოეხმარნა თავისი ცოდნა და სპეციალობა.

დამახსახიბებელია, რომ მარტყოფელი გლეხის ბიჭი, დღეს ინჟინერ-მექანიზატორი ნიკოლოზ კანდელაკი მარტყოფისავე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მთავარი ინჟინერია.


განა იგივე რწმენა არ უბიძგებდა მირონ ფარსმანაშვილს, აგრეთვე, მარტყოფელი ღარიბი გლეხის შვილს, წყალსა და ხის ჩრდილს მოწყურებულ ბიჭს, დაუფლებოდა მექანიზატორის საპატიო პროფესიას და რესპუბლიკის მოწინავე კომბაინერთა რიგებში ჩამდგარიყო?

როდესაც მტის-ის დირექტორმა ისიდორე ლომინიევილმა იხმო მირონი და ჰკითხა — ხარ თუ არა მზად შენი კომბაინით შორს წასასვლელად, მან არწივისებური თვალები მიმოავლო საკოლმეურნეო მარტყოფისა და ნორიოს ვრცელ მინდვრებს და უპასუხა:

— ყველაზე შორეული ნათესი მომკილი მაქვს. სადაც საჭირო იქნება...

მირონი ვერც მოიფიქრებდა იმაზე შორს წასვლას თავისი კომბაინით, საიდანაც იგი ეს-ეს არის დაბრუნებულიყო — უღევარის მინდვრებიდან.

— ყაზახეთში, მირონ, ყამირი მიწის პირველი პურის მოსამკლად...



მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოში. სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირი ა. ნიკოლაიშვილი (მარცხნივ) და ამწყობი ა. ხულაშვილი არემონტებენ ტრაქტორის ძრავს.

ტურვალედ თავისი გურამი გაიყოლა. ვოლგისპირეთიდან მამა-შვილი ურალის პურის ყანებში გადავიდნენ.

გარეკახეთის მინდვრები, ყაზახეთი და ვოლგისპირეთი, ურალი და კვლავ მარტყოფი!..

კომბაინერ ფარსმანაშვილს თავისი კომბაინით ამ შორეულ მინდვრებში იგივე ვადი გრძნობა ეძახის, რომელმაც იგი სამამულო ომის ფრონტისკენ იხმო. ეს გრძნობა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობაა. რით ისახელა მან თავი ყველგან, სადაც კი იხმეს? — ომში გულადობით და შრომაში — სიმამაცით და გამოცდილებით. ვინ დაუდგება წინ გამოცდილ კომბაინერს მკაში? შარშან ხომ მან მარტყოფის მტს-ის ზონის კოლმეურნეობების პურის ყანებში თვრამეტ კალენდარულ დღეში მომკო ექვსასზე მეტი პექტარი!

მაგრამ, რას მომკის კომბაინი, თუ სამკალს საფუძველს არ ჩაუყრის კომბაინის უფროსი ძმა ტრაქტორი. აი, თუნდაც ახლა, ზამთრის ამ სუსხიან, მაგრამ ცხარე დღეებში, მძრალად რომ გადაუხნაუთ მარტყოფისა და ნორიოს ეს თვალწვიდენელი საკოლმეურნეო მინდვრები და ახლა საგაზაფხულო თესვას რომ შესდგომიან, განა საძირკველს არ უყრიან თავთავებით დამძიმებულ უხვ მოსავალს, რომელიც კომბაინებმა უნდა აიღონ?

დღეღამე ტრაქტორების უწყვეტი გუგუნე იმის სამგორის ველზე. ამ გუგუნს ბანს ეუბნება რკინაბეტონის არტახებში მომწყველი ივრის წყლის შხული, ივრისა, რომელიც სიცოცხლის დამამკვიდრებლად მოვლინებია ამ მიწას. და გუშინდელი



სამგორისათვის უჩვეულო ზმური სიცოცხლის მაჯისცემისა იჭრება ახალჩაყრილ ვენახში, ხეხილის ახალ ბაღებში...

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სამგორში!..

განა ყოველივე ეს, ახალი სამგორის ეს მოჭარბებული მაჯისცემა, ძალას და სიმბნევს არ მატებს ტრაქტორისტებს ანტონ ბერიძისვილს, ალექსი ნიკოლაიშვილს, ილარიონ მამუკაშვილს, ნიკოლოზ აბრამიშვილს? ტრაქტორებსა და მის ადამიანებზეა დამოკიდებული წარმატების მოპოვება ადრეულ ხენასა და საგაზაფხულო თესვაში, მძრალად ხენასა და ნაწვერალის აოშვაში, ანუელის კულტივაციასა და კვადრატულ-ბუდობრივად თესვაში, ტრაქტორი, ტრაქტორისტი დიდი მოსავლას საძირკველის ჩამყრელია.

ივრის წყალთან ერთად მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა დააყენა აყვავების გზაზე მარტყოფისა და ნორიოს ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. ივრის წყალს, ტრაქტორსა და კომბაინს უმადლის მარტყოფელი გლეხი ოცდარვა ცენტნერ სიმინდს პექტარზე, ათას აქსილოგრამ რძეს თვითეულ საფურავე ძროხაზე, ზობლისა და მზესუმზირის მაღალ მოსავალს, ჩალისა და ბზის, თივისა და სილოსის სიუხვეს მეცხოველეობისათვის. ძროხის, ღორის, ცხვრის, ფრინველების მომრავლებას, შეძლებული ცხოვრების დამკვიდრებას.

პარტიასა და მთავრობას უმადლის იგი ესოდენ კეთილდღეობას. პარტიას, მისი ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის ბლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას უნდა ვუმაღლოდეთ სოფლის მეურნეობაში მომხდარ ძვრებს.

მარტყოფისა და ნორიოს საკოლმეურნეო მიწასთან ჭიდილში იღლებიან ფოლადის მანქანები. ადამიანი მიწას და ფოლადს აჭიდებს ადამიანისავე კეთილდღეობისათვის. ამ ჭიდილში ცვდება, ზიანდება მანქანების ზოგიერთი ნაწილი, ზოგჯერ თვით კომბაინი თუ ტრაქტორი გამოდის მწყობრიდან, მაგრამ აქ მამველ ძალად, როგორც მკურნალი ავადმყოფი მანქანებისა, დგას მტს-ის კეთილმოწყობილი შემკეთებელი სახელოსნო მისი ბეჯითი და საქმის მცოდნე ადამიანებით.

ახლა დაძაბული შრომის ცხარე დღეებია შემკეთებელ სახელოსნოში. ყველა საამქრო — იქნება ის სამჭედლო, საზეინლო, სახარატო, ავადმყოფი მანქანა-იარაღების გაჯანსაღებისა და გამოცდის სამსახურში დგას. აქ მტკიცედ დამკვიდრდა ტრაქტორების კვანძურად შეკეთების მოწინავე მეთოდი. გამოყოფილია ოცდაშვიდი სამუშაო ადგილი, რომლებსაც ემსახურებიან მჭედლები და ზეინკლები, ხარატები და მღარაგები, ტექნიკოსები და ინჟინრები.

პარტიის მეოცე ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელებს მტს-ის ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მექანიზატორებმა. მათ ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთების გეგმა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს კომბაინების საბრძოლო მზადყოფნას პირველი მაისისათვის.

სწორედ ამ სახელოსნოდან, რომელსაც დაარსების დღიდან სათავეში უდგას მოწინავე ინჟინერ-მექანიზატორი ნიკოლოზ ქებულაძე, გამოვლენ და მალე მწყობრში ჩადგებიან სხვადასხვა მარკის ტრაქტორები, კომბაინები, სატრაქტორო გუთნები, სათესები, კულტივატორები, საოშავი, სათიბი და ზეინის დამდგმელი მანქანები, კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი სარგავები, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი სათესები, სილოსსაჭრელები, სილოსის კომბაინები...

მალე სამგორის ველზე შემოიჭრება გაზაფ-



კომბაინერმა ა. რაზმაძემ ვადაზე ადრე შეაკეთა თავისი კომბაინი.

ხულის მაცოცხლებელი სიო და მარტყოფის მტს-ის მთელი საბრძოლო ტექნიკა დაიძრება ნაჩვევი ბრძოლის ადგილებისკენ, სადაც მათ ფოლადის მბრძანებელ ადამიანებთან ერთად სახელოვნად დაავიჯინენს გასული სამეურნეო წელი.

მარტყოფის მტს-ის ადამიანები, რომელთაც წინ უძღვის სოციალისტური შრომის გმირი ისიდორე ლომინიშვილი, კომუნისტები, რომელთაც მეთაურობს ალექსანდრე კუბრაძე, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მთავარ ინჟინრის ნიკოლოზ კანდელაკისა და აგროტექნიკური პერსონალი, წელს ხელიდან არ გაუშვებენ მოსკოვიდან მიღებულ ჯილდოს.

მიწა, ფოლადი, ადამიანი, — აი ძალა, რომელიც მარტყოფისა და ნორიოს საკოლმეურნეო მინდვრებში ქმნის დოვლათს.

მტკვრისა და ივრის შუადინების აუზებში, გარეჯის, გომბორისა და იალნოს მთის კალთებში მოქცეული განახლებული სამგორის მიწა ზეიმობს სიცოცხლის დამკვიდრებას — წყლის ჩქეფას, ბაღ-ვენახების გახარებას, ჯეჯილის აბიზინებას. სიცოცხლის ამ დამკვიდრებაში ადამიანს საიმედოდ მხარში ამოსდგომია რკინა და ფოლადი — მექანიზაცია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მოწინავე კომბაინერები (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. მიგრაული, მ. ფარსმანაშვილი და შ. ჩიტრეკაშვილი.





საჰაერო-საბაგრო გზა.

შავი ქაჯაქის ნოჲუი დღე



მოთა ხილავლი

საქართველოს კ. პ. ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ქვები, ურმები, „ტარქები“, ჭვარტლიანი ჭრაქები, ჩალვადრები...

ახლა—პარტიისა და მთავრობის მზრუნველობისა და დახმარების შედეგად მარგანეცის საწარმოები აღჭურვილი არიან პირველხარისხისაგან საბჭოთა ტექნიკით, ძველი კუსტარული ფაბრიკების ნაცვლად აშენდა ახალი გამაუხვებელი ფაბრიკები, რომლებშიც ყოველდღიურად უმჯობესდება მადნის გაუხვების ტექნოლოგიური პროცესები. აშენებულია ბევრი ახალი მალარო და დამხმარე საწარმო. მარგანეცის საწარმებზე დღის სინათლის ელექტრონათურების შექმნილი გაისმის ელექტრობურღებისა და ელექტრომტვირთავი მანქანების გუგუნე, ქალაქის მთელი მიდამოები დაქსელილია ფართო მოასვალტებული გზებით, თითქმის საცხებით მექანიზებულია ყველაზე შრომატევადი სამუშაოები, ფართოდაა გაშლილი საბინაო მშენებლობა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. მთებზე ტერასებზე გაშენებული ჭიათურა ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად იქცევა ჩვენს რესპუბლიკაში.

1940 წელთან შედარებით მარგანეცის ამოდება მნიშვნელოვნად გაიზარდა. იზრდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება მადნის თვითღირებულება. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ

1898 წელს ჭიათურაში სტუმრად ჩამოსულს პარიზის უმაღლესი სამთო სკოლის პროფესორს ევარარს უთქვამს: „თითქმის მთელი მსოფლიოს საბადოები მომივლია, მაგრამ ისეთი მდიდარი საბადო, როგორიცაა ჭიათურა... არსად არ მინახავს, თუმცა ამოდების არც ასეთი მტაცებლური წესები მინახავს“.

მალე ისტორიას ჩიზარდა ეს ავბედითი წარსული. 1921 წლის თებერვალში საქართველოში ოქტომბრის დიადი მზე აღმოჩნდა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო მარგანეცის ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ნამდვილი აღორძინება.

საბჭოთა ხუთწლეულმა მთლიანად გარდაქმნეს ჭიათურა და გადააქციეს იგი საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მრეწველობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად. სადღა არის ახლა წერა-

ქალაქი-ჭიათურა ცნობილი იყო ფიცრული ქონხანებით, ბინძური მტვრიანი ქუჩებით, ჭიათურის ბაზარი, რომელიც ამ სურათზე ასახულ ხილიდან იწყებოდა, წარმოადგენდა ერთსართულიან, ბნელსა და ჭუჭყიანი დუქნების მწყრეს. ახლა ეს დუქნები მთლიანად აღებულია და მათ ადგილზე სამ-ოთხსართულიანი შენობებია აგებული. სურათზე თქვენ ხედავთ მარგანტრესტის ადმინისტრაციულ შენობას, რომელიც 1955 წლის სექტემბერში გადაეცა საექსპლოატაციოდ. უკანა პლანზე მოჩანს ცნობილი საშეგარდნო კლდე, სადაც პატარა კარსტო ღრმულეში დღესაც ბუღბუღებს შეგარდნები. ამ კლდის თავიდან იწყება მარგანეცის საბადოებით მდიდარი ზეგანი.

მარგანტრესტის საწარმოებმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ვადამდე — 1955 წლის ოქტომბრისათვის შეასრულეს, ხოლო ცალკეულმა საწარმოებმა — უფრო ადრეც. მეოთხე და მეხუთე ხუთწლეულში მაღა-

კეთილმოწყობილი გახდა სადგურის მოედანი, სადაც აღმართულია დიდი სტალინის მონუმენტი, გამშენიერდა და გალამაზდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები (ნინოშვილის, ლენინის, სტალინის, კალინინისა და სხვ.). აღ-



ჭიათურის ბაზარში ძველად მრავალი სამიკიტნო იყო. ეს სამიკიტნოები სოკოსავით მრავლდებოდნენ და ამ ქუჩებზე მთვრალი ხალხის ღრიალი, ჩხუბი, რევოლვერების სროლა, ფანჯრებისა და ვიტრინების მსხვრევა, მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

იმ ადგილას, სადაც ყველაზე უფრო მეტად იყვნენ ეს სამიკიტნოები შეჯგუფდნენ, ძველი შენობები მთლიანად აღებულია. აქ აშენდა საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა. ამ ქუჩაზე ახლა მოქიფეთა ღრიანცილის ნაცვლად ისმის მოწაფეთა მხიარული ყრიაბული.


როთა სამმართველოებში აშენდა მუშათა კეთილმოწყობილი დაბები კლუბებით, ბიბლიოთეკებით, საბავშვო ბაღებითა და ბაგებით, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტებით, ფიზკულტურული მოედნებით. თვით ქალაქში აშენდა სამი და ოთხსართულიანი მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი კორპუსები.

1954 წელს ექსპლოატაციაში შევიდა საბჭოთა კავშირში პირველი სახალხო-საჰაერო-საბაგრო გზა, რომელიც ქალაქს ი. ბ. სტალინის სახელობის მალაროთა სამმართველოსთან აკავშირებს, აშენდა საშუალო სკოლის ლამაზი სამსართულიანი შენობა, სანაპირო მდინარე ყვირილაზე, მარგანტრესტის ლამაზი სასტუმრო, რომელიც მარად მწვანე ხეებშია ჩაფლული. ქალაქის მშენებელს წარმოადგენს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მონუმენტური შენობა. ახლანა საექსპლოატაციოდ გადაეცა ჭიათურის მარგანტრესტის სამმართველოს ოთხსართულიანი უზარმაზარი ადმინისტრაციული კორპუსი.

სანიშნავია, რომ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე და, განსაკუთრებით, ბინათმშენებლობაზე, მეხუთე ხუთწლეულში 27 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ამჟამად ქალაქში დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ქალაქი ხარაჩოებშია, შენდება ახალი მძღავრი ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მეორე რიგი, საავადმყოფოს ახალი კორპუსები, საცხოვრებელი ბინების მთელი კომპლექსი ქალაქის განაპირა უბანში — ნავთში. აშენდება შლამების შემკრები ცენტრალური კოლექტორი და საფლოტაციო ფაბრიკა, რის შედეგადაც მდინარე ყვირილა, ანკარა და სუფთა გახდება.

ახლო ხანში დაიწყება, აგრეთვე, კულტურის დიდი სასახლის, პიონერთა სახლის, ახალი კინოთეატრის, მუსიკალური სასწავლებლის და მთელი რიგი სხვა საწარმოო, თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. ქალაქი ტყის სამოსელით ირთვება, გამ-



აი ჩავსხედით იმ პატარა ვაგონში და გავემართეთ პერვეისის ზეგანისაკენ. ფანჯრიდან მოჩანს ჭიათურა ბაზრის ადგილზე გაშენებული თავისი ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, მარგანტრესტის სამმართველოს შენობით ძველი ბაზრის თავში. პირდაპირ კლდის ძირას მოჩანს შიშველი მინდორი, რომელსაც ნავუთს უწოდებენ. აქ, ახალ ხუთწლედში გაშენდება ქალაქის ახალი უბანი, რომელიც საპაერო გზით დაუკავშირდება ცენტრს. მარჯვნივ სურათის კუთხეში მოჩანს საპაერო გზის ქვედა სადგური.

წვანების სამუშაოები ყოველწლიურად დიდდება.

ქალაქ ჭიათურაში სოციალისტური ქალაქისათვის დამანახათებელი მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრება ჩქეფს. წინათ აქ სკოლები და მასწავლებლები თითზე ჩამოსათვლელი იყო, ახლა კი ქალაქში ოთხი ზოგად-საგანმანათლებლო და სამი მუსიკალ-საგანმანათლებლობის საშუალო სკოლაა, ერთი რვაწლიანი და ერთი დაწყებითი სკოლა, სამი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა, მუსიკალური და საფერწლო სკოლები, ბავშვთა ტექნიკური სადგური და სხვ. ქალაქში არსებობს ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსრულებელი განყოფილების ფილიალი, რომლის სხვადასხვა ფაკულტეტზე წარმოებიდან მოუწყვეტილად 228 მუსიკალ-სახსურე სწავლობს საინჟინრო საქმეს. ქალაქის სიამაყეა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

მეექვსე ხუთწლედში აგებული იქნება 70.000 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. აღსანიშნავია, რომ მარგანციის მრეწველობის ზრდისათვის დაბანდებული იქნება იმავე მეტი თანხა, რაც დაბანდებული იყო მარგანციის მრეწველობის არსებობის მთელ პერიოდში.

დღევანდელი ჭიათურა განსაკუთრებით ამაყობს ახალი ადამიანებით, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებით, რომელთა გამრჯე მარჯვენა ქებისა და დიდების დერსია. ქალაქის საწარმოებში 450-მდე ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს, რომელთა შორის უმრავლესობა ქალაქის მკვიდრია. ინჟინრები — გ. შანიძე, გ. ფანცულაია, შ. ახვლედიანი, შ. პაქსაშვილი, ლ. გოშხოთელიანი, გ. კაციტაძე, გ. დეკანოზიშვილი, ა. მოღებაძე, ვ. სა-



საბჭოს დეპუტატი ტრიფონ ფოფხაძე. მარგანციის ამწმინდები — კ. ლავთაძე და პ. მიროტაძე, მბურღავები კ. ნადირაძე და გ. თოღაძე, მეზიგეები — ი. ბოიკო, კ. გაფრინდაშვილი, ი. ხვედელიძე, მეტეონე ს. კოშაძე, დურგლები — კ. ნებულიშვილი და ა. ჯგავაშვილი, ხარატები — პ. ბარაბაძე და ვ. ვარდოსანიძე, რომლებმაც დიდად გაუსწრეს დროს და თავიანთი კეთილშობილური შრომით ორმაგად და სამმაგად ასრულებენ ნაკირ ვალდებულებებს. თუ როდენ გაიზარდა ჭიათურელ მადაროელთა შრომის ნაყოფიერება, ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ თვითეულმა მოწინავე მადაროელმა მეხუთე ხუთწლედში ექვსჯერ და უფრო მეტი პროდუქცია მოგვცა, ვიდრე 1920 წელს მენშევიკთა ბატონობის დროს იყო მოპოვებული მთლიანად.

სასახელოა მარგანციის ქალაქის ახალგაზრდობის ცხოვრება და საქმიანობა. 2000-დე ახალგაზრდა მუშაობს მარგანციის მრეწველობაში და ახალ მშენებლობებზე, მათ შორის 400-ზე მეტი საშუალო განათლებითაა და სკოლიდან უშუალოდ წარმოებაში მოვიდა.

ქალაქის საწარმოები კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად დიდ დახმარებას უწყვენ მეზობელ რაიონების კოლმეურნეობებსა და მანქანატრაქტორთა სადგურებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებაში.


ქალაქი ჭიათურა შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციის ქალაქია, აქ 1905 წლის რევოლუციის ბოლოქარ დღეებში ჭიათურელ მუშებს ლენინის უძლეველ იდეებს უნერგავდნენ დიდი სტალინი და მისი ერთგული თანამებრძოლები: ა. წულუკიძე, ს. ინჟიკივლი, მ. ცხაკაია და სხვები. ჭიათურაში დგას ობელისკი ირგვლივ გაშენებული მშვენიერი პარკით, აქ 1905 წლის ივლისში ახალგაზრდა სტალინმა ფართო დისკუსიაში იდეურად გაანადგურა მენშევიკები, ანარქისტები და ფედერალისტები. ჭიათურის ბევრი ძველი მუშის სისხლი დაღვრილა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ

ბრძოლაში, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ კეთილშობილურ და მამაცურ ბრძოლაში. ჭიათურის მშრომელები სათუთად ინახვენ და ავითარებენ ამ სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს.

ახლა ჭიათურაში მშრომელთა მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. მტკიცედ ასორციელებენ რა, სოციალისტური მიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჭიათურელი მადაროელები ჩაბ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა სამშობლოს მისცენ სულ მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი მარგანციის მადანი.

ასეთია ინდუსტრიული ჭიათურის მჩქეფარე ცხოვრების დღევანდელი დღე, მაგრამ უფრო ნათელი და ღამაში იქნება მისი ხვალისდელი დღე.

რა არის ეს შენობა? სანატორიუმი, თეატრი, თუ ვაგზალი? ეს გახლავთ სამგზავრო საპაერო გზის ქვედა სადგური. აქედან საპაერო-საბავირო გზით პატარა დახურულ ვაგონებს ჩვენ ავყავართ პერევისის ზეგანზე. ამ ტიპის სამგზავრო გზა პირველია საბჭოთა კავშირში. ჭიათურაში აგებული იქნება კიდევ შვიდი მარშრუტის ასეთი საპაერო გზა და ამგვარად ჭიათურის ძირითადი ტრანსპორტი პაერში იქნება დაკიდებული.



გარეცხილ-გასუფთავებული მარგანცი საპაერო გზით მოემართება ამ გიგანტურ ხეიმირებისაკენ. ბავირზე დაკიდულ ვაგონებს ამ ხეიმირებში ჩაცლიან და უკანვე გაუყენებენ გზას. ხოლო ორთქლმავალი რკინიგზის ვაგონებს შეაგორებს ხეიმირებზე და სულ მალე, მადნით პირამდე დატვირთულ შემადგენლობას შორაბნისაკენ წააგრილებს.

ამაღლდა ქალაქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ასობით მუშის საშუალო წლიური ხელფასი 40 ათას მანეთს აღწევს. მუსიკალ-სახსურეთა რიცხვი ქალაქში 1954 წელს 1940 წელთან შედარებით 30,5%-ით გაიზარდა, ხოლო ამავე პერიოდში მათი ხელფასის ფონდი — 242,7%-ით. მარტო მადაროელები წელთა დამსახურებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ყოველწლიურად 8 მილიონ მანეთამდე ღებულობენ.

დიდი სამუშაოებია დასახული ახალ მეექვსე ხუთწლედში, როგორც მრეწველობის შემდგომი განვითარების, ისე ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ბრძოლაში, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ კეთილშობილურ და მამაცურ ბრძოლაში. ჭიათურის მშრომელები სათუთად ინახვენ და ავითარებენ ამ სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს.

ახლა ჭიათურაში მშრომელთა მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. მტკიცედ ასორციელებენ რა, სოციალისტური მიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჭიათურელი მადაროელები ჩაბ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა სამშობლოს მისცენ სულ მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი მარგანციის მადანი.

ასეთია ინდუსტრიული ჭიათურის მჩქეფარე ცხოვრების დღევანდელი დღე, მაგრამ უფრო ნათელი და ღამაში იქნება მისი ხვალისდელი დღე.

რა არის ეს შენობა? სანატორიუმი, თეატრი, თუ ვაგზალი? ეს გახლავთ სამგზავრო საპაერო გზის ქვედა სადგური. აქედან საპაერო-საბავირო გზით პატარა დახურულ ვაგონებს ჩვენ ავყავართ პერევისის ზეგანზე. ამ ტიპის სამგზავრო გზა პირველია საბჭოთა კავშირში. ჭიათურაში აგებული იქნება კიდევ შვიდი მარშრუტის ასეთი საპაერო გზა და ამგვარად ჭიათურის ძირითადი ტრანსპორტი პაერში იქნება დაკიდებული.



ჰაინრიხ ჰაინე

ბიოგრაფიული

ბიოგრაფიული

მოთარხნობილი

„როცა დადგება დღე, — ხოლო ჩვენი ბრძოლის შედეგად იგი დადგება, — როცა გერმანელი ერი თავისუფლად და სიხარულით აღიარებს, თუ რა განძის ფლობდა იგი ჰაინეს სახით, ეს იქნება გერმანული კულტურისა და ცივილიზაციის განუყოფელი პროგრესის მაუწყებელი“, წერდა ლიტერატურის ერთ-ერთი კრიტიკოსი ჰაინეს დაბადების ასი წლისთავზე.

და მართლაც გერმანიის უდიდესი პოეტი ჰ. ჰაინე სამშობლოში რეაქციის სასტიკ დევნას განიცდიდა. იგი მოკლებული იყო სამშობლოში ცხოვრების სიხარულს და სიცოცხლის ნახევარი ემიგრაციაში გაატარა. ის ერთადერთი ძველი, რაც მას ავსტრიის დედოფალმა ელისაბედიმ კუნძულ კორფუზე დაუღვა, კაიზერმა ვილჰელმ II ზღვაში გადააგდებინა. გერმანიის ლიტერატურის ნაციონალისტი და ანტისემიტი მკვლევარები სრულიად არ ახსენებდნენ ჰაინეს სახელს. პიტლერელმა ბარბაროსებმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შესასაუქუნებობრივი აუტორიტატი მოუწყეს, რათა სამარადისოდ გაეჭროთ პროგრესული იდეებისათვის მებრძოლი პოეტის სახელი, ხოლო დასავლეთ გერმანიის ნამდვილმა ბატონ-პატრონებმა, ამერიკელმა მილიტარისტებმა თავიანთი სამხედრო მიზნების შესაბამისად ააფეთქეს ბინგენსა და კობლენცს შორის მოქცეული ლორელაის კლდეები, რომელზეც ჰაინემ უკვდავო ლექსით „ლორელია“.

პოეტმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კაცობრიობის უკეთესობისთვის იდეის გამარჯვებას — ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლას.

ჰ. ჰაინე დაიბადა 1797 წ. 13 დეკემბერს ქ. დიუსელდორფში ღარიბი ებრაელი ვაჭრის სამსონ ჰაინეს ოჯახში. დაწყებითი განათლება ფრანკისკანულ მონასტერში მიიღო, ხოლო შემდეგ გადავიდა ადგილობრივ გიმნაზიაში.

ნაოლეონის მოთაყვანე მშობლებს შვილისათვის სამხედრო განათლების მიცემა სურდათ, მაგრამ ბონაპარტის მზის ჩასვენებასთან გაპყვება სამხედრო კარიერით გატაცებულ მახლობლებისა და ნათესავების სურვილით ჰაინე ემზადება კომერციული საქმიანობისათვის, ამ მიზნით 1815 წ. მას ჯერ მაინის ფრანკფურტის საბანკო კანტორაში აგზავნიან, მერე კი მამის ძმასთან — სოლომონ ჰაინესთან, რომელიც მდიდარი ჰამბურგელი ბანკირი იყო. მაგრამ ჰაინეს ისევე ნაკლებად იზიდავდა საბანკო საქმიანობა, როგორც სამხედრო სამსახური.

1818 წ. ჰაინე შედის ბონის უნივერსიტეტის სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტზე, მაგრამ იურისპრუდენციით ნაკლებად დაინტერესებულია და გატაცებით სწავლობს ლიტერატურას, ხელოვნებას და ფილოსოფიას. შემდეგ მას ვხედავთ გოტინგენის და ბერლინის უნივერსიტეტებში, სადაც ისმენს ა. ფ. შლეგელისა და ჰეგელის ლექციებს. 1825 წ. დაასრულა ბონის უნივერსიტეტი სამართლის დოქტორის ხარისხით.

მრავალ პატარა სამთავროდ დაყოფილმა გერმანიის პირქუშმა და უსიხარულო საზოგადოებრივმა ყოფამ, მატერიალურმა ხელმოკლეობამ და სიყვარულში დამარცხებამ დადი დასავა ჰაინეს მსოფლმკვნიებას: მისი შემოქმედების ადრეულ წტას რომანტიზმის კვალი ამჩნევია.

პირველი ლექსები მან 1817 წ. დაბეჭდა. მაგრამ მისი პირველი, საკმაოდ მოხრდილი ქ. ეიული „სიმღერათა წიგნი“ 1827 წ. გამოვიდა. კრებულმა გააერთიანა სხვადასხვა დროს გამოცემული ლექსები, რომლებიც აქ ციკლებად დაიყო: „სიჭაბუკის ვენდანი“ (1817-21), „ლირიკული ინტერმეციო“ (1822-23), „მის დაბრუნება“ (1823-24) და „ჩრდილოეთის ზღვა“ (1825-26).

ჰაინემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იმოგზაურა გერმანიას, ინგლისსა და იტალიაში. მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები მან ჩამოაყალიბა მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევში „მოგზაურობის სურათები“.

„მოგზაურობის სურათებში“ ჰაინეს იმდენად თვით მოგზაურობის შთაბეჭდილებანი არ აინტერესებს; მოგზაურობის აღწერა მისთვის საბაბია, რათა დახატოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები გარდატეხილი პირად შეხედულეპათა პრიზმაში. ნარკვევები გაყდნთილია ჰაინესათვის დამახასიათებელი გონებამახვილობით, რომლითაც ავტორი დაუნდობლად ამთარახებს ყოველივე დამაბალს, დრომოქმულს.

უკანასკნელ ტომებში („იტალია“ და „ინგლისური ფრაგმენტები“) ჰაინე გაბეჭდილად ამხელს იტალიის მიმამ პოლიტიკურ ჩაგვრას. იგი იძლევა კონსერვატულ-ბურჟუაზიული ინგლისის მკვეერი კრიტიკას. პოეტი იმედოვნებდა, რომ თავისუფლებას ინგლისში ნახავდა, მაგრამ გაეცნო რა ინგლისის ბურჟუაზიულ საზოგადოებას, დარწმუნდა, რომ მის „საბილენძის გულში“ ჩამქრალია ყოველგვარი სიკეთე და ადამიანური გრძნობა.

ფინიული რევოლუციით სჭერტს ჰაინე ამერიკის ბურჟუაზიული თანასწორების ნამდვილი არსს: „ქ ყველა ადამიანი თანასწორია... რასაკვირველია გამოკლებით რამდენიმე მილიონისა, რომელთაც შვი ან ყვისფერი კანი აქვთ და რომელთაც ისე ექცევიან, როგორც ძაღლებს“. ბურჟუაზიულ ამერიკას იგი უწოდებს „თავისუფლების უსაზღვრო საპყრობილეს“, სადაც „ფული ერთადერთი ყოვლისშემძლდეღმერთია, სარგებლიანობა—ქმმარტი რელიგია“.

სამშობლოში აუტანელი დევნის გამო პოეტი იძულებულია 1831 წ. პარიზს გაემგზავროს. იგი იწყებს თანამშრომლობას „აუგსბურგის საყოველთაო განუთში“ („Augsburger allgemeine Zeitung“) და გერმანულეს აცხობს საფრანგეთის პოლ. ტყურ და საზოგადოებრივ ყოფას, რომლის შემოქმედდა მას ის სიკიცა-

ლური მოძრაობა მიაჩნია, რომელმაც რევოლუცია მოამზადა. იგი გრძნობს პროლეტარული მოძრაობისა და სოციალისტური თეორიის შეერთების საჭიროებას. წერილების ავტორი ლაპარაკობს კომუნისტებზე, როგორც საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს პარტიზანზე, რომლის დრო მართალია ჯერ არ დამდგარა, „მაგრამ მშვიდად ლოდინი დროის დაკარგვა როდია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც მომავალი ეკუთვნით“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰაინე ამ მოსაზრებებში თანმიმდევრული არასოდეს არ ყოფილა. ჰაინეს რევოლუციური პუბლიცისტის ფართო გამოძახილმა გერმანიის რეაქტია აიძულა მის წინააღმდეგ პოლიციური ზომები მიეღო.

ჰაინე სულ უფრო მეტად ინტერესდება გერმანიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებით. ამ მხრივ საყურადღებოა პოემა „ატა ტროლი. ზაფხულის ღამის ზღაპარი“ (1841 წ.). ამ პოემაში ჰაინე დასცინის გონებაშეზღუდულ და ჩლუნგ რადიკალებს. „ტინდენციური დათვის“ ატა ტროლის სახით პოეტმა მოგვცა წერილობრივად რევოლუციონერის სატირიკული დახასიათება. ავტორი თავს ესხმის გერმანიის ნაციონალურ დაქსაქსულობასა და სოციალურ-პოლიტიკურ ჩამორჩენილობაში დამნაშავეებს. ატა ტროლი საზოგადო სახელად იქცა.

1842-44 წლები ჰაინეს პოლიტიკური მომწიფების წინააღმდეგ. იგი წერს მრავალ ჰემარტიკულ რევოლუციურ ლექსს, რომელთაც შემდგომ აერთიანებს ციკლში „თანამედროვე ლექსები“ („Zeitgedichte“).

1843 წელი ჰაინეს ცხოვრებაში ღრმადსახარავარი წელია: ამ წელს ეცნობა და უმეგობრდება კ. მარქსს. მათი უშუალო მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელდა, მაგრამ 20 წლით ჰაინეზე უმცროსი, 26 წლის მარქსს უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა მისი ზეკლასიური და რომანტიული ილუზიებისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით.

1844 წ. ზაფხულში სილონიაში მომხდარი ფეიქართა აჯანყება იყო მუშათა დამოუკიდებელი მოძრაობის პირველი მაუწყებელი. ამ აჯანყებას, რომელსაც მარქსმა უწოდა „მუშათა კლასის აქტიური მოქმედება“, ჰაინე სასწრაფოდ გამოეხმაურა მახვილი პოლიტიკური ლექსით „სილონიაში ფეიქრები“. მან შეიყნო ამ აჯანყების ისტორიულ-სოციალური მნიშვნელობა და წინასწარ განსაზღვრა მუშათა კლასის, როგორც ექსპლოატაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის, მესაფულის რელი.

კ. მარქსმა მალაღი შეფასება მისცა ამ ლექსს, უწოდა რა მას „გაბედული საბრძოლო მოწოდება“. ფ. ენგელსს იგი მიაჩნდა „ერთ-ერთ ყველაზე უძლიერეს პოემად“.


ემიგრაციის 13 წლის შემდეგ ჰაინე 1843 წ. ოქტომბერში მცირე ხნით ახერხებს გერმანიაში გამგზავრებას: ამ მოგზაურობის შედეგად იგი წერს პოემას „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“, რომელიც ჰაინეს პოლიტიკური პოეზიის მწვერვალია. პოემაში გერმანია დახატულია მთელი თავისი სიმხინჯით და ნახევრადფოვადლური ყოფით.

1848 წლის რევოლუციის დამარცხებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიმედ იმოქმედა პოეტზე. მის სულიერ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს, აგრეთვე, ის აუტახალი ფიზიკური ტვირთები, რომელიც მას კარგა ხანია სტანჯავდა. გატენილი პოეტის განწყობილება გადმოცემულია მისი ლექსების უკანასკნელ კრებულში „რომანტიკო“ (1851), სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთავრობის სიკვდილის მიმამ და მტანჯველ განცდებს. ავტორის მსოფლმხედველობაში კვლავ თავს იჩენს ურთიერთსაპირისპირო აზრები, რაც მისი შემოქმედებისათვის ადრეც იყო დამახასიათებელი: მას, ერთის მხრივ, ახარებს შთაბეჭება სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც გაანადგურებს გამარჯვება, რომელიც, პოეტის აზრით, გასჩენს ოლანდრების ჭალას და დაამსხვრევს მარმარლოს ქანდაკებებს, რაც ესოდენ ძვირფასია პოეტისათვის. ჰაინემ ვერ შესძლო მთლიანად გასთიშოდა წერილობრივად იდეოლოგიკა და მტკიცედ ჩამდგარიყო კომუნისმის დამცველთა რიგებში. მან ვერ შეიყნო პროლეტარული რევოლუციის ჰემარტიკი არსი, რადგან იგი ცხოვრობდა მუშათა რევოლუციური მოთხოვნის განთიადზე, იმ გარდამავალ ეპოქაში, როცა კ. ი. ლენინის თქმით „ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდება (ევროპაში), ხოლო პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო“ (კ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 13).

რვა წლის განმავლობაში „ლენინის საფლავში“ გაუნძრეველი წილით და უსასტიკესი ტკივილით გატანჯული პოეტი, ეს „თავისუფლების ენოუზიასტი“, როგორც მას ბელისკი უწოდებდა, გარდაიცვალა იმ რწმენით, რომ კომუნიაში, რომელსაც მომავალი ეკუთვნის, ფეხით გასრესავს რეაქციონერთა უკანასკნელ ნაშთებს.

ჰაინეს შემოქმედებით გზა რთული იყო. მის მსოფლმხედველობაში ცოტა როდი იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები და შეხედულეებანი, რის გამო მას სამართლიანად აკრიტიკებდნენ, როგორც მარქსისმის კლასიკოსები, ისე რუსი სოციალ-დემოკრატიები, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც იყო და დარჩა თავისი ეპოქის მოწინავე გერმანელ პოეტად.

საბჭოთა ეპოქისთვის ჰაინე იტალიის იტალიის და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი რევოლუციური პოეზიისა და პროზის საუკეთესო ოსტატს.



... რაში მდგომარეობს ჩვენი დროის უდიდესი ამოცანა?

ეს განლატე ემანსიპაცია. არა მარტო ირლანდიელთა, ბერძენთა, ფრანკფურტელ ებრაელთა, ვესტ-ინდოეთის შავკანიანთა და ყველა სხვა მათსავით ჩაგრული ხალხთა ემანსიპაცია, არამედ ემანსიპაცია მთელი ქვეყნისა, მეტადრე ვეროპის, რომელიც სრულწლოვანი გახდა და პრივილეგიური წოდების, არისტოკრატის რკინის სადგევებს ვეღარ ითმენს. დაე, თავისუფლების ზოგირთმა მოფილოსოფოსო რენეგატებმა განაგრძონ იმის ჩმახვა, რომ მილიონობით ადათიანები რამდენიმე ათასი პრივილეგიური რაინდის მომსახურებისთვის სასაპალნე პირუტყვებად არიან გაჩენილი. ისინი ვერ შეძლებენ ამაში ჩვენს დარწმუნებას, სანამ, ვოლტერის თქმისა არ იყოს, არ დაგვიტყვიცებენ, რომ იმ მილიონებს დაბადებებიდანვე ზურგზე კურტანი ადგიათ, რაინდებს კი—ფეხებზე დეხები აკრავთ...

ნუ გეღიმება, გვიანდელი მკითხველო! ყოველ ეპოქას სწამს, რომ მისი ბრძოლა ყველა ბრძოლაზე უფრო მნიშვნელოვანია ამქვეყნად; სწორედ ამაში მდგომარეობს მრწამსი ამა თუ იმ ეპოქისა, ამ მრწამსით ცხოვრობს ის და ამავე მრწამსით კვდება; ჩვენც ვისუფლდებოდით ჩვენი მრწამსით—თავისუფლების რელიგიით და ამავე რელიგიისთვის მოვკვდეთ,—შეიძლება მას უფრო მეტადაც შეეფერებოდეს რელიგიის სახელწოდება. ვიდრე უსიცოცხლო, ჟამგადასულ აჩრდილს, რომელსაც ჩვეულების მიხედვით ამ სახელს ვუწოდებთ,—ჩვენი წმინდა ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია მთელ იმ ბრძოლებს შორის, რომელთაც ოდესმე ადგილი ჰქონი. თ დედამ წაზე, თუმცა ისტორიული წინათგარჩობა კი იმასაც გვიკარანახებს, რომ ჩვენი შვილიშვილები როდისმე ამ ბრძოლას, ადგილი შესაძლოა, ისეთივე გულგრილობით შეხედავენ, როგორც თაც ვუყურებთ ჩვენ ახლა პირველი ადამიანების ბრძოლას იმ მსუნაგ უჩრჩხულ გველშაპებთან და ვებებთანავე მიხედვით, ახლანდელდებისგან არაფრით რომ არ გამოირჩეოდნენ.

... თითქმის დრუბლუგის ბუმბერაზი ქულებიდან აღმართული ტრიუმფალური თალიდან ზემოთ, ხალისით, გულდაჯერებით ამოდიოდა მზე, მომასწავებელი წარმტაცი დღისა. მაგრამ ჩემს თავს საცოდავ მთავრესავით ვგრძობოდა, რომელიც ფერმკრთალი და მიხნედილი ჯერ ისევ გადმოგვყურებდა ცის გუმბათიდან. თავისი გზა მან მარტოდმარტო განვლო ბნელ ღამეში, როცა ბენდინერებს ეძინა, აჩრდილები, ჭოტები და ცოდელები კი უხიზლოდნენ. და ახლა, როცა გარეუბრის ლხენით მითრთოლავ სხივებში ააალი დღე იშვია ის უნდა ჩავსვენოს,—ერთხელ კიდევ ნაღვლიანად გახედა მან სამყაროს დიად მნათობს და გაჰქრა, ვით საყვედლის კვამლი.

„კარგი დღე იქნება!—გამომძახა კარტიდან თანამგზავრმა. დიახ, კარგი დღე იქნება, ჩემად გაიმეორა მღალადებელმა ჩემმა გულმა, და ნაღვლანარევი სიხარულით ამიძერდა იგი. დიახ, კარგი დღე იქნება! თავისუფლების მზე უკეთ გაათბობს დედამიწას, ვიდრე მთელი ეს ვარსკვლავთა არისტოკრატია; გაიფურჩქნება ლალი ტრფილის ნეტარებაში და არა სულით ხორცამაც წაწყვიდილი ურჯულებით გარემოცულ ძალბატანების სარეცელზე ჩასახლება ახალი თაობა. თავისუფლად დაბადებული ადამიანი თან მოიტანს თავისუფალ ახრსა და გრძობებს, რომელთა შესახებ ჩვენ, მონებად დაბადებულთ, არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს,—და ასევე ძნელი წარმოსადგენი იქნება მათთვისაც, რა საშინელი იყო ის ღამე, რომლის წყვილადში გვიხდებოდა ცხოვრება, რა შემზარავი იყო ჩვენი ბრძოლა საზიჯლარ აჩრდილებთან, პირქუშ ჭოტებთან და ფარისეველ ცოდვილებთან; ჰოი, საბრალო მებრძოლებო, მთელი ჩვენი სიცოცხლე ბრძოლას შევალეთ და გამარჯვების დღის განთიადს უკვე დადლილ-დაქანტულნი და ფერმიხდილნი ვხვდებით! ამომავალი მზის მცხუნვარე ალი დაწვებს ვეღარ შეგვიფაკლავს და გულს სითბოთი ვერ დაგვიამებს, ცისკიდრზე ჩამავალ მთვარესავით ვტოვებთ ამ წუთისოფელს,—მეტად ძუნწადაა მოზომილი ადამიანის სავალი გზა, რომლის დასასრულს უღმობელი საფლავი გველოდება.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, დავიმსახურე თუ არა, რომ ჩემი კუბო ოდესმე დაფნის გვირგვინით შეამკონ. პოეზია, მიუხედავად მთელი ჩემი მასდამი სიყვარულისა, ჩემთვის ყოველთვის ღვთიური გართობა გახლდათ, ანდა ნაკურთხი საშუალება ზენა მიხნებისთვის. არასოდეს დიდად არ ვაგდებდი პოეტურ სახელს, და არც იმდენად მაწუხებს, სოტბას შეასხამენ ჩემს სიმღერებს, თუ პირიქით, აძაგებენ. მაგრამ მახვილი კი უუჭველად უნდა დამადოთ კუბოზე, რადგან მამაცი ჯარისკაცი ვიყავი კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თარგმანა შ. გვირიძე

მარქსი და ჰაინე

კარლ მარქსის ქალიშვილის, ელეონორა მარქს-ველინგის გადმოცემით, მარქსსა და ჰაინეს შორის დიდი მეგობრული და გულთბილი დამოკიდებულება სუფევდა. ამ გადმოცემებში მხოლოდ პოეზიასა და ოჯახურ ამბებზეა ლაპარაკი, პოლიტიკა ნახსენებიც არ არის.

ერთი ხანობა დღე ისე არ გავიდა, ჰაინეს მარქსთან არ შეეველო, თავისი ლექსები არ წაეკითხა და მათზე ახალგაზრდა ცოლ-ქმრის აზრი არ მოესმინა. ხშირად მარქსი და ჰაინე ერთ რომელიმე პატარა, რვა სტრიქონიან ლექსს ჩაუჯდებოდნენ ხოლმე, ყოველმხრივ სწონდნენ თვითთულ მის სტრიქონს, ათანაირად ამოწმებდნენ ამა თუ იმ სიტყვას და იმდენ ხანს ასწორებდნენ, სანამ ლექსი არ დაიხვეწებოდა, სასურველ სახესა და აზრს არ მიიღებდა.

მარქსს უდიდესი მოთმინების გამოჩენა შეართებდა, რადგან ჰაინე


მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა ყოველგვარ კრიტიკას. მარქსთან არა ერთხელ მისულა აცრემლებული ჰაინე, როცა რომელიმე გულღვარძლიანი მგლანელი თავს დასხმია რომელიმე გაზეთის ფურცლებზე. მარქსი ასეთ შემთხვევაში ჰაინეს თავის ცოლთან შეიკვანდა ხოლმე და ეს გონებაშავილი, გულთბილი ადამიანი სწრაფად აიწყებინებდა პოეტს განცდილ წყენას.

მაგრამ ჰაინე მარქსთან მარტო იმისთვის კი არ მიდიოდა, რომ თანაგრძობა მიეღო: ზოგჯერ თვითონაც გაუწევია დახმარება. ერთი ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით დაამახსოვრდათ მარქსის ოჯახში. ერთხელ პატარა, ჯერ კიდევ ძუძუმწოვარ უფრო მარქსს საშინელი კრუნჩხვა მოუვიდა და სიკვდილის პირზე იყო. მარქსი, მისი ცოლი და მათი ერთგული მეგობარი ელენე დებუტი, უმწეონი და სასოწარკვეთილი, თავს დასდგო-

მიდნენ ბავშვს. ამ დროს შემოვიდა ჰაინე, შეხედა გოგონას და თქვა: „ბავშვისთვის აბაზანა საჭიროა“. მან თავისი ხელით გაამზადა აბაზანა, ავადმყოფი წყალში ჩასვა, განაზა და, როგორც მარქსი შემდეგში იგონებდა, უფრო სიკვდილს გადაარჩინა.

წარმოდგინეთ ჰაინე ჩვილი ბავშვის ძიძის როლში! ეს სურათი ბევრს განაცვიფრებდა. მარქსი დიდი პატივისცემით იყო ჰაინისი. მას უყვარდა პოეტი ისე, როგორც მისი ნაწარმოებები და ჰაინე პოლიტიკოსისთვის ბევრი სუსტი მხარე უპატიებია.

— პოეტები, — იტყოდა ხოლმე იგი, — თავისებურად უცნაური ადამიანები არიან, მათ საშუალება უნდა მივცეთ თავისი საქუთარი გზებით იარონ. მათ ვერ მივუყენებთ ჩვეულებრივი, ან თუნდაც არჩვეულებრივი ადამიანის მასშტაბებს.



სად დასვენებს დაღლილი მგზავრი, განსასვენებელს სად ჰპოვებს ბინას? სამხრეთში, სადაც სიცხე დგას მძლავრი, თუ ცაცხვების ქვეშ რაინის პირას?

ეჰ, იქნებ მიწა ცხელ უდაბნოსი მე მომაყარონ უცხო ხელებმა, ან ზღვის ნაპირზე ქვიშარა დაბლობში, ვაოვო ადგილი განსასვენებლად?

სულ ერთი არის! ზეცის ნათელი ყველგან შემხვდება გაშლილ მკლავებით, ჩემს თავზე, როგორც ცხედრის სათალები, იციმციმებენ ცის ვარსკვლავები.

ცივ ჩრდილოეთში რგებია ხვედრად მწვანე ფიჭვს ღვომა განმარტობით; სძინავს, თოვლსა და ყინულს კი თეთრად მთლად დაუფარავს მისი რტოები.

ფიჭვს ესიზმრება, რომ პალმა ერთი აღმოსავლეთში მდუმარედ, მარტოდ დგას მოწყენილი, აღსავსე სევდით, და მოვარდნილ სალ კლდეზე დარდობს.

მე მათ ძლიერ გამაწამეს, ჩამომადნეს როგორც ცვილი, ზოგმა — თავის სიყვარულით, ზოგმა — თავის სიძულვილით.

წყალში შხამი შემირიხს, მე მათ მომიწამლეს პური, ზოგმა — თავის სიძულვილით, ზოგმა — თავის სიყვარულით.

მას კი, ვინც მე სხვაზე მეტად გამიტანჯა გული დარდით, არასოდეს არა ვძულდი, არასოდეს არ ვუყვარდი.

მათ ჩაგიკენჭეს ამბები სრულად და შემოგჩვილეს მრავალი რამე, მაგრამ ის შენთვის არ უთქვამთ სულაც, საბრალო გული ვით გამიწამეს.

და აკეთებდნენ დიდ საქმეს თითქმის, აქვედნენ თავებს მწუხარე ფერით, მიწოდეს ავი, გამლანძღეს თითქმის, შენც დაუჯერე მათ ყველაფერი.

მაგრამ ყველაზე ცული რაც არი, ჩემო ძვირფასო, მათ არ იციან, ის გულს მიტანჯავს ყოვლად საზარი, მისი გამხელა არ შემიძლიან.

ჰ ი მ ნ ი *

მე ვარ ცეცხლი, მე ვარ მახვილი. მე თქვენ წყვილადში გზას გინათბლით და როს სასტიკი ბრძოლა დაიწყო, მტერს მივკაფავდი თვანწირული, მებრძოლთა პირველ რიგებში მდგარი. ჩემს ირგვლივ ახლა გვამები ყრია ჩემი ძვირფასი მეგობრებისა, მაგრამ მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ირგვლივ გვამები ყრია ჩემი ძვირფასი მეგობრებისა. გამარჯვების სიმღერებს შორის სამგლოვიარო გალობაც ისმის, მაგრამ ახლა აღარ გვცალიან არც მოსოხნენად, არც სამწუხაროდ. კვლავ გრიალებენ დაფლავები, იწყება ბრძოლა. მე ვარ ცეცხლი, მე ვარ მახვილი.

გერმანულიდან თარგმანა მახტანბ ბეჟუშკელმა

* დაწერილია 1830 წლის ივლისის რევოლუციასთან დაკავშირებით.



მშენებლის ხეობაში

ფოტო 3. ჯიარანოვისა

ია მასნი

2. მთასა და გარეში

ბორჯომელის დროა

მაშ ასე, აირეკლა თუ არა თავის ანკარა წყალში ძველი აწყურის ნაპირები, მტკვარი შევიდა ხეობაში, სადაც სულ მალე ჩითავეის ჰესის კაშხალს წააწყდა. ეს პირველი კაშხალია, რომელიც ჩვენს ვაზზე გვეხვედა! წინ კიდევ იქნება ასეთი კაშხლები და თვითეული მათგანი ერთიმეორესგან რაიმე ნიშნით მაინც იქნება გამორჩეული: ან თავისი ხანდაზმულობით, ან უნიკალობით, ან კიდევ საღივით. ყველა ისინი მტკვრის ენერჯის ადამიანის სამსახურში აყენებენ და მტკვარი, შორს თვისი ნაპირებიდან, განაგრძობს დაუცხრომელ საქმიან ცხოვრებას. სიტყვამ მოიტანა და, უნდა ვთქვათ, რომ სწორედ აქ, ბორჯომის

ხეობაში, მტკვრის ერთ პატარა შენაკადზე ოდესღაც აგებულ იქნა რუსეთში ერთ-ერთი პირველი და კავკასიაში პირველი ელექტროსადგური, „თეთრი ნახშირით“ ამუშავებული. ასეთი პატარა სადგურები 300 ცხენის ძალისა იყო და მეფის აგარაკებს უწევდა მომსახურებას.

...ჩვენ ბორჯომში ვართ, მეფის ნაცვლის საქმის მწარმოებლის ყოფილ სახლში, სადაც ამჟამად ბორჯომის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი მათავსებული. კედელზე წითელი დროშა წარწერით: „მე-15 საგზაო-საექსპლოატაციო პოლკის ბორჯომის მშრომელთა დებუტატების რაისაბჭოს აღმასკომისაგან“. დროშა კარგად შემონახულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას ჯერ ვერ ვუწოდებთ ძველს. ის მხოლოდ

15 წლისაა, დააქედან 5 წელი მან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გაატარა. დროშა ბორჯომიდან გავიდა და შემოიარა ორიოლი, ბელორუსია, პოლონეთი, ბერლინი და ისევ მტკვრის ნაპირებს დაუბრუნდა. თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, ჩვენ გავიგეთ ქ. ბორჯომის მშრომელთა დებუტატების რაისაბჭოს თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი ერთი წერილიდან:

„1941 წელს მე-15 ცალკეული საგზაო - საექსპლოატაციო პოლკი, შემდეგში მე-15 ცალკეულ საგზაო-საექსპლოატაციო ათასეულად გადაკეთებული, გერმანელ ფაშისტ-დამპყრობლებთან ომის მთელ პერიოდში ღირსეულად ატარებდა თქვენს მიერ ჩაბარებულ წითელ დროშას დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მონაწილეობა მიიღო მრავალ ბრძოლაში: იბრძოდა ორიოლის მიმართულებით, ბრიანსკის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში, უზრუნველყო გზა საბჭოთა ბელორუსიიდან გერმანელებზე შეტევის ოპერაციების საწარმოებლად. მონაწილეობა მიიღო პოლონეთის დედაქალაქის ვარშავის განთავისუფლებაში, უზრუნველყო I ბელორუსიის ფრონტის ჯარებისთვის გზა ფაშისტების ბუნავზე — ბერლინზე იერიშის მისატანად.

1945 წელს მე-15 ცალკეული საგზაო-საექსპლოატაციო ათასეული დემობილიზებულ იქნა. გიბრუნებთ წითელ დროშას, რომელიც მონაწილეობდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსთვის ბრძოლებში, მადლობას ვუძღვნი ბორჯომის რაიონის მშრომელებს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიისადმი სიყვარულისთვის და გთხოვთ ეს წითელი დროშა გადასცეთ ქალაქ ბორჯომის მუზეუმს დასაცავად.

არმიის გენერალი
ა. ს რ უ ლ ე ვ ი.

1947 წლის 4 ივნისი.“

ამრიგად, ჩვენმა მტკვარმა მონაწილეობა მიიღო უდიდეს ბრძოლებსა და გამარჯვებაში, თუმცა ამჟერად მისი წყლები დამცველთა სისხლით არ შეღებულა, როგორც ბედმა დღეებიან შორეულ წარსულში.

მდინარეს სურს მშვიდობა


მდინარეს სურს მშვიდობა. შეხედეთ, რას აირეკლავს ის თავის წყლებში: ძველი ციხე-სიმაგრეების ნანგრევებსა და ახალაგებულ საუცხოო სასახლებს, სადაც ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. თვით ბუნებამ შექმნა ეს მხარე იმისთვის, რომ აქ ადამიანმა მთელი სისავსით შეიგრძნოს სიცოცხლე. დიდი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი ამ მხარის შესახებ ასე სწერდა ერთ თავის მეგობარს:

„— იცით რა, ზოგჯერ, ყველაფერს ვფიქვამ, ალტაცების ცრემლსა გლგრი, როცა ყოველ ნაბიჯზე ამდენ სილამაზეს ვხედავ... ჩემის აზრით, ეს მხარე ერთი ყველაზე დალოცვილი და მომხიბველი ადგილია მთელ ქვეყნიერებაზე“.

საბჭოთა კავშირის ათასობით მშრომელი ისვენებს და მკურნალობს აქ ბორჯომელი — ექიმები, მედლები, მზარეულები, შოფრები, დურგლები და მრავალი სხვანი ისეთივე დიდი მონდომებით ზრუნავენ დამსვენებლების ჯანმრთელობაზე, როგორც ამას აკეთებდნენ იმ დროს, როცა მათი წითელი დროშა ამყარდა დაფრიალებდა სამამულო ომის ფრონტებზე. მაშინ ბორჯომის ხეობა თავისი სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით ერთ მთლიან პოსპიტლად იყო გადაქცეული. და აი, ქირურგმა კონსტანტინე მიხეილის-ძე ჩორგოლიანმა ორჯერ გადაუსხა თავისი სისხლი საბჭოთა მებრძოლს. მებრძოლი სიკვდილს გადაარჩა, ქირურგს კი მხედველობა მალზე დაუსუსტდა. იგი იძულებული შეიქნა ქირურგია სამულამოდ მიეტოვებინა. ამ სახელოვან პატრიოტს ექიმ ჩორგოლიანს ჩვენ შევხვდით № 1 სანატორიუმში, სადაც ერთ ახლა მთავარ ექიმად მუშაობს.

რით დამთავრდა დავა წყლის შესახებ

№ 1 სანატორიუმის შესასვლელთან აღმართულია ჭაბურღილის კოშკი. ასეთივე კოშკები უკანასკნელ დროს მრავლად გაჩნდა მტკვრის ნაპირებზე. ჩვენ მივედით ერთ ასეთ კოშკთან და გავიგეთ იმ დღი: და საინტერესო დავის ამბავი, რამაც ერთ დროს კინაღამ შეაჩყა ბორჯომის ხეობის მსოფლიო სახელი.




ი. ბ. სტალინის სახელობის გორის მუზეუმის ახალი შენობა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ბორჯომის წყაროებსა და ბურღილებში წყლის რაოდენობამ კატასტროფულად იწყო კლება. ატყდა განგაში, ჩამოვიდნენ სპეციალისტები და გამოთქვეს აზრი, რომ, უთუოდ, ბურღილები შლამით ამოივსიანო. შეამოწმეს მართალი არ აღმოჩნდა. მაშ, რაში იყო საქმე? და აი, გაჩაღდა დავა. ერთნი ამბობდნენ, წყლის საბადო გამოიფიტა, მიწის წიაღში მინერალური სამზარეულო წინანდელი რაოდენობით ველარ ამზადებს წყალს, ამიტომ საჭიროა ჩამომსხმელი ქარხნები შევამციროთ და გავაუქმოთ კიდევ, რადგან წყალი აღარ იქნებაო. მეორენი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ: წყლის მარაგი აუარაცხელია, ოღონდ საჭიროა უფრო ღრმად ბურღვა, საჭიროა ღრმა და ტექნიკურად წესიერი კაპტაჟის გაყვანა. იმის გამო-სარკვევად, თუ ვინ იყო მართალი, სახელმწიფომ მილიონობით გამოძყო ფული საძიებო მუშაობის ჩასატარებლად მთელს ხეობაში, და როგორც ყოველთვის, სიმართლე იმათ მხარეზე აღმოჩნდა, ვისაც სწამდა კოდნითა და ტექნიკით შეიარაღებული ადამიანის ძალა და შესაძლებლობა. ღრმა ბურღილებიდან წყალი შადრევნებად წამოვიდა. ბორჯომის წყლის დებიტი ერთბაშად ერთისამად გაიზარდა. დავა იმით დაგვირგვინდა, რომ გასულ წელს ბორჯომში აიგო კიდევ ერთი ჩამომსხმელი ქარხანა და ბაზარზე მილიონობით გავიდა ნაცნობ ეტიკეტებიანი ბოთლები, რომლებზეც აღ-პეტილია ბორჯომის მინერალური წყლების პირველი წყარო.

სახლი გინნარის პირას

ბორჯომიდან რომ გამოხვალთ, მარჯვენა მალალ ნაპირზე დგას ვარდისფერი შენობა, რომლის ირგვლივ მთელი არემარე საყვირების ხმაურითაა გაყრუებული. ყურთასმენის წამლებად გაჰყვიან პაწაწინა, სათამაშოების მსგავსი ორთქლმავლები. ეს შენობა ბორჯომის დეპო გახლავთ, ორთქლ-

ბორჯომის ხეობა.



მავლები კი ბაკურიანის სახელგანთქმული „კუკუშკები“, ბორჯომის ძველი მკვიდრნი.

დებო უკვე 56 წელში გადადგა. ნახევარ საუკუნეზე მეტია ეს ძველი ორთქლმავლები ციცაბო აღმართზე ვიწროლანდაკიანი გზით ატარებენ პატარა ვაგონების მთელ შემადგენლობას. გზის თვითვე კილომეტრზე მატარებელი 41 მეტრით მაღლა იწევს. მთელი გზა დაკლანძლია, მიხვეულ-მოხვეულია. ზამთარში ის მთლიანად თოვლით იფარება. ორთქლმავლის მემანქანეს ძალზე დიდი სიფრთხილე მართებს.

მიუხედავად ამისა, ბორჯომის დეპოში არიან ადამიანები, რომლებიც მიეჩვენ გზის სიძნელეებს, შეეგუენ თავის მოუხერხებელ, ძველ ორთქლმავლებს და არაფრის გულისთვის არც ერთ სხვა გზაზე არ გასცვილიან თავის ძნელად სავალ მთის გზას. ასეთების რიცხვს კუთვნიან მემანქანე შალვა ლაცაბიძე, რომელიც აგერ ოცდაათი წელიწადია ამ გზაზე მუშაობს. რამდენი რამ არ გადაუზიდა, ვინ არ გადაუყვანია ამ ადამიანს ოცდაათი წლის მანძილზე ჯერ იყვნენ მხოლოდ მოაგარაკენი და მკვიდრნი. მერე გამოჩნდნენ სანატორიუმების მშენებლები, საგზურებიანი დამსვენებლები, მეთილამურები. პატარა ცემში ტყის სკოლა გაიხსნა და შალვას ახლა იქ ბავშვები დაჰყავდა მატარებლით. ხშირი სტუმრები გახდნენ გეოლოგები, რომლებმაც ცინიხჯარში მთის ქანის — ანდეზიტის ბუდობები აღმოაჩინეს. მთაში გაჩნდა მუშათა დაბა, წამოვიდა ზემოდან რკინიგზის ბაქან-ში ძვირფასი ქვა. როცა ბაკურიანში ნადირთსაჭერი საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა, მატარებელში უჩვეულო მგზავრები გაჩნდნენ — მოეცხლისფერო მურა გულები. ზოგჯერ საჭირო იყო ტაბაწყურის ტბაზე მეთევზეებთან ლადოგის ჭაპალა თევზისა და სეგანის მსუქანი იშვანის გადასროლა ახალ წყლებში მათი აკლიმატიზაციისათვის. რკინიგზის მომცრო შტო გახლავთ, მაგრამ რამდენი სიცოცხლეა აქ და რა



ბორჯომის დეპოს მემანქანე შალვა ლაცაბიძე.

მკიდრო კავშირშია ის მთელი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის დიდ ცხოვრებასთან.

სუკაის უღელგაბის ბაგონ-პაგრონი

მტკვარი განაგრძობს თავის გზას. მის ორთავ ნაპირზე მდუმარენი დგანარა წიწვოვანი ბუმბერაზები, თითქოს პარალელუ გამოსულიან მწვანე მუნდირებში გამოწყობილი, — დგანარა ზვიადნი და პირქუშიანი. არ გაისმის აქ სანადირო ორლულიანი თოფის ხმა: სახელმწიფო ნაკრძალში დატულია და მრავლდება ოდესღაც სახელგანთქმული ბორჯომის ირემი. არ გაისმის ცულის ჭახანი და ხერხის ღრჭიალი: კურორტის ტყეებში არ შეიძლება არც ერთი ხის მოჭრა.

სოფელ ქვიშხეთთან მტკვარი ხეობიდან გამოდის. მარჯვნივ — ქართლის ვაკეა გადაშლილი, მარცხნივ — სურამის უღელტეხილია აღმართული. აქ, უღელტეხილთან ჩვენ ისევ რკინიგზებთან მოგვხვდით და თითქოს რკინიგზის ტრანსპორტის ისტორიის ერთი ეპოქიდან მეორეში გადავაბი-ჯივ.

1932 წელს ხაშურში შექმნილი იყო საბჭოთა კავშირში პირველი ელექტროდეპო. აქედან გამოვიდა და უღელტეხილი გადალახა Б.И № 19-01 სერის პირველმა საბჭოთა ელექტრომავლმა. ეს პირველი ელექტრომავალი ახლაც მუშაობს, მაგრამ მას აქეთ საბჭოთა მარკის შვიდი სხვადასხვა სერიის ელექტრომავალი გამოიცვალა და ახლა ისინი სამჯერ უფრო მძიმე შემადგენლობას ეზიდებიან უღელტეხილზე. ჩვენი ქვეყნის მრავალმა გამოჩენილმა მემანქანემ გაიარა აქ, სურამის უღელტეხილზე ელექტრომავლის ტარების პირველი სკოლა.

ამავე დროს თვით დეპოში იზრდებოდნენ ელექტრომავლის ქართველი მემანქანეების მთელი ოჯახები: ძმები ილია, გიორგი და პლატონ ლაბაძეები, ძმები კიკნაძეები...

აი ის ორი ძმა — გახტანგ-და გიორგი კიკნაძეები, ორივე სამგზავრო მატარებლების მემანქანეები. ისინი ერთმანეთს უღელტეხილთან შეხვდნენ: ერთი სამტრედიისკენ მიემართებოდა, მეორე ხაშურში ბრუნდებოდა.

— გზა გახსნილია, ძმაო!
— გზა მშვიდობისა!
მდინარეზე გაისმის ორი საყვირის დაბალი, ხვერდოვანი ხმა...

გინ, გვპარო!

— წინ, მტკვარო, წინ!
— ალმაცერი, თოვლნარევი წვიმა მოდის. აბორგა მტკვარი, რომელიც წელმოწყვეტილივით მოიზღაზნებოდა ბარში. აღიდა მდინარე, მოიღუშა და აბობოქრა. გამჭვალავ ქარიან თაყსამაში მოჩანს შიშველი მინდვრები და ფოთლებგაძარცული ხეები. ასეთ დროს მიწა ნაღვლიანად გამოიყურება. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო

აქვს: ის, რაც მოყვანილი და მოწეული იყო ამ მიწაზე, ახლა იფქვება წისქვილებში, მუშავდება შაქრისა და საკონსერვო ქარხნებში, რომლებიც აქვე ბარშია განლაგებული.


მტკვარი ქართლის გულისკენ — ქალაქ გორისკენ მიისწრაფის. პატარა სახლში, ლიახვისა და მტკვრის შესართავთან დროის მარადიული სვლა შეწყვეტილია. ამ სახლზე მინის ტალავებია გადმოხურული, რათა დიდხანს იყოს დატული იმ სახით, როგორსაც იცნობდა მას აქ დაბადებული ადამიანი, დიდხანს იყოს შენახული იმ სახით, როგორიც უნდა იხილონ ის მსოფლიოს ყოველი კუთხიდან აქ მოსულმა ადამიანებმა, რადგან... ვით სწრაფმდინარ მტკვარში წყალი არ დაიწრებოდა, ისე ხალხის მესხიერებაში სტალინის ხსოვნის ცოცხალი წყარო არასდროს არ ამოშრება.

ამიტომ, დაე, დროის მდინარეა აქ შეწყდეს. მაგრამ მხოლოდ აქ. ირგვლივ კი ყველაფერი დღით დღე სახეს იცვლის. აქ უკვე აზიდულია ახალი ფაბრიკების კორპუსები და გადაშლილია ბამბეულის კომბინატის — ამ უღელისი საფეიქრო წარმოების მუშათა დაბა. ძველი ქალაქის ნაცნობ სურათში თითქოს ახალი საღებავებით არის ჩახატული ვარდისფერ ქვაში ჩამჯდარი შენობები.

აი ახალი მოედანი, ახალი მრავალსართულიანი სახლები, ახალი განიერი ქუჩები და სულ სხვანაირი, საქმიანი, მუშური ტემპი ცხოვრებისა. ქალაქი ფართოვდება, იზრდება, მოძრაობს და, შეიძლება ითქვას, ეს ყველაზე უკეთესია, რასაც ის აკეთებს თავისი დიდი შვილის სახსოვრად.

(გაგრძელება იქნება)

ლიკანი. საქ. პროფსაბჭოს სანატორიუმში.





სოფელი ფოთი

სოფელი პატარა ფოთი. კოლხიდის ამოშრობის ნაქობარ ადგილზე.

ფოტო პ. ლუცენკოსი

მახლობლად რამდენიმე წლის განმავლობაში რიონმა დატოვა მხოლოდ მეთი კუბური მეტრი გრუნტი და ნიადაგის ზედაპირი, ამის მეშვეობით ზღვის დონიდან 1,5-2 მეტრით აიწია. ქობობთან საბრძოლველად გამოყენებულ იქნა მძლავრი ტექნიკა: მიწისმწოვი მანქანები, ექსკავატორები, ბულდოზერები, რეზულტორები, გრეიდერები. თავდადებით შრომობდნენ „კოლხიდმშენის“ მშენებლები ბუნების გარდასაქმნელად. დამთავრდა კოლხეთის პირველი რიგის ამოშრობა. ქობობისაგან განთავისუფლდა 50 ათასამდე ჰექტარი მიწა. აქედან თითქმის 40 ათას ჰექტარზე უკვე დარგულია ჩაი, ციტრუსები, ტუნგო და სხვა სუბტროპიკული კულტურები, დათესილია სიმინდი.

ფოთი, კარგად დატკეპნილ გზატკეცილს მივყავართ სოფელ პატარა ფოთში. ეს სოფელი ქალაქ ფოთის მახლობლად მდებარეობს. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ გზა, რომელზეც ასლა განუწყვეტლივ დაჰქრიათ ავტომანქანები და თვალუწყვედნ მინდორზე გადაჭიმული სოფელი სულ ცოტა ხნის წინათ დაჭობებულ ადგილს წარმოადგენდა, აქ მხოლოდ ტყის ველური მცენარეულობა ხარობდა.

ამოშრობილი მიწის ფართობზე შეიქმნა პატარა ფოთის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის წევრები გადმოსახლდნენ საქართველოს მცირემიწიანი მთის რაიონებიდან.

პატარა ფოთის კოლმეურნეობას სახელმწიფო აქტით გადაეცა 800 ჰექტარზე მეტი მიწა. არტელის შექმნის პირველი დღეებიდანვე, კოლმეურნეობა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს მიწის მთლიანად ათვისებას, მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებას. ახლა აქ მოჰყავთ სიმინდი, რომელსაც 350 ჰექტარი უკავია, ბოსტნეული, ბაღჩეული, საკვები და სხვა კულტურები, ხილი, ციტრუსები. ვითარდება მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა შესაძლებელი კოლხეთის მიწების ამოშრობისა და გამოყენების პრობლემის გადაჭრა. დიდი სამიერო სამუშაოს შემდეგ შედგენილი იყო კოლხეთის დაბლობის ამოშრობის გეგმა. გეგმა ითვალისწინებს ღვართაჟის შეკავებას მთის არხების ქსელით, მდინარეების შეკავებას წყალდიდობის დროს წყლის მოვარდნის თავიდან ასაცილებლად, არხების ფართო ქსელის შექმნას, რომლებიც ნიადაგიდან ზღვაში შეიტანენ ზედმეტ ტენს. იმ ადგილებზე კი, სადაც არ არის ბუნებრივი ჩასადენი, მათი მაღალი მდებარეობის გამო, დაგეგმილია ნიადაგის კალმატაცია იმ გზით, რომ ყოველ წელს მიწაყრილით შემოვლულ ნაკვეთებში შეუშვებენ მღვრიე მდინარის წყალს. ქვიშა და შლამი, რომლებიც წყალს მოაქვს, ილექება ნაკვეთზე, ხოლო სუფთა წყალს გადასადები რაბით უშვებენ ზღვაში. საკალმატაციო ნაკვეთზე ქალაქ ფოთის

კოლხიდის დაბლობის დალექვარეფულია ცია.



წელს 90 ჰექტარ ფართობზე სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესა, განახორციელა ამ კულტურის შემჭიდროებული თესვა სოიასთან და ლობიოსთან ერთად. ნაჯარაუდევია, რომ მარტო სიმინდი 25-30 ცენტნერი მიიღონ თვითულ ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერის ნაცვლად. ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე — 40-მდე ცენტნერი. 10 ჰექტარზე პირველად იქნება მიღებული ჭყინტი სიმინდის ორი მოსავალი.

საკოლმეურნეო წარმოებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს მეცნიერული მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ინსტიტუტის კოლხეთის საცდელ მინდორზე, ამ საცდელ მინდორს 40 ჰექტარი ფართობი უკავია. აქ წარმოებს ცდები, რომ გამოიყვანონ უფრო მოსავლიანი ჯიშის სიმინდი, სოია, საკვები ძირგვენები, გამოიყენონ მოწინავე აგროტექნიკური ხერხები. აქ თავმოყრილია პარკოსანი და მარცვლიანი ბალახების მდიდარი კოლექცია.

მეცნიერმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს საუკეთესო აგროტექნიკური ვადები, რომ განხორციელდეს ხვნა და თესვა შავიზღვისპირეთის ზოლის პირობებში. დადგენილია, რომ ამ ზოლში მოსავლის დიდ ნაშატს იძლევა სოიას თესვა სიმინდის მწკრივთაშორისებში. აღნიშნულმა მეთოდმა, სხვა დამატებით ღონისძიებათა გამოყენებლად, შარშან შესაძლებელი გახდა თვითულ ჰექტარზე მიეღოთ 30 ცენტნერამდე სიმინდი და 10 ცენტნერზე მეტი სოია. ამ ხერხს იყენებს ახლა კოლხეთის დაბლობის ბევრი კოლმეურნეობა.

პატარა ფოთის კოლმეურნეობამ მოიყვანა, აგრეთვე, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების, ხილის კარგი მოსავალი. იზრდება მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის პლანტაციები. წელს ვარაუდობენ 400 ათასი მანეთით მეტ შემოსავალს, ვიდრე შარშან.

პირტუცვის პროდუქტიულობის გადიდებაში პირველ წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. წარსული სამეურნეო წლის ცხრა თვეში წველადობამ ორნახევარჯერ გადააჭარბა წინა წლის მანძილზე მიღებულ წველადობას.

დიდი ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. უხეში არაკონცენტრირებული საკვების გარდა თვითული ძროხისათვის ინახება ექვს ტონამდე სილოსი.

კოლმეურნეობა განაგრძობს თავისი მეურნეობის განვითარებასა და განტკიცებას. მიმდინარეობს მეცხოველეობის სამი ტიპობრივი სადგომის და დიდი ფრინვლის ფერმის, აგრეთვე, 370 ტონა ტევადობის ორი სასილოსე კოშკის მშენებლობა.

ამას წინათ, პატარა ფოთის კოლმეურნეობმა განიხილეს და მიიღეს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა. ეს გეგმა, კერძოდ, ითვალისწინებს სიმინდის ნათესთა გადიდებას, რაც კოლმეურნეობას დიდ სარგებლობას მოუტანს და შესაძლებლობას მისცემს უკვე ერთი წლის შემდეგ გახდეს მილიონერი.

...მწვანეში ჩაფლული სოფელი პატარა ფოთი. მწვობრად ჩამწკრივებულ კოლმეურნეთა 300-მდე საცხოვრებელი სახლი და მათი საკარმიდამო ნაკვეთები. ფუნდამენტალურ შენობაში მოთავსებულია რვაწლიანი სკოლა.

სწრაფად აყვავდა საკოლმეურნეო ცხოვრება სხვა სოფლებშიც, რომლებიც კოლხეთის უკაცურ მიწებზე გაშენდა. ახალ ადგილებზე გადასახლებულ კოლმეურნეთათვის დიდად ზრუნავენ პარტია და მთავრობა. კოლმეურნეებს აძლევენ ახალ სახლებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, მთელ რიგ შედავთებს, სახელმწიფო კრედიტებს.

გ. შავიუზილი



რუსთავში

იქ, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ უდაბური ველი იყო, ძველი ნაქალაქარის ადგილზე აშენდა ახალი რუსთავი.

რუსთავი არის რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი. მისი უზარმაზარი კორპუსების, ფართო ქუჩებისა და ლამაზი შენობების სანახავად განუწყვეტლივ მოდიან მნახველები საქართველოს ყველა კუთხიდან.

მაგრამ ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი რუსთავში არის ქართველი მეფოლადეების შრომითი ცხოვრება, მათი ბრძოლა ქარხნის სახელისა და ღირსებისათვის.

რუსთავი, მისი მოწინავე ადამიანები, დიდხანია იქცა ქართველ შემოქმედთა შთაგონებად.

ჩვენმა მწერლებმა არა ერთი აღფრთოვანებული ნაწარმოები მიუძღვნეს ა/კ. სტალინის სახელობის მეტალურგიული გიგანტის სახელოვანი ადამიანების შრომასა და ცხოვრებას.





ქართველი მხატვრები გატაცებით ხატავენ ახალი რუსთავის პეიზაჟებს, მისი მოწინავე ადამიანების პორტრეტებს. ამასწინათ რუსთავში მუშაობდა მხატვარი კ. მახარაძე. წინამდებარე ჩანართზე ვაქვეყნებთ კ. მახარაძის რამდენიმე ჩანახატს.



გზა რუსთავისაკენ



ფლადის მდინებელი ზ. კვანცია და შ. კუბლეშვილი



ბამბის საპირის ჯეირანი


საქართველო
ბიზნისკომისია



ფოლადის მღნობელი
შ. სოხაძე



თუჯის ჩამომსხმელ სამკროში



ბ. გულისაშვილი

დიდ რუსულ ღუმელში ფიჭვის შუბა საამოდ ტკაცუნობს. იატაკზე დაგებული თუნუქზე საცეცხლურიდან უხვად ცვივა მოცინციმე ნაპერვკლები და იფერფლებს. ოთახში ფისისა და მოხარული ხორცის მსუყე სურნელი დგას.

სანამ კერძს ჩამორიგებდნენ, ხელები გადავიბანეთ და სტუმარ-მასპინძლები გულუხვ სუფრას შემოუსხედით. გამრჯე დიასახლისი არსად ჩანდა, თორემ სუფრას უდიასახლისობა სულაც არ ემჩნეოდა. რა არ იყო მაგიდაზე: ცვრიანი მწვადები, მშრალად მოხარული კანკი; მწილი — კომპოსტისი გენებავთ თუ პამიდორის, კიტრები თუ წიწყა! გვერდებდაბრაწული პურებიც არ დავიწყებოდათ, რამდენიმე ბოთლი „ჟიბიტაურიც“ შემოენახათ ასეთი დღისათვის.

ცოტა არ იყოს, გაგვივირდა. მშობლიური სოფლიდან შეიდასი კილომეტრით დაშორებულმა მწყემსებმა სად იზოვეს ამდენი ხორაკი, ალბათ, „ჩორნი რინოკიდან“ სპეციალურად ჩვენს პატრისკემად ჩამოიტანეს, ვიფიქრეთ და მასპინძლებს — სოფელ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ადამ ქეთარაძეს ვუსაყვედურეთ, — რად სწუნდებოდით, არც მცირეზე დაგემდურებოდით-თქო.

თავმჯდომარემ გაკვირვებით შემოგვხედა, როცა ნათქვამს მიგვიხვდა, იწყინა და თქვა:

— თქვე დალოცვილებო, სტუმრობა თქვენი ვალი იყო, მასპინძლობა კი ჩვენ დაგვაცალეთ. რასაც აქ უყურებთ, ყველაფერი ჩვენი მონაგარია, საყიდლად და სასესხებლად არსად წავსულვართ. ეს ბინა წელს ავაგეთ. როგორც ხედავთ, ყველაფერი გავითვალისწინეთ მწყემსების კულტურული ცხოვრებისათვის: აბანო, პურის საცხობი, სასადილო-სამზარეულო, საერთო საცხოვრებელი, წითელი კუთხე, რადიო, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით. ამაღამ ისე მოგასვენეთ, თავი „ინტურისტში“ გეგონათ. განა მვეღუტურად ისევ ერთი ჯამიდან შექცევიათ მწყემსები საქმელს. ჯამ-ჭურჭელი და დანა-ჩანგალი ვუყიდეთ, ეს მწილიუღლიც მწყემსების შრომის ნაყოფია. არტეზიულ წყლთან ბოსტანი გავაშენეთ, ზაფხულში ისეთი სასამართლები გვექონდა, თითო ფუტს იწონინდა. — მცირე დღეში შემიღვე თავმჯდომარემ განავრდა, — რის შეწუხება, პირიქით, თქვენთან ბოდიში უნდა მოვიხადოთ, საკლავი რომ ვერ დაგიკალით. რა ვენათ, ჩვენი ადამ-ჩვეულება ასეთია: კარგი მწყემსი ახლა ცხვარს ყელს არ გამოსჭირს. ზაფხულში მთაში გვეწვიეთ, ბატკნის ხორციით იქ გავიმასპინძლებით...

— აბა ამ ბებერი თხის ხორცი გინდათ მოგვატყუოთ? — იხუმრა ღუშეთის რაიონული განუთის რედაქტორის მოადგილემ გივი ნადარეიშვილმა.

— ეს თხა კი არა, მეგობარო, ეკლის კანჯარია. დილას ბიჭები ჩალის მოსატანად ყუმის ნაპირებისაკენ წასულიყვნენ, კანჯარის ნოტოს წასწყდომოდნენ და წაენადრინათ. მარჯვე ხელი აქვს ჩვენს ივანე პატაშურს, — თითქოს თავი იმართლაო, ჩაილაპარაკა ფერმის გამგემ.

მასპინძლებიც და სტუმრებიც მაღიანად შევეტეოდით ნანადირევს. დროდადრო თავმჯდომარე მოკლე სადღეგრძელოს იტყოდა, ჩვენც დავილოცებოდით და კვლავ უხმოდ ვანგაგრობდით ჰამას. როდესაც შევსაყრდით, ივანე აფციურმა დაიწყო: — სწორედ რომ კარგ დროს გვეწვიეთ, სტუმრებო. ეს ერთი კვირია, რაც ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ჩამოვრეკეთ ცხვარი და დავინავდით. საძოვრები კარგი გვაქვს, საკვები სამყოფი, ფარეხები ხომ უკეთესი აღარ შეიძლება ინატრო. ჩვენც კარგად მოვეწვიეთ. მწყემსებს, რომ იტყვიან „ჩიტის რძე არ აკლიათო“, სწორედ ისია. მაგრამ მოგახსენებთ, უდიდესი ოჯახი რომ ოჯახი არ არის. ჩვენები მთაში სახლ-კარს ვერა შორდებიან. ჩვენს ცხოვრებას კი იმათი ხელი აკლია. ყველაფერი სათქმელია — დაკერება გვეკრძალება, გარეცხვა... ქალის მონარმული საქმელი უმარმოც რომ იყოს, მაინც გვემჩიო გეჩვენება. შარშან ერთი მოხუცი დედაცაცი ამოიყვანეთ ჩორნი რინოკიდან. მთელ ზამთარს დედასავით ვევილიდა, სითბო და მყუდროება არ მოგვეკლებია. ჩვენც, რაც შეგვეძლო, პატრისკემით გვეტეოდით, გვემადლიერებოდა. ზაფხულში მთაში არ წამოგვეყვა, ნაჩვევ ადგილზე დარჩენა არჩია. წელს ცოტა შეგვავიანდა გზაში, ცხვარი ნება-ნება მოგვიდოდა. ლაფანანთკარის ფერმის მწყემსებს დაესწროთ და ჩვენი ავღოტია თავისთან წაიყვანათ, რაღა გაუწყობოდა, ახალი მზარეული ვიშოვეთ. უხერხი გამოდგა. ერთთავად სარკეში იყურებოდა, წარამარა ლოყებსა და ტუჩებს იფერადებდა. ის-ის იყო თქვენი მოსვლის წინ გავკვეცა...

— ჩვენი მონადირის ბრალია, ვერაფერი გაუფო. ყუმიდან დაბრუნებულ ივანეს გაუტყავებელი კანჯარი სამზარეულოში შემოეტანა. მზარეულს თვალში არ მოსვლიდა ნანადირევი და მონადირისათვის ეკითხა: გენაცვალე, ჩტო ეტო. დობხო, — რუსულად ეთქვა, მინდობში უსულადი პოეო? ივანემ რუსული არ იცის და თავისებურად გაეფო ქალის ნათქვამი. — ჰო, თობლიაო, — გაზაფხულზე მოგებული ფისიკაო, კვერი დაკვრა. იმასაც მეტი აღარ უნდოდა, დობხოა და აქ რაღას მოვაქო, დაველო ხელი და ეზოში გადავდლო.

გაკვირვებოდა ივანეს, მზარეულის წყრომის მიზეზი ვერ გაეგო, ნანადირევი სამზარეულოში შეეტანა, ხაროში შაშლიკიო, კარგი სამწვადე ხორციო, ეთქვა. გამწყრალიყო ჩვენი დელოფალა. — იგი საბაკამ ტენისო, თვითონ კი გუდამაყრელთა ფერმაში ჯღანასთან გაქცეულა. — პრამაი, გენაცვალეო, ეთქვა ჩვენი მონადირისათვის გამომშვიდობებისას, — დამთავრა ივანე აფციურმა თხრობა და ახლად გაეღმა.

ყველას ერთხმად თავმჯდომარეობის სიცილი წავგვსდა, მხოლოდ უიღბლო მონადირე ივანე მდუმარედ ყურებამდე გაწითლებული. მერე ოდნავ გასაგონად თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა ჩემი ბრალია, მკითხა თობლიაო?.. მეც ვუთხარი, თობლია-მეთქი, ტყუილს ხომ არ ეტყობოდა, სამი წლის ჰეილა არ იყო და... — ეს ტიალი კანჯარი ძლიერ მომრავლდა, ამხანაგო შალვა, მალე ცხვარს ბალახი აღარ ექნება და თვით გამოკვება დაგვეჭირდება. რამე უნდა ვიღონოთ, თორემ მწყემსები კომბლებით ვერას გაეხდით, — შესჩივლა ფერმის გამგემ ალმასკომის თავმჯდომარეს.

— განა ცოტა დაიხვია შარშანწინ ზამთარში, — გვითხრა ადამ ქეთარაძემ, — მაგრამ მაინც არ დაიღია...

— მაგათი წესი ასეთია, — ყოველ გაზაფხულზე ტყუბ ფსიტი ივებს დედალი, ამიტომაც ასე სწრაფად მრავლდება, ევ სამგლე, — ქეთარაძეს სიტყვა ჩამოართვა ვეტყვიმმა ივანე პეტრიაშვილმა, ბაჯივანის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ამირან შუმლაძემ კი განავრდა:

— წელს ნებადართულია კანჯარზე ნადირობა. გაზაფხულამდე ათი ათასი სუ-

ლის მოკვლა შეიძლება, მაგრამ ტყვიამფრქვევებითაც ვერ გასწყვეტ მაგდენს. ამას წინათ თბილისიდან სამხედრო მონადირეები ჩამოვიდნენ ავტომანქანებით, ორ დღეს ინადირეს და ცამეტი კანჯარი ძლივს მოკლეს, თითოთორულად მწყემსები და ჩვენც ეზოცავთ, მაგრამ თერგს კოვზით როგორ დააშრობ. ჯოგებდა დადინ ათას ხუთასი, ორი ათასი სული ერთად...

— ხვალაც თუ დღევანდელივით მზიანი დღე გამოვიდა, მანქანით დავივლი საძოვრებს და ყუმისაკენ გადავრეკავ კანჯარებს, ჩვენს სტუმრებსაც წავანადირებ, რომ მთელ სიცოცხლეში არ დავიწყოს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მოზამთრე მწყემსები, — თქვა ღუშეთის რაიონის ალმასკომის თავმჯდომარემ შალვა მწითურმა და წამოგდა.

— მეზარეობის შემდეგ გაბანება მოგინდებოთ, უფრო მჭიბლად დაგვიტინებოთ, სტუმრებო. ნუ დაიზარებთ, მერე დაგვიადლებოთ, — მოგვმართა ფერმის გამგემ და აბანოში გავვიძღვა: სანამ ჩვენ ვკახშობდით, მზარეულს აბანო გაეხურებინა. ჩვენც თხოვნა აღარ გავამეორებინეთ მასპინძელს და სიამოვნებით გადავივლოთ არტეზიული წის ქაფქაფა წყალი, რომელმაც თავისი გოგირდის სუნით თბილისის აბანოები მოგვაგონა.

სტუმრები ცალკე ოთახში მოვავათავსეს. თეთრ ზეწარგადაფარებულ თბილ საწოლებში ვიწვიეთ და არა გვეკროდა, რომ ნოღის ველზე ვიყავით. შალვა მწითურმა ჩვენი ვაოცება როცა გაიგო, გვითხრა:

— ასეთი „ინტურისტი“ ახლა ყველა ფერმაშია მოწყობილი. მარტო გულდაწყარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან და წელს 9 ასეთი სახლო აავო. მთლიანად ღუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა კი ორმოცდაათი...

...დილით, ჯერ გათენება სად იყო, რომ წამოვდეთ. სანამ სანადიროდ გამოვეწყობოდით, მზეც ამოვიდა და ფერმკრთალი, სითბოგამოლეული სიხვიე მოგვინა თვალუწვედელ ნოღის ველს. ადამ ქეთარაძემ თავისი „ვაზ-69“ დაგვითმო, მწყემსებმა ორი ცალლულა სანადირო თოფი და ერთი მცირეყალი-ბიანი შარშან გვათხოვეს, თან დარიგებაც არ დაიშურეს. ფრთხილად იყავით მანქანიდან არ გადმოვივდეთო.

...ხელისგულივით მოტიტვებულ ველზე ავტომანქანა ფეთიანვით მიჰქრის. ჩვენ მანქანის ორთვე მხარეს მოხერხებულად მოვეწყეთ. სათვალთვლო სექტორები გვიწვავდა და მზერად გადავიტყვით. დროდადრო შორს, ცის დასალიერზე, ცხვრის ფარა გამოჩნდება, მხარზე კომპალგადებული ჯინჯილებიან ნაბადში გახვეული მწყემსი რომ მიოძღვის წინ.

— პირქვა, კანჯარები, ბიჭებო! — წაიოიხაბეს რომელიმე ჩვენგანი, მაგრამ გამოცდილი მონადირე შალვა მწითური წარბსაც არ ატოკებს და მისი ოლიმპიური სიღინჯე ჩვენც სააოლოოდ გვამშვიდებს.

ფერმას სამიოდე კილომეტრით დავმორდით, მაგრამ კანჯარებს ვერსად წავაწყდით. მწყემსები გვერწმუნებდნენ, „ბაკებთან“ უთუოდ შეგვეყვინათ, მაგრამ ბაკებიც უკან გვერწმუნებდა და ნანატრი ნადირი ვერსად აღმოვიჩინეთ. მე უკვე იმედი გადავიწყვიტე — ალბათ, სხვა მასივზე გადავიდოდნენ, დღეს ვერაფერს წავაწყდებით-მეთქი.

— არაფერი, ჩანს? — თავის მოუბრუნებლად კითხულობს მწითური, პასუხი არ გავეცით, რადგან ალაგ-ალაგ მამბისქულა ღრუბლის ნაგლეჯებით ვაშლიო ცხვრის ფარები გარდა ვერაფერს ვხედავდით.

— აბა, ჩრდილოეთის ყორღანისაკენ გა-ხვდეთ, — კვლავ აუღელვებლად ამბობს მწითური და თვითონაც არწვივით მჭირელი თვალები იქით მიაპყრო, მერე მოფრის ხმადალა რაღაც ჩაულაპარაკა, ავტომანქანამ ნახევარწრე მოხაზა, გეზი ყორღანისაკენ აიღო და სვლას უმატა: როგორც მოასფალტებულ შარზე, ისე მიჰქრის ავტომანქანა ავსნიითა და კუტიმლაშეო დაფარულ ველზე. ყორღანის მახლობლად დიდი ფარა მოჩანს. მანძილი ჩვენსა და ფარას შორის ყოველ წამს იღვავა.

ჯოჯი ადგილს მოსწყდა. ავტომანქანის სპიდომეტრზე ელვის სისწრაფით იცვლებიან ბატარა ციფრები, ყოველ წუთში კილომეტრზე მეტს გავდივართ. უკან დარჩა პირველი ხუთი კილომეტრი. ჯოჯი ვერსად უფლის ბარხანებს, ტაღობებს და თითქოს სისწრაფეში გვეკრძალებოდა, სწორ ადგილს ირჩევს სასაბრეზოდ. ჯერ ჩრდილოეთისაკენ მიჰქრის კანჯარები, მერე მხარა იცვალეს და დასავლეთისაკენ გაქანდნენ. ლარივით გაჭიმული მოძრავი ტაღობა სულ უფრო იწვლავდა, წვრილდება, მერე წყდება და იქსაქება. ჩამორჩენილბს გაუფუსურდით. ერთ ხანს რამდენიმე ათეული მეტრის დამორბით ერთმანეთის, პარალელური კურსით მივქრით, სროლა აღარც გვაგონდება, ბუნების ამ შექანინიშვით სანახაობით ვტკბებით.

— ამათი მოკვლა აღარ ღირს, ბებრები და ავადმყოფები ჩამორჩნენ, ხორცა უფარგისი ექნებათ, — ამბობს მწითური და გულგრილად გასცქერის მაღალ კანჯარებს, რომლებმაც განზე გაუხვიეს და, რაკი ნახეს, აღარ მოგვედვენო, გაჩერდნენ და ბალახს დაუწყვეს წიწყა.

გაქცეულბს გავეცდით. ოინი კი თითქოს აქ არაფერიყო, გრძელი ნახტომებით ლევენენ მანძილს. სამხრეთით კანჯარების ახალი ჯოჯი წამოიშალა, მოწინავეებმა მათვე გაუხვიეს.

— ივანე, არ გაუშვა! — გამოცოცხლდა მწითური, — თუ შეერთდნენ, დაწვეა გავინდებლბა, დასვენებულბს გაჰყვებიან.

შოფერმა მარცხენდ მოუხვია და მოკლევ დედაბირა გზის მოჭრა, მაგრამ გვიანდა იყო. ჯოჯები შეერთდნენ და ახალი ძალით გაქანდნენ.


— შორიახლოს იარე, უკან არ მიჰყვ. თორემ წავვივლო, მაგათი სამალები ყუმის ნაპირებზეა, იქით მიეტანებიან. უყურე, უყურე, წრეს უფლიან, ისევ ჩრდილოეთისაკენ უნდათ გასვლა. სამხრეთით ბინებია და ირბებიან, ჩრდილოეთით კი თავისუფალი ტრამალია, გზა არ მისცე! — ფიცხობს შალვა და თოფი მოზადებული უჭირავს გასასროლად.

შმაგურ ბბოლაში უშველებლბთ წრე მოგხაზეთ ველზე, რომლის ცენტრი ადრე დანახული ყორღანი იყო.

გზად კიდევ ორი ჯოჯი წამოვფრთხეთ და ეს ამოდენა აზვირთებელი ცოცხალი მდინარე, რომელშიც ხუთი ათასზე მეტი კანჯარი იქნებოდა, ჯერ სამხრეთისაკენ დაიშვა, შემდეგ კი ალმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი.

ჯოჯმა დიდი მანძილით ჩამოგვიტოვა უკან და ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი. ყორღანი ახლა უკვე მხარმარცხენდ დავგრჩა. ჩვენ მოკლევ მოგვეერთ მანძილი, ათიოდ კანჯარი გავინაპირეთ და ალმოსავლეთისაკენ გავირეკეთ. მათ შორის ერთი მამალი ერია, რომლის უშნო თავს ორი მამაში რქა ამშვენებდა.

აგაბღარი კოლმეურნი



- პაპა, კურდღელი დამიჭირე...
- პაპა, ციყვი მომიყვანე, რა!
- პაპა, ველოსიპედის პედალი გამიტყდა...
- პაპა, ბზრიალა გამიკეთე...
- პაპა, წითელი ვაშლი მინდა...

მოესმის პაპა ილიკოს, როცა სკოლიდან გამოსული ბავშვები სოფლის შარაგზაზე მორბიან, ილიკო ამ დროს განსაკუთრებით განიცდის ბავშვების სიხარულს და თვითონაც უხარია. — ვინც კარგად ისწავლის კურდღელსაც იმას მოვუყვან და ბზრიალასაც იმას გავუკეთებ — წყნარად მიუგებს მოხუცი და ბავშვებს საუბარში შეჰყვება. ილიკო ბავშვების საყვარელი მეგობარია. არა ერთხელ გაუხარებია მას ნორჩების გული: კურდღლს ბაჭიებით, ციყვებით, თხილით, მარწყვითა და წითელი ვაშლებით. მაგრამ პაპა ილიკო სოფელში მარტო ბავშვებს როდი უყვართ, ილიკოს ყველა პატივისცემის, ყველა მისი მადლიერია.

კაცი საქმით ფასდება ნათქვამია და ილიკომაც სწორედ საქმით მოიპოვა ეს პატივისცემა და სიყვარული.

ილიკო შვერდაშვილი თიანეთის რაიონის სოფ. კვერნაულას მკვიდრია. პატიოსანი, თავმდაბალი, დაუხარელი ილია მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სასარგებლო საქმის ზრუნვაშია გართული. სოფლის თავკაცები სადაც არ უნდა შეიყარნენ, რაზეც არ უნდა ჩამოგადონ საუბარი, არ შეიძლება ილიკო არ გაიხსენონ. ანდა როგორ არ გაიხსენებენ: ნადირობა და ილიკო მთელი ივრის ხეობაზე განთქმული მონადირეა; მყნობასა და ხეხილის მოშენებაში ხომ ტოლი არა ჰყავს. მჭედლობა და გუთნისდებობა, როგორც სოფელში ამბობენ, მისი მოგონილია. მაგრამ ისეთი ამაგდარი კაცის სახელის მოხვეჭა, როგორც ილიკოს აქვს, ადვილი როდია. საქმეს, რომელიც კაცს ქვეყნად გამოაჩენს მარტო თავდადება როდი ჰყოფნის, ამისათვის ცოდნა, გულისხმიერება, მოთმინება, გამარჯვების დიდი რწმენაა საჭირო.

ილიკო შვერდაშვილს ეს რწმენა ამოძრავებდა, როცა ხელი მოჰკიდა სოფლის ტყიან მიდამოებში ხეხილის გაშენებას. იმ ველურ მცენარეთა გამოყენებით, რომლითაც ესოდენ მდიდარია მისი სოფლის შემოგარენი, ილიკომ სასურველ მიზანს მიაღწია. მყნობასთან ერთად ის ეწეოდა მცენარეთა თესლითა და გადაწვევით გამრავლებას. მისი სახლის გადაღმა, ოდესღაც გაუვალ წვრილიან ფერდობზე დღეს თქვენ შეხვდებით ვაშლის, მსხლის, ბლის, კაკლის, ქანჭურის, სხვადასხვა ჯიშებს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს კუნელზე და ძირხვენაზე დამყნული კომშის ბუჩქები, რომლებიც ილიამ უკანასკნელ ხანებში ახარა და საუკეთესო შედეგებს მიაღწია.

ილია შვერდაშვილმა დიდი ხანია დაიწყო ტყეში გარეულ ხეებზე კულტურული ჯიშების მყნობა და ნამყენთა რიცხვი

ერთიორად გააღიდა. ილია ახლა მათ სამი ათას ძირამდე ითვლის, ხეხილი კარგა ხანია ნაყოფს ძალევა და სოფლის კუთვნილებად იქცა. ილია თავის გამოცდილებას სხვებსაც უზიარებს. სოფ. საჭურის მცხოვრებმა დ. ჭინჭარაულმა ილია შვერდაშვილის დახმარებით მიჰყო ხელი მყნობას და ახლა მასწავლებელს არც კი ჩამოუყარებდა.

კიდევ უფრო საინტერესოა ილია როგორც მონადირე. ფეხმარდი, უშიშარი და დაუღალავი. დღემდის მას მოკლული ჰყავს 200 მგელი, 87 დათვი, 17 ფოცხვერი, ხოლო სხვა გარეულ ცხოველთა სათვალავს ხომ ბოლო არ უჩანს. ილიას ყველა ხელშეკრულება თიანეთის „რაიზგოტევისირიოსთან“ ბეწვეულის ჩაბარების შესახებ 200-250 პროცენტით აქვს განაღებულ. მტაცებელ ცხოველთა მოსპობისათვის მან მარტო 1952 წელს 2380 მანეთის ჯილდო მიიღო ნადირობაში ასეთი ხელხვაგვიანობა დიდად არის დამოკიდებული მონადირის ნებისყოფაზე, ამტანობასა და მონერხებულობაზე. ვინ მოსთვლის რამდენჯერ აშკარა საფრთხის პირისპირ მდგარა შეუპოვარი მონადირე. მგლის ჯგოთან უეცარი შეფეთება, დათვთან პირისპირ შეხება ილიას მონადირული თავგადასავლის ჩვეულებრივი ეპიზოდებია. უკანასკნელად, 1953 წელს, ერთხელ კიდევ სცადა მან თავისი მკლავის ძალა დათვთან, რომელიც კოლმეურნეობის სიმინდის ყანას შექვეოდა. რამდენიმე დღის შემდეგ დამარცხებული „რაინდ“ ილიასთან ერთად თიანეთის მოასფალტებულ ქუჩას მიუყვებოდა. ილია წელთა სიმრავლეს არ ეპუება და მოუსვენარ მგლებს ახლაც ჩვეული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლებდა.

სოფლის ახალგაზრდობის თავშესაყარს ილიას სამჭედლო წარმოადგენს. შუაგულ ზამთარში, როდესაც გარეთ ქარბუქი ბობოქრობს, ილიას სამჭედლოში გახურებული მუშაობა. ილია თავის ხელმარჯვე ბიჭებთან ერთად გუთნებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ნაწილებს აკეთებს.

კოლმეურნე ახალგაზრდები: ა. ფოლადიშვილი, შ. ჯაბანიშვილი და სხვები საკმაოდ დაოსტატდნენ და ილია ხანდახან ზუმრობითაც დასძენს: „ჩემი ლომი ბიჭები, თუნდა ახალი მანქანის დაკვეთასაც აიღებენო“.

ილია შვერდაშვილი ახლა 73 წლის მოხუცია. მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა იგი მუყაითად მუშაობს და კოლმეურნეობაში მოწინავედ ითვლება. გასულ წელს მან 200 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობაში მუყაითმა შრომამ მისი ოჯახი შეძლებული გახადა და ბედნიერი ცხოვრებით გამხენებული მოხუცი ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

ბ. არჩიმაშვილი,
შ. აღომლიშვილი

სხვები სად ჩამოგვრჩნენ, ვერც კი შევამჩნიეთ, რაკი მამალი კანჯარი დაეიმარტოხლეთ, აღარ მოვეშვით: გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ალბათ, სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა. სათოფზე არ გვიშვებდა. შორიდან სამოკმ თითოჯერ ერთდროულად ვესროლეთ, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთხელ მარცხენა ფერდთან თეთრ ბალანზე წითელი წერტილი შევინახეთ, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

— დაიჭრა, ვეღარასად წავა, ტყუილად ვაზნებს ნულარ დასწავთ, — დაგვამშვიდა და მწითურმა და თოფი ფეხებშუა ჩაღო, საჭირო აღარ იყო.

კანჯარს, ეტყობა, ნატყვიარი ემწავა, კიდევ უფრო მეტი თავგამეტებით გაიქცა. აღარ არჩევდა ტაფობსა და ბარხანებს, ოღონდ როგორმე უკან ჩამოეტოვებინა მდეგრები. უფრო ადრე რომ ეფიქრა და ბარხანებისთვის მიეშურებინა, გაგვიჭირდებოდა დევნა და საცოდავი პირუტყვი თავს უშველიდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანა იყო. მუცელი და ლაჯები წითლად შეუღება, ის კი სულ მირბოდა და მირბოდა. დროდადრო თავს ჩვენსკენ მოაბრუნებდა და მე გარკვევით ვხედავდი შიშისაგან გაფართოებულ მის თვალებს, ფართოდ გაბერილ ნესტოებს და უშნო კეხიან ცხვირს, რომელიც საშინლად ამახინჯებდა ტრამალების ამ ლალ ბინადარს.

ჩვენს შორის მანძილი დაიღია. ახლა აუცდენლად შეგვეძლო თოფის სროლა,

მაგრამ თავს ვიკავებდით. დეე ირბინოს ბოლომდე... ეტყობა ძალზე დაიღალა, გაიბერა, მისი ფერდები სამჭედლოს საბერელოვით იკეცება. ხანდახან სამ-ოთხ მეტრის კამარას გააკეთებს და ოდნავ დაგვიცოდება. შევინახე თუ არა ეს, მაშინვე გამახსენდა მშობლიურ სოფელში გაგონილი, „კანჯარით გადახტაო“. ალბათ, ეს თავგანწირული ნახტომი თუ ჰქონდათ მათედელობაში ჩვენს წინაპრებს.

ერთ კოლმეურნემდე მანძილი კიდევ ვაივრინეთ. ფეხდაფეხ მივდევთ და შესვენების საშუალებას არ ვაძლევთ. საბრალომ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, ავტომანქანას წინიდან შემოურბინა და ჩაიხოტა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ შოფერმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო და თხუთმეტოდე მეტრით გაკცდით. გაჩერებაც კი აღარ ვაძალეთ, ისე გადმოვცივდით ავტომანქანიდან და ოთხივე ფეხზე ჩაჩოქილი ცხოველისაკენ გავიქეციით. ილია ზაქაძე პირველი მიიჭრა ნანადირევთან, ჩემის ყელიდან გვებერთელა დანა ამოაძრო და რქებში სწვდა. კანჯარი ფეხზე წამოგარდა და გაქცევა სცადა. სასოწარკვეთილმა ისეთი თავგანწირული ნახტომი გააკეთა, რომ მისმა დაუძლურებულმა ფეხებმა ტანი ვეღარ შეიმარტეს და მიწაზე ზღართანი მოიღო, მერე ზურგზე გადაბრუნდა, ფეხები ზეადმართა, წვეტიანი რქები მიწას დაასო და გაიჩინდა.

აგარის შაქარი

შორეულ წარსულში ერთეულ მეორე ცდილა ინდოეთიდან შემოეტანა შაქრის ღერწმის ძვირფასი კულტურა, გაეხარებინა და განეცრო იგი ქართულ მიწაზე; ამის გამო სახელოვან სარდალს მიწერ-მოწერაც ჰქონია ქალაქ მადრასში მცხოვრებ ვილაც შამირთან, მაგრამ ამ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია.

ჩვენ წინაპართა მიზანსწრაფვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა. აგარაში აშენდა შაქრის ქარხანა, რომელმაც პირველი პროდუქცია საბჭოთა საქართველოს 12 წლისთავზე — 1933 წლის 25 თებერვალს გამოუშვა. ქარხნის წარმადობა მაშინ სეზონში მხოლოდ 3.900 ცენტნერით განისაზღვრებოდა.

გავიდა წლები. ქართლელი კოლმეურნეები დახელოვდნენ შაქრის ქარხლის მოყვანაში, უფრო ახლოს გაეცნენ მის აგროტექნიკას, მუშაობის ახალ-ახალი ჩვევები გადმოჰქონდათ უკრაინელ მექარხლეებისაგან, აღიდებდნენ შაქრის ქარხლის ნათეს ფართობებს, მის

აქ დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ, ისინი ახალ საწარმოო სეზონში 169.000 ცენტნერამდე აღიდებენ პროდუქციის გამოშვებას.

მთავარი ინჟინერი კოტე უორულოაძე სააშქროში შეგვიძღვა. ჩვენს თვალწინ აქამდე ჯერ კიდევ უცნობი მანქანების სანახაობა გადაიშალა.

ცნობისმოყვარეობამ ქარხნის ყოველი კუთხე-კუნჭული შემოგვატარა. კოტე უორულოაძე დაწვრილებით გვაცნობს სააშქრობისა და განსაკუთრებით მანქანადანადგარების მუშაობას, მაგრამ ყველაფრის დამახსოვრება შეუძლებელია.

... აი მარეგულირებელი ონკანები. ლითონის ორ უზარმაზარ მექანიზებულ კასრში შაქრის ნედლი წვენი ჩაჩხრიალებს და იქიდან ვიწრო მილებით გამწმენდ სააშქროსკენ მიედინება. იქვე ახლოს აღმართულ რკინის ძელზე უცებ ვარდისფერმა ელექტრონათურამ გაიკაშკაშა, ონკანზე მომუშავე გოგონას წვესაზომი ტურქლის დაცარილება ამცნო და უმაღლე ახალი ნაკადი გაუშვა. ჩვენც ავედევნეთ მის მდინარებას. დეფეკო-სატურაციის ქვაბები მარეგულირებელი ონკანებიდან წამოსულ წვენს უხვად ნთქავენ, ხოლო შიგ მოთავსებული კირის წყალი კი ნახშირმუყავს ჰაერთან ერთად იწყებს მის გაწმენდას.

საინტერესო სანახავია საშრობი სააშქრო. იგი უხმაუროდ მომუშავე წისქვილს უფრო მოგვაგონებს. აქ არის სამომხმარებლო შაქრის მილების უკანასკნელი პუნქტი: ბალცმანის ზანტად მბრუნავ ბარაბანში ზედა სართულიდან მონადენი სველი შაქრის კრისტალები ცივდება 60 გრადუსიდან ნორმალურ ტემპერატურამდე და აქედან ტრანსფორმატორით გადადის ხვიშირებში, შემდეგ — საფულავ სააშქროში.

განსაკუთრებით საყურადღებოა საპროდუქტო სააშქრო, სადაც წარმოებს შაქრის ხარშვა და კრისტალიზაცია (ვაკუმ-აპარატი). იგი შედგება რამდენიმე ფაზისაგან: პირველად ხდება სიროფის გასქელება. შემდეგ ვაკუმ-აპარატი მას შაქრის მტვერს უმატებენ და იქნება კრისტალიზაციის ცენტრები, რომელთა გარშემო ხდება შაქრის დაგროვება.

საერთოდ, ნედლეულის გავლას ყველა მანქანასა და სააშქროში 6 საათზე მეტი დრო სჭირდება. ამ ხნის განმავლობაში მიღებული ნახევარფაბრიკატები აპარატიდან აპარატიში და მანქანიდან მანქანაში გადასვლით თორმეტ კილომეტრ გზას გადაიან...





ასეთი ძნელი და რთული მუშაობის პირობებში, ორი ათეული წლის მანძილზე აგარის შაქრის ქარხანაში ნიჭიერი კადრები აღიზარდა. მათ შესანიშნავად აითვისეს შაქრის წარმოების სპეციფიკა და მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ვინ არ იცნობს ინჟინრებს მიხეილ გარსევანიშვილს და სერგო გოქაძეს, დეფეკო-სატურაციის ქვაბების მესაიდუმლეს არჩილ თოთლაძეს, გამაიშვიათებელი ქვაბების კარგ მცოდნეს სერგო ჩოჩიშვილს და სხვებს, ისინი აქ, ამ ქარხნის მანქანებთან გამოიწვრთნენ და იბრძვიან ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის.

ილო ალაყნელი

ფოტოზე:

1. მორივე ინჟინერი გ. მიქაბაძე დაბრიგადირი, სერგო ასანიძე შაქრის ქარხლის გამომტუტვის დროს ამოწმებენ ტემპერატურის რეჟიმს.
2. მოწინავე მხარსავე შოთა მეტრეველი შაქრის სახარშ აპარატთან.
3. საპროდუქტო საშრობი განყოფილება. ლაბორანტი იულია ბურჯანაძე და ცვლის ქიმიკოსი ლუსია შურსინა ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.
4. ქარხნის ზედი.

ფოტო რ. აპოფოვისა




საპროდუქტო სააშქროს საშრობ განყოფილებაში უხვად მოდის და ავსებს ზვიშირებს შაქარი (დღე-ღამეში 1.600 ცენტნერი).

ფოტოზე: ქარხნის მთავარი ინჟინერი კოტე უორულოაძე და საწარმოო განყოფილების უფროსი ვალენტინ პერეგოზოვი ამოწმებენ შაქრის პროდუქციის ხარისხს.

მოსავლიანობას. საჭირო გახდა ქარხნის წარმადობის გადიდებაც. ახლა აგარის შაქრის ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საწარმოა.

ქარხანას ნედლეულით ამარაგებენ ქართლელი კოლმეურნეები, მათ შორის კი პირველი ადგილი უჭირავს გორის რაიონს, სადაც ყოველდღიურად აღიდებენ შაქრის ქარხლის მოსავლიანობას და მისგან დიდ სარგებლობასაც იღებენ. მაგალითად, 1953 წელს სახელმწიფოს 479.352 ცენტნერი შაქრის ქარხალი ჩააბარეს და მის საფასურში გარკვეული თანხა და 4.141 ცენტნერი შაქარი მიიღეს; გაცილებით მეტი მოსავალი მოიწიეს მომდევნო წლებში. შაქრის ქარხლის პლანტაციებიდან უხვ შემოსავალს იღებენ, აგრეთვე, ქარელისა და ხაშურის რაიონები.

... ქარხნის დირექტორი ვალერიან ელისაბედაშვილი გვესაუბრა მუშათა იმ შრომითს აქტივობაზე, რომელიც



მანქანათმშენებლის გაკვეთილი სკოლის სახელოსნოში (პრაქტიკული მეცადინეობა). მასწავლებელი შ. ლაზაშვილი.

სკოლის

მულებმა ავირეთ კობები, შემდეგ გაკვეთილზე — ბურღვას ავიხსნიან, — მკლავზე ეწევა მეგობარს რომელიღაც ბიჭუნა.

შესვენებისას სკოლის პარტიზორის მდივანი შ. ხუნდაძე გვიამბობს სკოლაში ასლად დანერგილ პოლიტექნიკის საკითხის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეიარაღებას ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნით, შეაქვს მათში მანქანა-იარაღებისა და სხვა მოწყობილობის გამოყენების პირველადი ჩვევები, ხელგარევილობის გაკვეთილებმა, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკულმა წარმატებით უნდა მოამზადონ ახალგაზრდები, როგორც სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად, ასევე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კვალიფიციურ მუშათა კადრების შესავსებად.

სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (დირექტორი გრ. კობახიძე) მიიღო სერიოზული ნაბიჯი მოაკიდა ხელი ამ საქმეს, პარტიზანისა და პირველსავე კრებაზე დაიწყო საკითხი პოლიტექნიკისა და ფიზიკური წრეების მუშაობის შესახებ. დაიხსნა ლონისძიებანი უკეთესი მუშაობისათვის. სახელოსნო კაბინეტისათვის გამოიყო დიდი ოთახი, ამ საქმეში თბილისის 77-ე სკოლას დიდი დახმარება გაუწიეს შეფებმა — ზეთის ქარხანამ და არტელმა „მეტრო-მა“. მათ სპორტო იარაღებით მოამარაგეს სახელოსნო-კაბინეტი. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოწურულა მათი მეგობრობა. შეფები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშები ხშირად ადებენ ხელში ამ სკოლის კარებს. მილიან არა როგორც სტუმრები, არამედ, როგორც ახლობელი ადამიანები; ემუშავებიან, ურჩევენ, ამარაგებენ...

კათედრავზე ოტოს ციკლით მომუშავე ოთხტანის ძირაგის მიღმი დავს. პედაგოგი, ინჟინერი შალვა ლაზაშვილი მერხებთან ტრიალებს. მყარია პატრიცეუმული შალვა. მყარია კი არა, მომთხოვნი. აქ უკვე უმცროსი კლასის მოსწავლეებთან კი არა აქვს საქმე, მათე კლასია! ჯერჯერობა შვილმა სათითაოდ განიხილა მრუდმხარა ბარბაცა მექანიზმის ნაწილები. მაგრამ მასწავლებელი არცთუ ისე ადვილად ხარჯავს საქმეში სიტყვებს. „უფრო კარგად უნდა ისწავლოთ“, დაადევნა მერხისკენ მომავალ ბიჭს.

„ძრავს აქვს შემდეგი ძირითადი ნაწილები, — ამბობს სულა ზაგლასარიანი და მოდელის საშუალებით თვალსაჩინო ხდის კლასის მიერ შესწავლილ მასალას, — გენერატორი, ელექტრო სადენები, სათითაოდ, აკუმულატორი“. ბავშვები იმერებენ სედას ნათქვამს.

მასწავლებელი თვალის გადავლებით აწყარებს არამკითხველ მოასუხებებს და ისევ ამოწმებს გამოძახებულს, აინტერესებს, რამდენად შეითვისა მან წინა გაკვეთილზე გადაცემული მასალა. ხომ არ ბორბიკობს, ხომ არა გამოჩნდა რა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

— ახალი გაკვეთილის ასხნამდე ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი ძველ მასალას, — მიუბრუნდება იგი კლასს.

— ჯერჯერობით მხოლოდ მოდელით ვკმაყოფილებით, შემდეგ კი ჩვენი შეფები თვით ძრავის მოტანას გვპირდებიან.

წრიბინებენ კალმები, შრიალით იშლებიან ფურცლები. მომავალ ინჟინერებს, ტექნიკოსებს, მძღოლებს თავი რვეულებში ჩაურავთ. ფანჯრის რაფაზე მათ მიერ გახარებული ყვავილების ქოთნები ჩამოიწვრივებულა. მზისკენ იხრებიან ფოთლები და გაზაფხულისთვის იკრებენ ძალ-ღონეს ჯერ კიდევ ნორჩი ყლორტები.

ნორჩი ყლორტები

ნაზი კილასონია

ტრამვაიში რომ ავედი, ვილაპ ახალგაზრდა ქალმა თავაზიანად მანიშნა, ქუდი დასვრილი გაქვთო. ქუდისაკენ წავიღე ხელი, ნახერხი დამყროდა... გამეღიმა, გამასხენდა:

წელან თბილისის მე-77 სკოლის პირველ სართულზე ჩაგვეცი სასწავლო ნაწილის გამგეს, სიმონ ქავთარიას. კიბე ტკბილი საუბრით ჩავთავეთ, აი რას ეხებოდა ჩვენი საუბარი:

თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 მაისის განკარგულებისა, სკოლებს გადაეცა წარმოებისათვის გამოუყენებელი, მაგრამ პოლიტექნიკური სწავლებისათვის გამოსადევი ძრავები, დაზვები, სასოფლო-სამაურნეო მანქანები, და სხვ. ქარხნებისა და საწარმოების ეს საჩუქრები ქმნიან საჭირო მატერიალურ ბაზას სკოლებში პრაქტიკუმების მოწყობისათვის. მოსწავლეებმა სასწავლო-საცდელ ნაკეთსა თუ სასწავლო-სახელოსნოებში მუშაობის შედეგად, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკაში ცოდნის ამაღლების შედეგად ემზადებინათ მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მუშაობისათვის. ათასობით ახალგაზრდა ყოველწლიურად მიემურება კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე, ისინი სიმწიფის ატესტატით მიდიან წარმოებებში სამუშაოდ. აქ, საშუალო სკოლაში აირჩიეს მათ ეს გზა. აქ, საშუალო სკოლაში შეისისხლხორცეს ეს დიდი სიყვარული შრომისადმი.

— ესეც ჩვენი სახელოსნო კაბინეტი, — ამბობს ქავთარია. კარებში ბავშვთა მხიარული ყრიაშული შემოგვევება. — ჩემი ხალათია, ჩემი — გაკვეთის პატარა, ბავშვით თმბეღამშენებელი გოგონა და მეგობარს ხელებში ეტანება.

— ცილა, ზონრები შემეკარი რა? — ხეწნაგარეული ხმით ტიტინებს მეორე და ზურგს უშვებს უკვე სამუშაო ხალათში გამოწყობილ ტოლს.

— წყნარად, ბავშვებო, წყნარად! — დინჯად არიგებს ჩიტებოვით აქლურ-ტულუბულ გოგონებს შეგვერდინი ახალგაზრდა, შრომის მასწავლებელი.

ბიჭები? ყურს თითქოს აკლია ამ ონაგრების ხმა. მაგრამ ნურას უკაცრავად! მათ ხალათების გადაცმა უკვე მოუსწრიათ და მეხუთე კლასელებისათვის შეუფერებელი სიღინჯით უახლოვდებიან დაზვებს. ზარის წკრიალმა ერთბაშად სირუმე დაამყარა ბავშვური ხმებით გამხიარულებულ ამ ფართო ოთახში... როგორ დამაგიწყდა! აქი წელანვე გამბრები მიამბნა თქვენთვის, დაზვებსა და იატაკზე ნახერხი ეყარა აქა-ქ. ოთახშიც ხის ნიღბი სურნელებს ტრიალებდა და — დიკემბრის იმ ცივ დღეს გაზაფხულს მაგონებდა.

სიჩუნემ დიდხანს ვერ იბოვინა ბავშვების გვერდით. აჭრიალდა ხერხი, დატრიალდა ქლიბი, აკაკუნდა პატარა ჩაქუჩი და მალე ყველაფერი ამ ხმაურმა მოიკვია. მასწავლებელიც ხომ ციბრუტყვით დატრიალდა! ერთი ორჯერ კი შემობრუნდა ჩვენსკენ. თითქოს და რაიმე განმარტება იყო საჭი-

რო, — „ამ მეცადინეობას მუდამ ხმაური ასლავს“, შემოგვიცინა და ისევე თავის ნორჩ მოსწავლეებს დაადა თავს.

ელჯუჯა ხილაშემმა ხელიც კი არ შეაჩერა, ისე გაგვიმარტა საქმიანი კოლოთი: — დაფისა და თაროსათვის რკინის დასაკიდებელ ყურს ვამზადებთო. ეს ყველაზე მარტივი სამუშაოა, მაგრამ დიდ გულისყურს მოითხოვს. საკონტროლო იარაღით, — კუსხედით, ისე უნდა ვაზომოს რკინის ზედაპირი, რომ ერთი ხორკლიც არ გამოჩნდეს, მერე კი გარეგანზე ქლიბის დროს გაათანასწოროს, ერთხელ, ორჯერ, და ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ, რომ საბოლოო მიზანს მიაღწიოს. განა იოლია საკუთარი ხელით გამოჩარხულ ყურზე ჩამოკიდით ახალთახალი დავა, ან კონტად ვაშლაშინებული თარი?

— აბაჯარ, განიერია შენი რკინა. უფრო გაათხელებ, — თავს დასტრიალებს პატარა აბაჯარ იაშვილს ტან-მალალი ნოდარ ჯალობორდი. თვალეში მხიარული ნაპერწკლები უღლაყვენ. მცოდნე კაცის ტონს აძლევს ხმას. აბაჯარ იაშვილიც არ თავილობს. უჯრებს თანაკლასელს, ხუმრობა ხომ არაა, მათ ზეინკლას ხელობა უნდა შეისწავლონ! მაგრამ ასაკს მაინც თავისი გააქვს. ის ბიჭუნა, წელან კოპბეშვილი რომ ზომავდა კუსხედით გასწორებულ რკინის ზედაპირს, ახლა თავის მეზობელს შეეკამათა, ჩემი იარაღი შენსას სჯობსო, მალე მეგობრებიც წამოემდგნენ და... ისევე დაიღუნენ ქოჩორა თავები დაზვებზე.

იქნებ გგონიათ, მეხუთეკლასელი გოგონები ბიჭებს ჩაბოუფარდებიან? გაზაფხულს მათ საცდელ ნაკეთზე ერთად გადავიართო. ხაგის, პამილორის, კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულს კვლავს რომ ჩავუდოთ, ასე გგონია, კარგა ხანს შეჩერდებით. ჯერ ერთი, რომ ნორჩების მოვლოლი კვლები გავაკვირებენ. კომწიად ანართული ტან-წერწება ეტიკეტები, ზედ მიკრული წარწერით შეგვატყობინებენ:


„აქ ხაგისი კვლია, აქ წიწმბატისა, აქ კი პამილორისაო.“ მეურა იმისაც იკითხავთ — ეს ლამაზი ეტიკეტები რა ხელმა გამოხერხ-გამოთალაო? მე კი ეშმაკურად ჩავიციებ: მეხუთეკლასელი გოგონების ხელებმა-მეთქი.

გულნარა ჩველავლილმა, ქუქუნა გოგონაშვილმა და ცილა არუთინოვმა პირველი ფიცარი რომ გადახერხეს, იმ „ნათლობას“ მიეც დავესწარი.

ეს საინტერესო საქმიანობა ზარმა დაიწყო და ისევ ზარმა დაამთავრა; კრიხელს ქლიბი ხელში გაუჩერდა. გოგონები კი ისევ თავგამოდებით შეხედდნენ შალაშინისა და ხერხით ფიცრის პატარ-პატარა ნაჭრებს.

ახლა კი ბალებით გარშემორტყ-





გარაჟიდან გასვლის წინ ი. მჭედლიძე კიდევ ერთხელ ამოწმებს მანქანას, შემდეგ კი დაიწყება ჩვეულებრივი შრომითი დღე.

ავერსის მძღოლი

ავტომობილს სვლას უკლო, მარცხნივ გადაუხვია და ლარით სწორ, ფართო გზატკეცილს გაჰყვა. შეჭირბულული ფანჯრებიდან ბუნდოვნად მოჩანს დათოვლილი მთების კონტურები, აქვე გზისპირის კი ხარაჩოვში ჩამჯდარი შენობები მოსდევს. გაიზარდა თბილისი, გაიზარდა და, მერე როგორ! აბა, სად იყო აქ ერთი წლის წინათ ეს ლამაზი მრავალსართულიანი სახლები, რომლებიც ახლა საბურთალოს რაიონის ამ უბანს ამშვენებენ. მშენებლობისა და შრომის ერთუნიანი იგრძნობა ყველგან და ყოველ ნაბიჯზე.

მანქანამ ერთი ძალუმად ამოიქმინა და ადგილზე გაქვავდა.

— ატყა, — მოკლედ გამოაცხადა კონდუქტორმა. ავტობუსიდან ჩამოვედი და დიდ მოსაფლტებულ ეზოში შევედი.

როდესაც თბილისის ავტოტრანსის კანტორის უფროსს ა. ვ. გოგიშვილს ჩემი მისვლის მიზანი გავაცანი, წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი აუჩქარებლად მითხრა:

— მჭედლიძე, მჭედლიძე იოსებ გრიგოლისძე, ის არის ჩვენი საუკეთესო მძღოლი, უფრო სწორედ, უკეთესია შორის უკეთესი — დაუმატა მან ღიმილი, — მთელი ჩვენი კოლექტივისათვის საყვარელი ადამიანი. სასიამოვნო იქნება თუ მისი პატიოსანი შრომის ამბავს სხვებიც გაიგებენ.

იოსებ მჭედლიძის ორი დღის შემდეგ შეხვედი ავტობუსების სადგურში. მოსაცდელ დარბაზში კედელზე გამოკრულ ავტობუსების საქალაქთაშორისი მოძრაობის სქემას ვათვალიერებდი.

...კოჯორი, კიკეთი, წყნეთი, მანგლისი, თეთრი წყარო, ნორი, დუშეთი, წალკა, თელავი, ბოგდანოვკა, საგარეჯო, სიღნაღი, ფასანაური, დმანისი, გორი, სტალინირი, რუსთავი, ორჯონიკიძე, ნალჩიკი, კისლაველსკი, შაუშანი, ლენინგორი, ერევანი და რა ვიცი, საით არ მიემართება თბილისის აღმნიშვნელი წითელი წერტილიდან გამომაგალი დაკლავილი ხაზები.

დარბაზში დიქტორის ხმა გაისმა: „ყურადღება! ჩამოვიდა ავტობუსი თბილისი — წითელწყარო“. ეზოში გამოვედი. „გაზ-51“ მარკის ავტობუსიდან რიგრიგობით გადმოდიოდნენ ხელბარგი დატვირთული მგზავრები.

„მძღოლი უს უნდა იყოს“ — გაუფიქრე. და ჩემსკენ მომავალ შუახნის, სიმათიურ კაცს შევეხებე არ შევმცდარე, ის მჭედლიძე აღმოჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ იოსები დინჯად მომიხრობდა თავისი უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი შრომისა და საინტერესო ცხოვრების ამბავს.

იოსები თბილისის მკვიდრია. მას გომანაზია დაუმთავრებია, სწავლის გაგრძელების საშუალება არ ჰქონია და რომ გაჭირვებულ ოჯახს დახმარებოდა, მოწადედა დაუწყებდა მუშაობა ავტომექანიკურ სახელოსნოში. სწორედ აქ შეყვარებია ის საქმე, რომლისთვისაც ოცდათვრამეტი წლის მანძილზე არ უღალატებია. მჭედლიძე ახლაც სიამოვნებით იგონებს თავის მასწავლებელს — ბაგრატ აბრე-ლოვს, რომელიც დღესაც ტაქსიზე მუშაობს. ჩვიდმეტი წლის იოსები პირველად დამჯდარა დამოუკიდებლად მანქანის საჭესთან. შემდეგ პირველი საბჭოთა მანქანები. 1927 წელი, როდესაც ის ავტობუსზე იწყებს მუშაობას და პირველი მგზავრები დაჰყავს თბილისსა და მის გარეუბნებს შორის. პირველ ხანებში შედიოდა სხვადასხვა მარკის ძველი მანქანა ჰქონიათ (დღეს თბილისის ატკ-ის გარაჟში ორასამდე მანქანა „ათვის ღამეს“). შემდეგ კი დიადი ხუთწლეულს პირმშობები მძღვარი, ლამაზი საბჭოთა მანქანები. ყველაფერი ეს კარგად ახსოვს იოსებ მჭედლიძეს. მეც ყურადღებით ვუსმენ მის სასიამოვნო, საინტერესო მონაცემს, ამ პატიოსანი კომუნისტის ბიოგრაფია ჩვენს რესპუბლიკაში ტრანსპორტის განვითარების ბიოგრაფიაცაა.

ყველაზე მეტად მაინც მისი მუშაობის პროცესი მაინტერესებს. — ჩემი მუშაობის შესახებ აბა რა უნდა ვთქვა, — ღიმილით ამბობს მჭედლიძე, — ემუშაობ ჩვეულებრივად, როგორც ყველა პატიოსანი მუშაკი. ვინ იცის რამდენი ათასი კილომეტრი გაივლია და არ მასხვავს, რომ მნიშვნელოვანი ავარია შემთხვევითად. აბა ის რა დასამალოა, რომ ხანდახან გავვიჭირდება ხოლმე. რამდენჯერ გამჩრებია მანქანა თოვლში, ყინვაში, წვიმაში, ანდა მცხუნვარე მზის ქვეშ ვაშემდება მანქანა, ადგილიდან არ იძვრის, ეძებ მიზეზს, ჩხრიკავ მანქანის რთულ მექანიზმს, იპოვნე, „უშკურნალე“ და განაგრძობ გზას. ან საბურთაო დაგეშვება უდროოდ დროს და რა ვიცი რა არ შეხვდება გრძელ გზაზე მიმავალს. მაგრამ, თავში ყოველთვის მიტრიალებს აზრი, რომ დროზე და უნებლად მივიყვანო მგზავრები დანიშნულ ადგილზე. შემდეგ კი, როდესაც ყველაფერი კარგად მთავრდება, კმაყოფილი ვბრუნდები ოჯახში, ვისვენებ და სულ მაგიწყდება, რამდენიმე საათის წინ გამოვლილი გაჭირვება.

აი დღესაც! განა ცოტა ვიწვევ? მუხლამდე თოვლია წითელწყაროში. გზა-დაგზა ტალახი, ჭყაბი. მოვდივარ ნელა, ტაბათი. ხშირად მიზღვბა გაჩერება. მანქანის დასვენება. დასვენება, ჰო, რა ვიკერს? ისევე, როგორც ყველა ცოცხალ არსებას, მასაც ჰქონდება დასვენება და მოვლა. მერე როგორი შეყვარება იცის, ამ მანქანას შეილივით ვუვლი, ოთხი წელია ამზე ვმუშაობ და ჯერ პატივდღობა რემონტი არ გამიკეთებია, ორას ოთხმოცი ათასი კილომეტრი კი გავიარე. სად ვიყავი? — ინსენებს იოსები და მიმქრალი პაპიროსის გაჩაღებას ცდილობს. — ჰო, მოვდივარ წითელწყაროდან, თოვს, ცივი ქარი მისუსხავს მთელ სხეულს. მოვდივარ დაკვირვებით, სვენებ-სვენებით. ცოტა გვიან ჩავალ,

ოთარ ჭლოძე

კავკასიური გალადებრივი სწორედ მაშინ დაუმარხავთ მკერდადღელი.

მიჰყვებოდა თერგის ნაპირს ახალწვეული და მღეროდა მთების ნახვით ალტაცებული. შორით ახლა დანახა ეს მთავრებილი, შესცინოდა კლდეებს მალალს მკერდადღელილი. ლურჯ ვეფილებს მხიარული კრეფდა ვოლგელი, ყველაფერი სხიარულის იყო მომგვრელი. მაგრამ სევდა მარადისი სდევდა ჩრდილივით, აქ მოუკლავთ მამამისი ვეფხვთა სიკვდილით. პირველად რომ დაუნახავს ეს მთავრებილი,

სწორედ მაშინ დაუმარხავთ მკერდადღელი. უმზერს ახლა მისიანი ქედებს ბუმბერაზს და სახეზე ნისლიანი ქარი უბერავს. უცებ შესდგა, დაიხარა და აღღვებით მან სახეზე აიფარა სწრაფად ხელები. თვალებს აღარ უჯერებდა თვალბსაცერა, თვალბს ცისფერს უჭრებლბდა ქვაზე წარწერა. რა იცოდა, რა უცდიდა მაინც ამ გზაზე. შვილს ცრემლები დაუცვივდა მამის საფლავზე.

გქაღის სიკვდილი

აკვამლებულ სამქედლოში გამქვალავი ქარი უერთვლულს შევირდივით გიღვივებდა ნახშირს, მოგუგუნე შენი ქურის ცეცხლი ჩაუშქრალი გიყოფდა და გიჩვენებდა ენას, როგორც ბავშვი. წითლდებოდა, ლურჯდებოდა რკინაც შენი შიშით, ლომის ბანით, ბოხი ბანით გუგუნებდა ურო, ფიცრულს გარეთ და ფიცრულს ქერქვეშ იღგენ რიგში მიწის მუშა, კალატოზი, მკელი, მეხრე, ხურო. მევენახე, გუთნისდედა, მეზობელი გლეხი შენსკენ, შენსკენ მოდიოდა გუთნით, ცულოთ, წალდით. ტრიალებდი, ენთ, ქუხდი, ქვედი, როგორც მენი განა მარტო ერთი, ორი ოცი წელიწადი. ბერიკაცო, როცა დღეთა დასასრული დღეა, ჩამოღარულ დაწვეზ როდი ჩამოგცურდა ცრემლი,

ცხადად ნახე, იცან, იგრძენ, რომ სიკვდილი მოდის შენის ხელით, შენის ხელით გაქედელი ცულოთ. დაუმცხრალა, მაშინ დაცხრი, ჩავიჩუმდა ქეპა, შეგინდლა, შეგიჩრდა ცემა ცხელი გულის. ტყეში მოქრეს, გაგითაღეს კოჭრანი ძელქვა შენის ხელით, შენის ხელით გაპირული ცულოთ. სამქედლოში ყრუ გუგუნე ყრუ დღეშილად იქცა, ზნელ ფიცრულში ღამეს ცეცხლი დაენაცრა ვერაგს, ყინულივით ცივად დახვდა სასაფლაოს მიწა შენის ხელით, შენის ხელით გამოქედელ წერაქვს. მზის ჩახვლისას, როცა გაქრეს დედამიწის ბუთრი — სასწაული, უცნაური არაფერი მოხდა. ჩავასვენეს ყველამ უხმოდ მოიხადა ქუდი, გადაუხდელ ვალად დარჩათ დიდი ვალის მოხდა.

მაგრამ არა უშავს, ბოლო რეისია. განსაკუთრებული მორიდებით მომყავს მანქანა და, მერე იცი, რატომ? სხვებთან ერთად მფრინავი მოდის ჩემი მანქანით, ლეიტენანტი, ცოლითა და ორი პატარა ბავშვით. იმათ ეუფრთხილდები. პატარები იბუზებთან, ეძინებთ. დიდი აიტანს სიცივეს, უძილობას, ბავშვს კი აბა სად შეუძლია. ერთი ადგილია იმ გზაზე ცუდი, ოღოროლოდო, თანაც ახლა ასეთ ამინდში. მანქანა ნელა მომყავს, მაგრამ მაინც ინჯღრევა, ხტუნავს. მესმის ბავშვების უკმაყოფილო ბურტყუნი. ვეღარ ვითმენ და მფრინავს გაბრაზებული ვეზუნები — შე კაი კაცო, რა ძალა გადგათ, რომ ავტობუსით წამოხვედით. ჩაჯექი მატარებელში, მოასვენე ცოლ-შვილი და წესიერად ჩადი თბილისში-მეთქი. ის კი პასუხს არ მიგვიანებს და მანქანის სიღრმიდან მესმის: თქვენი ავტობუსების იმედი მაქვს, ვიცი, დროზე და უვნებლად ჩავალ. სხვა მგზავრებიც უდასტურებენ ლეიტენანტს.

ჩემს თავს ვტუქსავ სულწასულობისათვის. უფრო მაგრად ვუჭერ ხელს საჭეს და დაკვირვებით გავყურებ განათებულ გზას. მოდი და ამის შემდეგ შერცხვი მგზავრებთან! ვუსმენ ამ ჯერ კიდევ მხნე, ენერგიით სავსე ადამიანს, ოცდათვრამეტი წელი სინდისიერად რომ გაუტარებია საჭესთან და ვრწმუნდები, რომ მას გულწრფელად უყვარს თავისი შრომის პოსტი, ვუსმენ და ვრწმუნდები რომ მისი სახით ლაპარაკობს უბრალო საბჭოთა ადამიანი, კომუნისტის მშენებელი რაგიით მუშაკი.

გუზამ გომარითელი

გიორგი ნიკოლაძე

(ბარდაცვალებიდან 25 წლის გამო)

თაბაზა პანოიძე

გიორგი ნიკოლაძე იყო გამოჩენილი მათემატიკოსი, ბრწყინვალე მკვლევარი-გეომეტრი, სახელოვანი ინჟინერი, უმაღლესი კვალიფიკაციის მეტალურგი, მაღალნიჭიერი პედაგოგი და გამოგონებელი, შესანიშნავი მთავსვლელი და ტანმორჯუნი, მომხიბვლელი ადამიანი, რომელშიც ბარბონიული ენაზე და ერთმანეთს საოცარი გონიერება, სისპეტაკე, კეთილშობილება და სისადავე.

გიორგის მამა — ნიკო ნიკოლაძე ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, დედა — ოლია გურამიშვილი — საუკეთესო პედაგოგი და, რაღა თქმა უნდა, პატარა გიორგიმ ჩინებული აღზრდა მიიღო. თბილისის გიმნაზიაში სწავლისას შეიყვარა მათემატიკა და განსაკუთრებული ნიჭი და მიღრეკილება გამოამჟღავნა გეომეტრიისადმი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაზე განაგრძო, საყვარელი მათემატიკა არ აირჩია სპეციალობად მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს სამსახურისათვის უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა ტექნიკური დარგის დაუფლებას.

სტუდენტობისას ძლიერ დაინტერესდა ტანვარჯიშით და ისე ბეჭივად იწყო წვრთნა, რომ მალე პირველხარისხოვანი სპორტსმენი გახდა და წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო სატანვარჯიშო შეჯიბრებებში. ამავე ხანებში შეადგინა და საქართველოში გამოავრცელა პირველი სატანვარჯიშო ტერმინოლოგია (სხვათა შორის, ტერმინი „ტანვარჯიში“, ისე, როგორც „მთავსვლელობა“, გიორგის შემოქმედება).

1913 წელს მან ბრწყინვალედ დაამთავრა ინსტიტუტი და დონბასში გაემგზავრა პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.

დონბასის პერიოდმა (1913-1918) დაძაბულ მუშაობაში განვლო. გიორგი გახდა ერთ-ერთი საუკეთესო მეტალურგი რუსეთის მასშტაბით. იმის მიუხედავად, რომ დღეში 13 საათს ატარებდა ქარხანაში, მაინც პოულობდა დროს, რომ გამოეწყო ქართველ მეტალურგთა პირველი წყება, ევარჯიშებია მის მიერვე ჩამოყალიბებული სატანვარჯიშო წრეები.

1918 წლიდან გიორგი თბილისში გადმოვიდა და ახალ-დაარსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა. ჩქარა დაიბეჭდა მისი პირველი მათემატიკური შრომა „Обоснование задекартовой аналитической геометрии“ თუმცა მის ავტორს არ გაეცლო სისტემატიური მათემატიკური სკოლა, მაგრამ შრომამ ცნობილი სპეციალისტების მაღალი შეფასება მიიღო. გიორგის ურჩიეს მათემატიკური კვალიფიკაციის ამაღლება და აქედან დაიწყო მისი დაძაბული შრომა სპეციალური ლატერატურის შესასწავლად. პროფესორ ანდრია რაზმაძის წინადადებით 1921-23 წლებში გიორგიმ ბრწყინვალედ ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და ყოველმხრივ განათლებული მათემატიკოსი გახდა. დოცენტისა და მერე პროფესორის წოდებით, იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის მუშაობაში და პოლიტექნიკური ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ძირითადი მოლაპარაკე იყო. ეს ფაკულტეტი შემდეგ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა და გიორგის საქმიანობა პარალელურად წარიმართა ამ ორ სასწავლებელში. ის კითხულობდა როგორც წმინდა მათემატიკურ, ისე საინჟინერო კურსებს.

ჯერ კიდევ 1918 წლიდან გიორგი მსურველ მონაწილეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საქმისა. საკმარისია აღვნიშნოთ გიორგის ირავლე შევრელი ინჟინერთა მცირე ჯგუფის მიერ 1920 წელს გამოცემული „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“ და 1925 წელს გამოსული „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“. რომელიც მან მოამზადა ნ. მუსხელიშვილსა და ა. ხარაქცისთან ერთად. საკულისხმოა, რომ ასეთი მუშაობისას მისი ერთ-ერთი პრინციპი იყო ქართულ ენაში უცხო ტერმინების რაც შეიძლება ნაკლები ხმარება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გიორგი არ იფიქრებს სასპორტო მოღვაწეობას. ტანვარჯიშის გარდა, მის ყურადღებას იპყრობს მთავსვლელობა. ამასთან მთავსვლელობა მიაჩნია თავისი ქვეყნის ბუნებისა და ბუნებრივი სილამაზის კომპლექსური შესწავლის საუკეთესო საშუალებად. მის გარშემო აქაც სწრაფად ირავრება ახალგაზრდობა. 1923 და 1925 წლებში მყინვარწვერი და იალბუზი, პირველად თავის „სიკოახლეში“, ქედს იხრებენ ქართველი მთავსვლელების წინაშე. ამ პირველი საბჭოთა ასვლებით გიორგი საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლად გვევლინება. 1924 წელს დაარსდა ქართული გეოგრაფიული საზოგადოება. გიორგი იყო ამ საქმის ერთ-ერთ ინიციატორთაგანი და მთავსვლის განყოფილების პირველი თავმჯდომარე.

1926 წელს გ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ მიემგზავრება მივლინებაში და პარიზში მუშაობს აკადემიკოს ვლი კარტანთან, რომელიც მას „ბუნებრივ გეომეტრად“ თვლიდა. გიორგი ინტენსიურად იკვლევს ალგებრულ წირებთან დაკავშირებულ გეომეტრიულ კონფიგურაციებს. წირთა უწყვეტი ოჯახების გამოყენებით და იღებს „დიდი ზოგადობის ახალ შედეგებს“ (ე. კარტანი), რომლებსაც თავს უყრის სადოქტორო დისერტაციაში „გეომეტრიულ ნაკვთა უწყვეტი ოჯახების შესახებ“. ეს დისერტაცია მან დიდი წარმატებით დაიცვა სორბონაში (პარიზის უნივერსიტეტი) და მოიპოვა დოქტორის ხარისხი უმაღლესი დახასიათებით. ამას მოჰყვა პუბლიკაცია მსოფლიო მათემატიკურ ჟურნალებში და მონაწილეობა ბოლონის საერთაშორისო მათემატიკურ კონგრესში, სადაც თავმჯდომარეობდა ერთ-ერთ სხდომას.

პარიზში ყოფნისას გიორგიმ გამოიკვლია გეომეტრიული არითმეტიკა და გამოაქვეყნა მისი მოკლე აღწერილობა. აღმოჩენას დიდი წარმატება ხვდა — კერძოდ, ალტაცხული დარჩა ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტი. აკადემიკოსი მორის დ'ოკანი.

საზღვარგარეთ ყოფნისას გიორგი ეცნობა ელექტროქიმიური და ელექტრომაგნიტური წარმოების დარგებს, მონაწილეობს ინდუსტრიული ქიმიის სტრასბურგის საერთაშორისო კონგრესში, მოხსენებას უკეთებს ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოებას საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და მისი ექსპედიციების შესახებ და იმსახურებს კავკასიონის ქედის განთქმული მკვლევრის, მის სანახავედ ლონდონში სპეციალურად ჩასული მოხუცი დუგლას ფრეშვილდის აღფრთოვანებას. პირველებში სწავლობს ბასკების ცხოვრებას ქართველებთან მათი ნათესაობის პიოტრუხასთან დაკავშირებით.

გ. ნიკოლაძე კოლოსალური მუშაობის ჩატარების შემდეგ უბრუნდება სამშობლოს და ჩვეული ენთუზიაზმით იწყებს მრავალფეროვან საქმიანობას. მისი თაოსნობით არსდება პირველი გეომეტრიული სემინარი, იჭედება ინჟინერთა ახალი კადრები, იწერება დიფერენციალური გეომეტრიის პირველი ქართული სახელმძღვანელო, გრძელდება მოგზაურობანი... და ამ პერიოდში დიდი უბედურებები, თითქოს პირი შეკრესო, ერთიმეორეზე დაიძრნენ გიორგისაკენ: 1928 წელს დაკარგა საყვარელი მამა და დაკარგულაზე დასწრებაც კი ვერ შესძლო, ერთი წლის შემდეგ, თეთნულდზე ასვლისას, მის თვალწინ დაიღუპნენ მისი თანამგზავრები — ცნობილი მთავსვლელები ს. ჯაფარიძე და პ. დვალი; ჯერ კიდევ ამ თავზარდამცემი შთაბეჭდილების ქვეშ იყო, რომ გარდაიცვალა მისი მეგობარი პროფ. ა. რაზმაძე. გიორგიმ მძაფრად განიცადა ყოველივე და საქარისი აღმოჩნდა ერთი ავადმყოფობა, რომ უცებ გაეტება რკინასაგით მავარი მისი სხეულში.

1931 წლის იანვრის ერთ ქარიშხლიან ღამეს, როცა აუცილებელი გახდა მისი ყოფნა მისივე ხელმძღვანელობით აგებული დიდუბის ფერომაგნეტუმის საცდელ ქარხანაში, გიორგიმ მუადამისას 23 კილომეტრი გაიარა ფეხით და 20 საათი გაატარა გავარჯერებულ ღუმელებთან. გაცივებულმა საშინელ ტაროსში კიდევ ორ დღეს იარა ქარხანაში. ფოლტების ანთებამ სარეცელს მიაკრა და 1 თებერვალს 43 წლის ვაკეკი წუთისოფელს გამოასალმა.

„გიორგი ნიკოლაძის სხოვნას“, — ასე აწერია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების ერთ-ერთი ტომის თავფურცელს.

გიორგი ნიკოლაძის სახელი ჰქვია უმაღლესს (6200 მ) იმ მწვერვალს, რომელიც ქართველმა მთავსვლელებმა დაიპყრეს 1954 წლის ზაფხულში, დასავლეთ პამირის შახ-დარის ქედზე.



„ყაზბეგი სცენაზე“

„ჩემი არსება გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებობასთან უხილავს ძალით... სადაც უნდა ექტინოს ჭეშმუსი მისი ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც“.

ალექსანდრე ყაზბეგის ეს სიტყვები ნათელსა ჰქვინს მწერლის ბიოგრაფიის ზოგიერთ მხარეს, რომელიც დღემდე თითქოს ბურუსით იყო მოცული. ბევრი მკვლევარის წინაშე დასმულა საკითხი, ბევრი ჩაფიქრებულა, გაკვირვებიათ, მაინც რა ძალა ადგა დიდ ბელეტრისტს, შესანიშნავი მოთხრობების ავტორს, რომ ქალაქ-ქალაქ ეწაწაწა და მეორეხარისხოვან რომლებში გამოსულიყო? მოთხრობებმა მას საქვეყნო სახელი მოუხვეჭეს, ხოლო სცენაზე დამცირებისა და აბუჩად აგდების მეტი არაფერი რგებია! მას, რა ჯადო იზიდავდა მას თეატრში? რა აიძულებდა, რომ მწერლობით მოხვეჭილი დიდება უხეიროდ შესრულებული მეორეხარისხოვანი რომლებით დაეჩრდილა?

ამ კითხვებს შესანიშნავად უპასუხებს ალექსანდრე ბურთიაშვილის წიგნი „ყაზბეგი სცენაზე“, რომელიც „ხელოვნებამ“ გამოისცა.

ალექსანდრე ბურთიაშვილს სიყვარულით, კეთილსინდისიერებითა და საქმის ცოდნით გამოუკვლევია ეს საკითხი. წიგნი მკითხველს აცნობს ჩვენი დიდი მწერლის ბიოგრაფიის ერთ მეტად საინტერესო და დღემდე ნაწილობრივ ბურუსით მოცულ ნაწილს. წიგნის ავტორის სახანოლოდ უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ბიოგრაფიასთან ერთად მკითხველი ინტერესული ეცნობა აღორძინებული ქართული თეატრის ისტორიასა და მის დიდ როლს ერის კულტურის განვითარებისა და თვითშეგნების გაღვივების საქმეში.

გასული საუკუნის თითქმის ყველა ჩვენი დიდი მოღვაწე მთელის არსებით იყო ჩაბმული ქართული თეატრის განვითარების საქმეში. თეატრის აღორძინებას ხელს უწყობდნენ და წარმართავდნენ ისეთი დიდი მწერლები და მოღვაწეები, როგორც იყვნენ ილია ქავკაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მჩაბერი, სერგეი ნეხსი, გიორგი წარბთეთლი და ბევრი სხვა.

ამ მოღვაწეთა შორის, როგორც ზოგიერთ სხვას, ალექსანდრე ყაზბეგსაც ტრაგიკული ბედი ერაგო. იგი საერთოდ ტრაგიკული ადამიანი იყო და ყოველი მისი გამოხვლა სცენაზე, ყოველი მისი ახალი პიესის გამოჩენა დაკავშირებული იყო მწერალ ცრემლდრთვით, რასაც უფულო ხალხს უსამართლო ხიზნით იწვევდა. ზოგი მკვლევარი გულუბრყვილოდ მიენდო უმართებულო, საფუძვლამოკლებულ დადმოცემებს, თითქმის ყაზბეგის ყველა პიესა მხატვრულად მეტად მძაფრ ყოფილიყო, ხოლო ავტორი — უნიჭი მსახიობი, რომელსაც მხოლოდ ავადმყოფური უინი იზიდავდა თეატრში.

თავის საინტერესო წიგნში ალექსანდრე ბურთიაშვილი დამაჯერებლად გვისაბუთებს, რომ ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა. ყაზბეგის ბევრი პიესა, ლიტერატურული და სცენური ღირსებებით, დღესაც კი საინტერესოა, ყაზბეგის მიერ განსახიერებული ბევრი როლიც ასევე საინტერესო და საყურადღებო ყოფილა, ხოლო სცენისადმი მისი განსაკუთრებული მისწრაფება ავადმყოფური უინით კი არ უნდა აიხსნას, არამედ თეატრისა და მშობელი ხალხის სიყვარულით, დიდი მწერლის მეზნებარე პატრიოტიზმით. ამასვე ამტკიცებს ყაზბეგის ჰუმანიზმი და გამართული სულისკვეთებით გაუფლეთილი პიესებიც, რომლებშიაც მოქმედ პირებად უმთავრესად სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი უბრალო ხალხი გვევლინება.

3. ჰელიძე

გაგორანი პედაგოგი და მეცნიერი

ამას წინათ შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, გეოგრაფის, ისტორიკოსის, ეკონომისტისა და შესანიშნავი პედაგოგის გიორგი ნიკოლოზის ძე გეგტმანის დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი. ის დაიბადა 1870 წლის 20 აგვისტოს (ძველი სტილით) ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში, მისი დედა — მანანა — რაფიელ ერისთავის დის — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის ბარბარე ჯორჯაძის შვილი იყო. 1877 წლამდე გეგტმანმა ბავშვობა ქუთაისში გაატარა.

1882 წელს გიორგი მიაბარეს თბილისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1890 წელს დაამთავრა. იმავე წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ სწავლის აგრძელებს ხარკოვის უნივერსიტეტში — ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და იქვე ისმენს ლექციებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე.

1895 წელს გ. ნ. გეგტმანმა ხარკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით და შესანიშნავად შესრულებული სადიპლომო შრომისათვის მას აჯილდოებენ ვერცხლის მედლით. უნივერსიტეტში ყოფნის დროს დიდი მონაწილეობა და გაცეცხებით სწავლობდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ეკონომიურ ისტორიას, აგრეთვე, განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების შესწავლასა და მათი ისტორიისა და გეოგრაფიული განლაგების საკითხებსაც. 1895 წელს ბრუნდება თბილისში და იწყებს მრავალფეროვან მოღვაწეობას.

როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებელთა დარგმისათვის „კავკასიის მასწავლებელთა კავშირის“ შექმნას (1903 წელი). ამ საქმეში გ. ნ. გეგტმანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, რის გამოც ის არჩეული იქნა ხსენებული კავშირის თბილისის განყოფილების თავმჯდომარედ. ამ კავშირმა 1905 წელს თბილისის სკოლის მუშაკთა საყოველთაო გაფიცვა მოაწყო.

გ. გეგტმანის დიდი ავტორიტეტის დამამტკიცებელი იყო ის ფაქტი, რომ მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა იგი აირჩიეს პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორად, რაც იშვიათ შემთხვევა იყო ცარიზმის სულისმემხუთავი რეჟიმის პირობებში, რასაც არ შეიძლებოდა რეაქტია არ გამოეწვია რუსეთის მმართველ შაგრაზმულ წრეებში. და ასეც მოხდა. სათათბიროს სხდომაზე გამოვიდა შაგრაზმელთა ისეთი წარმომადგენელი, როგორც იყო პუტნიშვილი. მან ასატყვი პრეტესტი განაცხადა სათათბიროში და მოითხოვა, სათათბიროს უარი ეთქვა კომერციული სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებაზე.

გ. გეგტმანს აქტიური და უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული ქალთა უმაღლესი კურსების გახსნასა და მოწყობაში (1909 წ.). აღნიშნული კურსები ითვლებოდა პირველ უმაღლეს სასწავლებლად კავკასიაში. ის ამ კურსებზე მოღვაწეობდა 1918 წლამდე, როგორც პრივატ-დოცენტი და ისტორიისა და სიტყვიერების ფაკულტეტის დეკანი.

გ. გეგტმანი არის ერთ-ერთი ორგანიზატორი თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტისა (1918 წელი). ამ ფაკულტეტზე ის კითხულობდა ლექციებს ევროპის ხალხთა ეკონომიური ყოფაცხოვრების ისტორიიდან და მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიისა და ამიერკავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის კურსს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გ. გეგტმანი იწყებს მუშაობას 1921 წლიდან და კითხულობს ლექციებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ამავე უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტზე ის 1922 წლის ოქტომბერში წარმატებით აბარებს სადოქტორანტო გამოცდებს პოლიტიკურ ეკონომიასა და სამეურნეო გეოგრაფიაში, რის შედეგად საბჭო ირჩევს მას დოცენტად ეკონომიური გეოგრაფიის კათედრაზე, რომელიც მან ჩამოაყალიბა.

პროფ. გ. გეგტმანმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიური გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, განვითარების საქმეს საქართველოში. მან დააბუშავა მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები და ამით გაამდიდრა ქართული სამეცნიერო ლიტერატურა.

აღსანიშნავია მისი კაპიტალური შრომა „მსოფლიოს ეკონომიური გეოგრაფია“, რომელიც თავის დროზე არა მარტო სახელმძღვანელოს მოვალეობას ასრულებდა, არამედ შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომიც იყო. დიდ ფაქტურ მასალას შეიცავს „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ (1925 წ.). უნდა აღინიშნოს ის მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობა, რასაც აწარმოებს მსოფლიო მეცნიერი გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის სფეროში.

1955 წელს პროფ. გეგტმანმა გამოცა კაპიტალური შრომა „ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან“. გარდა სახელმძღვანელოებისა მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნარკვევი, პედაგოგიურ-მეთოდური წერილი, ჟურნალ-გაზეთებში მთავსებელი სტატია, ბიბლიოგრაფიული ხასიათის შრომა, მასალები გრანატის ენციკლოპედიისათვის, რეცენზიები და სხვა კრიტიკული ნარკვევები. იგი არის 100-ზე მეტი დაბეჭდილისა და დაუბეჭდავი შრომის ავტორი. გეგტმანი ითვლება საქაშაილო ჟურნალ „ნაკადულის“ ერთ-ერთ დამაარსებლად, რომლის რედაქციის წევრად ის მუშაობდა ერთ ხანს.

ნიჭიერი პედაგოგი და მეცნიერი პროფ. გ. ნ. გეგტმანი დიდ დახმარებას უწყვედა დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლებს, კერძოდ — გეოგრაფიის მასწავლებლებს, მათი პედაგოგიური მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. გეგტმანის დამსახურება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც არის იგი.

მალწინაყოფიერი შრომა აქვს გაწეული პროფ. გ. გეგტმანს საბიბლიოთეო საქმის ხაზითაც. 1921-1930 წლებში ის იყო ჯერ თბილისის აკადემიური ბიბლიოთეკისა და შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

გ. გეგტმანი დიდ მუშაობას ატარებს სამეცნიერო კადრების მოზადების დარგში. მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილია და ამჟამად იზრდება მრავალი მეცნიერი მუშაკი არა მარტო საქართველოში, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. გ. გეგტმანის სახელი პატივსაცემით სარგებლობს გეოგრაფიისა და ეკონომიური გეოგრაფიის დარგში მომუშავე რსებს-ის, უკრაინისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერთა წრეებში.

საბჭოთა მთავრობამ დააფასა გ. ნ. გეგტმანის ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა. მეცნიერების დარგში დიდმნიშვნელოვანი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისიართა საბჭომ 1941 წელს მას მიანიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.



დოკ. ვლ. ბუჩანაძემ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრი.

საბჭოთა პირველი ანტარქტიკული ექსპედიცია

ბ. ზარალიძე

1957 წლის ივლისში გაიხსნა მესამე — საერთაშორისო გეოფიზიკური წელიწადი, რომელიც 18 ტექსტს გასტანს. ამ დროის განმავლობაში, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, მსოფლიოს მეცნიერები ერთდროულად ჩატარებენ დაკვირვებებს მთელს დედამიწაზე — ლითოსფეროზე, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროზე. ამ გამოკვლევებში დიდ როლს შეასრულებენ საბჭოთა მეცნიერები.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანტარქტიკის კომპლექსურ შესწავლას.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მეექვსე მატერიკი — ანტარქტიკა — აღმოჩენილია რუსეთის ექსპედიციის მიერ თ. ბელინსკაპუტინისა და მ. ლაზარევის ხელმძღვანელობით, 135 წლის წინათ. მას შემდეგ ყინულთა ეს სამეფო მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს, როგორც შესწავლის განსაკუთრებული და განუმეორებელი ობიექტი.

ანტარქტიკა არის დედამიწის სამხრეთ პოლარული ოლქი, რომელიც მე-60 პარალელის სამხრეთით მდებარეობს. ანტარქტიკა ჩვენი პლანეტის „ბუნებრივი მაცივარია“, რომელიც მთლიანად უზარმაზარი სისქის ყინულთაა დაფარული. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ ყინულებს უკავია მთელი მატერიკი (14 მილიონი კვადრატული კილომეტრი). მაშინ როდესაც მთელი დედამიწის ყინულსაფარი არ აღემატება 16 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ფართობს. ყინულებს ეს მასა არასოდეს არ დენდა, არამედ დროდროდ იმსხვრევა და წარმოშობს დიდ მცურავ ყინულებს — აისბერგებს, რომლებიც მილიონობით ტონას იწონიან. მაგალითად, 1937 წელს ადელის მიწათან ნახეს 172 კილომეტრი სიგრძის აისბერგი.

ანტარქტიკა გამოირჩევა ყველაზე მკაცრი კლიმატით მთელს დედამიწაზე. აქ ჰაერის საშუალო ტემპერატურა მინუს 25 გრადუსს აღწევს. ზაფხულში თერმომეტრი ნულს გრადუსზე მაღლა არასოდეს არ ადის, ხოლო ზამთარში ტემპერატურა მინუს 40, ხანდახან მინუს 80 გრადუსს აღწევს. ანტარქტიკა მსოფლიოს „ქარის პოლუსად“ ითვლება. მაგალითად, დენისონის მიწაზე წელიწადში 340 დღე გრივალისებური ქარი ჰქრის 60-100 მეტრის სისწრაფით წაშში.

ანტარქტიკის სანაპიროებზე მივიდა და ბაზების მოწყობას შეუდგა პირველი საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გმირი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ სომოვი, მან ორ წელიწადზე მეტი დაჰყო არქტიკაში მოდრეიფე სადგურზე ჩვენი ჩვენილი მეცნიერები, მათგან დიდ ნაწილს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ექსპედიციის განკარგულებაშია უახლესი ტექნიკა ალტურული საოკეანო დიზელ-ელექტრომავალი „ობი“, რომელიც სპეციალურადაა მოწყობილი ანტარქტიკაში ცურვისათვის. „ობის“ წყალწყვა 12.600 ტონას უდრის, ხოლო სიმძლავრე 6.000 ცხენისძალას. გემი იმდენ საწვავს იტევს, რომ მას შეუძლია შეუჩერებლად გაიაროს 80 ათასი კილომეტრი, ე. ი. ორჯერ შემოიაროს დედამიწას გარშემო ეკვატორით, „ობს“ თან ახლავს დამხმარე გემი „ლენა“.

საბჭოთა სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, მათგან დიდ ნაწილს მონაწილეობა აქვს მიღებული ჩრდილო მოდრეიფე სადგურების მუშაობასა და ვეშაბზოც „სლავას“ რეისებში.

საბჭოთა ექსპედიცია ანტარქტიკაში აწყობს სამ მთავარ სამეცნიერო ბაზას. ერთი იქნება საზღვაო ბაზა „მირნი“ — სანაპიროზე, ორი ბაზა კი მატერიკის სიღრმეში: „ვოსტოკი“ სამხრეთ გეომაგნიტურ პოლუსთან და „სოვეტსკაია“ სამხრეთ გეომაგნიტურ პოლუსის მახლობლად.

ბაზებისა და სადგურების მოწყობაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებენ თვითმფრინავები, ვერტმფრინავები, რომელთა საშუალებით გადახანული იქნება ტვირთი და გადაყვანილი იქნება მეცნიერი მუშაკები სამეცნიერო ბაზებზე. რაც მთავარია „მფრინავი სამეცნიერო სადგურები“ ჩატარებენ დასაწვერ გაფრენებს, მოახდენენ დაკვირვებებს ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებზე მაღალ ფენებში და სხვ.

საბჭოთა სამეცნიერო ექსპედიცია ჩატარებს ფართო მასშტაბის კომპლექსურ დაკვირვებებს, რომელიც პასუხობს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ამოცანებს. ექსპედიციის მთავარი პრობლემატური საკითხებია ანტარქტიკის მეტეოროლოგია და პეროლოგია, მიწის მაგნიტუდში, პოლარული ნათევი (დაკავშირებული მაგნიტურ ქარიშხალთან, რომელიც არაღვევს რადიოკავშირს), მზის რადიაცია, კოსმიური სხივები, ზღვების ოკეანოგრაფიული შესწავლა. გეოფიზიკის თვითუფილი ეს დარგი შეიცავს კიდევ მთელ რიგ სპეციალიზებულ მეცნიერულ დისციპლინებს. გარდა ამისა, საბჭოთა მეცნიერები შეისწავლიან ატმოსფეროს ცირკულაციის ზოგად პრობლემებს, ანტარქტიკის ზღვების ფსკერსა და წყლების მოძრაობის კანონზომიერებას, ყინულების რეჟიმს. მოახდენენ ანტარქტიკის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას და სხვ.

სამეცნიერო მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან, შექმნილია საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. ბარდინის ხელმძღვანელობით.




ანდრო კარბელაშვილი

მთვარე... 384.000 კილომეტრი აშორებს მთვარეს დედამიწიდან. ეს მანძილი რომ რეაქტიულმა თვითმფრინავმა გაიარა, 384 საათი უნდა იფრინოს განუწყვეტილად. აი, როგორ შორს არის მთვარე ადამიანებისაგან. მაგრამ პოროზონტზე მთვარის ყოველი გამოჩენისას, ბევრი ჩვენგანი მაინც ოცნებობს იმ სანატრელ დროზე, როცა ადამიანი პირველად დადგამს ფეხს მთვარის ზედაპირზე.

ვინ არ გაუტაცია ფანტასტიკურ რომანებს სპლანეტათაშორისო მოგზაურობაზე? ვის არ აღძვრია შურის გრძობაც კი იმ გმირებისადმი, რომლებიც კოსმიური რაკეტით მთვარისკენ მიფრინავენ?

სულ უფრო და უფრო ახლოვდება მთვარეზე გაფრენის დღე. მაგრამ სანამ ადამიანი ჩაჯდება რაკეტაში და უსასწვრო კოსმოსში აიჭრება, ჯერ



ასე მოჩანს მთვარის ზედაპირის ნაწილი მძლავრ ტელესკოპში.

მთვარისკენ რადიო რაკეტა გაიგზავნება. ეს იქნება უკანასკნელი „დაზვერვა“, რომლის შემდეგ ადამიანი გადავა „შეტევაზე“.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები ფიქრობენ, რომ მთვარეზე პირველი რაკეტის გაგზავნის დღე კარზეა მომდგარი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ა. ნესმეიანოვმა პირდაპირ განაცხადა: „მეცნიერებმა მიაღწია ისეთ განვითარებას, როცა რეალურია მთვარეზე რაკეტის გაგზავნა“.

დღეს რაკეტები ასეული კილომეტრების სიმაღლეზე აღიან. ერთმა მათგანმა 400 კილომეტრს მიაღწია. რასაკვირველია, კოსმიური თვალსაზრისით ეს ძალიან ცოტაა, — მთვარემდე არსებული მანძილის მხოლოდ ერთი მეათასედი. მაგრამ, მეცნიერებისა და ინჟინერების თვალსაზრისით, ეს არც თუ მცირე მიღწევაა. „საჭიროა მხოლოდ სამჯერ გაიზარდოს სიჩქარე, რომ რაკეტამ მთვარეს მიაღწიოს“, — ამბობენ ისინი. ინჟინრებმა უკვე დასახეს გზები სიჩქარის გაზრდას უზრუნველსაყოფად.

რა იცის ადამიანმა მთვარის შესახებ? როგორ ფიქრობენ კონსტრუქტორები მთვარეზე რაკეტის გაგზავნას?

მთვარეზე ლავირებები უმთავრესად მძლავრი ტელესკოპებით ხდება. დააკვირდით სურათს (1), რომელიც მთვარის ზედაპირის ერთ ნაწილს გვიჩვენებს. მასზე მოჩანს წრიული მთები — ცირკები. ზოგიერთი მათგანის ფართობი ისე დიდია, რომ მის ზედაპირზე პატარა სახელმწიფოც კი შეიძლება მოთავსდეს. მთვარე დაფარულია უამრავი კრატერებით. შემჩნეულია, რომ კრატერები ზოგჯერ ფორმასა და სიღრმეს იცვლიან, ხან კი, რატომღაც სავსებით იკარგებიან მთვარის ზედაპირიდან. ღრმა, შავი უფსკრულიანი დიდი მანძილზეა გაჭიმული. და ყველაფერი ეს, სქელი კოსმიური მტვერითა და ფერფლით არის დაფარული. მთვარეზე არასოდეს არ მოიღის წვიმა, რადგან არ არის ზღვები და ოკეანეები, არასოდეს ქრის ქარი. საბჭოთა ასტრონომებმა დაადგინეს, რომ იქ ატმოსფეროს სიმკვრივე 50.000-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე. ადამიანი მთვარეზე მხოლოდ 10-12 კილოგრამს აიწონის. ფიქრობენ, რომ შესაძლოა მთვარეზე არსებობდეს ქანები, რომლებიც საწვავის ნედლეულად გამოადგება.

თუ კი წინათ მთვარეს ადამიანები მხოლოდ ტელესკოპებით უთვალთვალდებდნენ, ახლა მეცნიერები ცდილობენ ის რადიოს დახმარებითაც გამოიკვლიონ. მართლაც, განა რაიმე შედარება რადიოტალღების სისწრაფეს? 300.000 კილომეტრს გადიან ისინი წაშში. ამიტომ დაფიქრდნენ

საბჭოთა მეცნიერები — შეიძლება თუ არა, მთვარისკენ რადიოტალღების გაგზავნა, იქნებ მთვარემ აირეკლოს ისინი და უკან, დედამიწას დაუბრუნოს რადიოენოს სახით. დიდი მუშაობის შემდეგ, 1946 წლის ერთ მთვარიან ღამეს, რადიოსპეციალისტებმა მძლავრი რადიომპულსი (ხანმოკლე სიგნალი) გაუშვეს მთვარისკენ. 2,5 წამი გავიდა რადიომპულსის გაგზავნიდან და რადიოლოკატორის ეკრანზე სინათლის სხივმა შეითამაშა. ეს ნიშნავდა, რომ რადიოტალღები დაეჯახნენ მთვარის ზედაპირს და ეხოს სახით დედამიწას დაუბრუნდნენ. ასე „შეინო“ პირველად ადამიანი მთვარეს. რადიოტალღებმა ტექნიკის სხვა საშუალებებს გაუსწრეს, მოსწყდნენ დედამიწას და მთვარეს „ესტუმრნენ“. სამყარომ გაიგო ადამიანის არსებობა და ეს ცნობა რადიოტალღამ წაიღო ასობით ათას კილომეტრებზე.

ღრმა, საფუძვლიანი გამოკვლევების შედეგად დამტკიცებულია, რომ მხოლოდ რაკეტულ ძრავს შეუძლია დააკმაყოფილოს ის რთული მოთხოვნები, რასაც სპლანეტათაშორისო ხომალდის ძრავს უყენებენ. მხოლოდ რაკეტა შესძლებს დასძლიოს მიწიერი უსივრცის ძალა, რომელსაც ასე მუდმივად „მიუჯავია“ ადამიანი დედამიწაზე.

რაკეტა რომ დედამიწას მოსწყდეს და მთვარისკენ გაემართოს, მან უნდა განავითაროს უდიდესი სისწრაფე, დაახლოებით 40.000 კილომეტრი საათში. სად არის ასეთი დიდი სიჩქარის „გასაღები“?


ამ სიჩქარის მიღწევა შედეგნილი რაკეტით შეიძლება მოხდეს. შედეგნილი რაკეტა, რამდენიმე რაკეტისაგან არის აწყობილი და თავისებურ „მატარებელს“ წარმოადგენს. ჯერ ერთი მათგანი მუშაობს, ხოლო, როცა საწვავი გამოეღევა, მოსწყდება „მატარებელს“. ახლა, მეორე რაკეტა ამუშავდება და ის მიანიჭებს „მატარებელს“ სიჩქარეს. ასე, რიგრიგობით იმუშავებენ რაკეტები. ბოლოს, უკანასკნელი რაკეტა დარჩება. სწორედ ეს რაკეტა განავითარებს უდიდეს სიჩქარეს და მთვარისკენ გაემართება.

მთვარესთან მიახლოებული რაკეტა შებრუნდება, მისი „კული“ მთვარისკენ მოექცევა და ძრავიდან გამოსული გაზები შეანელებენ მის ვარდნას მთვარის ზედაპირზე. ისე რომ, რაკეტა „კულით“ დაჯდება მთვარეზე (ქვედა სურ.).

ფრენის დროს, რომელიც შეიძლება რამდენიმე საათს გაგრძელდეს, რაკეტის მართვა იწარმოებს დედამიწიდან რადიოთი, რადიობრძანებები საჭირო შემთხვევაში მიმართულებას შეაცვლევინებენ რაკეტას. მაგრამ რა იცის მიწაზე მყოფმა ადამიანმა, თუ რა ხდება რაკეტის გარშემო, როგორ უახლოვდება ის მთვარეს?

მიწიდან რომ ყოველწუთს თვალყურით ადევნონ რაკეტას, მასზე სატელევიზიო კამერები მოეწყობა.

ტელევიზიის ეკრანები ისე შევსდებიან წარმოდგინით, როგორც ქვედა სურათზეა ნაჩვენები. მარცხენა ეკრანზე გამოჩნდება სულ უფრო და უფრო შორს მიმავალი დედამიწა ცისფერი ზღვე




ბით, თვლით დაფარული მწვერვალებით. მარჯვენა ეკრანზე კი — მოახლოებული მთვარის ზედაპირი.

როცა რაკეტა მიიმედ დაშვება მთვარეზე, მის სივარისებურ კორპუსიდან პატარა „ტანკეტა“ გამოცოცდება. დედამიწიდან გაგზავნილი რადიობრძანებების მიხედვით ის იმოგზაურებს მთვარის ზედაპირზე და მასზე მოჭრილი სატელევიზიო კამერები საშუალებას მისცემენ დედამიწაზე მყოფთ დაათვალიერონ მთვარის საიდუმლოებით მოხილი პეიზაჟი. შეიძლება, სატელევიზიო გადმოცემა ფერადი იყოს და ეკრანზე გამოჩნდეს მთვარის ბუნება ნამდვილ, ნატურალურ ფერებში. ბევრ მოულოდნელს დაინახავენ რადიომაყურებლები საუკუნეობით მიუღწეველი მთვარის ზედაპირზე. ალბათ, დაათვალიერებენ მთვარის „ალპებს“, „აპენინებს“ და „კავკასიის მთებს“ (ასე უწოდებენ ასტრონომები მთვარის ზოგიერთ ადგილებს).. ეკრანზე გამოჩნდება მთვარის ისტორიის შესანიშნავი ფურცლები.

ასე აქვთ დღეს წარმოდგენილი მეცნიერებსა და ინჟინრებს მთვარეზე პირველი გაფრენა.

ამას წინათ, მოსკოვში, ავიაციის სახლის დიდ, ნათელ დარბაზში შედგა ასტრონავტიკის სექციის წევრთა სხდომა. ამ სექციის მიზანია ხელი შეუწყოს კოსმიურ გაფრენებს მშვილობიანი მიზნისათვის. სხვა საკითხთა შორის სექციის წევრებმა



რაკეტა მთვარეზე დაშვებისას შებრუნდება და „კულით“ დაშვება.

განიხილეს მთვარეზე რადიოთი მართული რაკეტის გაგზავნის ზოგადი საინტერესო საკითხი.

თუ საბჭოთა მეცნიერები ფიქრობენ, მთვარეზე რაკეტის გაგზავნა სამყაროს შემდგომ შესწავლას დაუკავშირონ, სულ სხვა მიზანი აქვთ ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველ წრეებს. ამიტომ არის, რომ უცხოეთში ნაჩვენებ ერთ-ერთ ფანტასტიკურ კინოფილმში, რომლის სათაურია: „დანიშნულების სადგური მთვარე“, მეცნიერები მიემგზავრებიან მთვარეზე ურანის აღმოსაჩენად... გენერლის ხელმძღვანელობით. ეს გენერალი ეკრანიდან თავხედურად აცხადებს: „გინც მთვარეს ფლობს, ის ფლობს დედამიწას!“

მაინც როდის შეიძლება მოხდეს მთვარეზე რადიოთი მართული რაკეტის გამგზავრება? ამ შეკითხვაზე ჯერჯერობით მეცნიერები და კონსტრუქტორები უსუსტ პასუხს ვერ იძლევიან. მაგრამ ერთი რამ ნათელია, მთვარეზე გაფრენა უახლოესი წლების საქმეა.

და ვინ იცის, იქნებ ამ სტრატეგიის რომელიმე მკითხველს წილად ხვდეს ბედნიერება, მონაწილეობა მიიღოს მექანიკური მწვერავის — რაკეტის შექმნაში. ანდა მკითხველთა შორის აღმოჩნდეს ის ადამიანიც, რომელიც საბჭოთა მეცნიერების დროსა შავი უკუენითი მოსილ კოსმოსში გაატარებს და ტყვიისძირიანი ფენსაცემლებით პირველ ნაბიჯებს გადადგამს საუკუნეობრივი მტვერით დაფარულ მთვარის ზედაპირზე!



ა. ლაქიანი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, ეკვატორის ორივე მხარეს გაფანტულია მრავალრიცხოვანი კუნძულთა სამყარო, რომელსაც პოლინეზიის უწოდებენ (პოლინეზია — ბერძნული სიტყვაა და მრავალ კუნძულს აღნიშნავს). პოლინეზიის კუნძულთაგან უმთავრესია: პაპაის, სამოას, ტონგას, მარკისის, კუკის, აშანაგოვის, ტუამოტუს და ტოკელაუს კუნძულები.

ამ კუნძულთაგან ზოგი ვულკანური წარმოშობისაა, ზოგი კი, მარჯნის კუნძულს, ე. წ. „ატოლს“ წარმოადგენს. პოლინეზიელები, თანამედროვე ჩამორჩენილ ხალხთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ხალხია. ანთროპოლოგიურად ისინი არ მიეკუთვნებიან ადამიანთა არც ერთ სამთავარ „დიდ რასათაგანს“ — ევროპეიდულს, მონგოლოიდულს და ნეგროიდულს, მაგრამ შეიცავენ სამივეს ნიშნებს. პოლინეზიელთა კულტურა უფროსად თვითმყოფი, ორიგინალური და კონტრასტებით აღსავსე. ერთი შეხედვით ისინი განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგანან: ისინი არ იცნობენ მეტალურგიას და კერამიკულ წარმოებას, მათ იარაღს შორის ვერ ვხვდებით მშვილდ-ისარს, მათი ტანსაცმელი ხშირად წინასწარით ამოიწურება. სამაგიეროდ, პოლინეზიელები განსაცვივებელი ოსტატობით ამზადებენ და მდიდარი ორნამენტით ამკობენ ათასგვარ იარაღს ქვისა, ძვლისა, ხისა და ნივრებისაგან; ვირტუოზულად წნავენ კალათებს, სათევზაო ზადებებსა და ჭილიყებს; ზოგიერთ კუნძულზე, ევროპელთა გაცნობამდე, ნიადაგის ხელოვნური რწყვა და განოყიერებაც იცოდნენ.

უბაღლოა პოლინეზიელთა საზღვაო-ისინო ხელოვნება. სახელგანთქმული ბალანსირიანი ნავებით ყოველი მიმართულებით სერავენ ისინი უნაპირო ოკეანეს. შესანიშნავად იცნობენ მის დინებებს, ქარებს. გზას შეუცდომლად იკვლევენ ვარსკვლავების მიხედვით.

მდიდარია პოლინეზიელთა სულიერი კულტურაც. დაუმრეტელია მათი მითოლოგია; ულამაზესი თქმულებები და გადმოცემები ლეგენდარული წინაპრებისა და გმირების შესახებ, რომლებიც თაობიდან-თაობას გადაეცემა, მათი ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს; ისინი ზოგჯერ საშუალებას ვეძლევენ ათეული საუკუნის მანძილზეც კი გავადევინოთ თვლი პოლინეზიელთა თავგადასავალს...

ხმელეთიდან ათასეული კილომეტრებით დაშორებულ, თვალუწვდენელ ოკეანეში გადაკარგულ პოლინეზიის კუნძულების დასახლება შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო.

ამერიკისა და აზიის კონტინენტებს შორის მოქცეულ პოლინეზიის კუნძულებზე ადამიანი ან ამერიკიდან უნდა მისულიყო, ანდა აზიიდან.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით პოლინეზიელთა თავდაპირველი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია უნდა იყოს. არსებობს აგრეთვე პოლინეზიელთა ამერიკული წარმოშობის თეორიაც, რომელთაც დაკავშირებულია უკანასკნელი წლების ერთი უჩვეულო საზღვაო მოგზაურობა.

დიდი ხანია, რაც პოლინეზიელთა და სამხრეთ ამერიკის ინდიელთა (უპირატესად პერუელთა) კულტურას შორის მოულოდნელი მსგავსება შეინიშნეს. გათხრების დროს სამხრეთ ამერიკაში პოლინეზიური ტიპის პირები იქნა ნახული; აღმოჩნდა, რომ პოლინეზიელები ტიპილ კარტოფილს — ბატატს, რომლის სამშობლოც სამხრეთი ამე-

რიკაა, პერუელების მსგავსად „კუმარა“ს უწოდებენ. და ა. შ. ეს ფაქტები მეცნიერთა დიდ ნაწილს აფიქრებინებს, რომ პოლინეზიელებს, ოდესღაც ამერიკის წყნაროკეანურ ნაპირებში-საც უნდა მიეღწიათ და ამერიკასა და პოლინეზიას შორის კულტურული კავშირი დაემყარებინათ. ამავე დროს, ეს მეცნიერები გამოიცხადებენ საწინააღმდეგო შესაძლებლობას, ე. ი. პერუელთა მიერ პოლინეზიამდე მიღწევის შესაძლებლობას, ვინაიდან, ცნობილია, რომ ძველ პერუელებს არ ჰქონიათ მაღალი საზღვაოსნო ხელოვნება, რის გარეშეც წარმოუდგენელია ოკეანეში შორეული მოგზაურობა. ამის შემოწმება გადასწყვიტა ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა თორ ჰეიერდალმა, რომლის აზრითაც პოლინეზიელთა წინაპრებს ძველი პერუელები წარმოადგინდნენ. ეს მისი შეხედულება, როგორც თვითონ წერს, ერთ „მომაკვლინებელ“ გარემოებას წააწყდა. „როგორ შეეძლოთ პერუელებს დეკორატიული ოქროს ათასეული კილომეტრები, ოდესღაც მათი ნაოსნობის ერთადერთი საშუალება პრეისტორიულ ხანაში ბალისის (პოროფანი ხის ჯიშია. ა. ლ.) დიატივი იყო. ჩემთვის არსებობდა ერთადერთი დამამაყოფილებელი პასუხი, ამეგო ასეთივე ტივი და მენახა გადაიტანდა თუ არა იგი ამ მოგზაურობას“ დასძინეს ჰეიერდალი.

ჰეიერდალს ამ ექსპერიმენტალურ მოგზაურობაში სუთი ერთგული მოხალისე შეუერთდა. ერთ-ერთი მათგანის, ინიკისის უშუალო ხელმძღვანელობით, ძველი ნახატებისა და დეტალურ აღწერილობათა მიხედვით, აკვებული იქნა პერუელთა „პრეისტორიული“ ტივი. ეკვატორის ჯუსგლებში მოჭრილი ბალისის ცხრა გვიანტური მორი კანაფის თიკებით გადააბეს, ზედ ბანანის ფოთლებით გადახურული ზამბუკის პატარა ქობი დადგეს, ორი ხის ანძა აღმართეს მოუხეშავი აფრებითურთ, კინოზე ხის გრძელი ნიჩაბი დაამარგეს, და ტივიც მზად იყო.

1947 წლის 28 აპრილს პერუს პორტში კალიაოში ტივიმ აფრები აუშვა და ოკეანეში გავიდა.

პორტში მყოფი მრავალრიცხოვანი გამცილებლები მოგზაურებისა ერთმანეთში ათასგვარ სანაძლეოს სდებდნენ მოგზაურობის შედეგების შესახებ, მაგრამ იმაზე მაინც არაფერი დაობდა, რომ ტივისა და მის ექვს „მეტივეს“ სახარბილო არაფერი მოელოდათ. ზოგნი ამტიკებდნენ, რომ ტივი რამდენიმე დღეში ნაპირზე გაირიყებოდა ანდა სამუდამოდ უკავალდ დაკარგებოდა; ხის მორებს ან სანაპირო ტალღები დაღწეავენ ანდა წყლით გაიჟღირებოდნენ და ოკეანეში შთაინთქებოდნენ, სანამ პოლინეზიამდე ნაჩუკი გზას მაინც გაივლიდნენ. სხვები ამტიკებდნენ, რომ ტივის თიკები ტროპიკული მზისა და ზღვის წყლისათვის შეუფერებელი იყო, გამუდმებული ხახუნისაგან დაწყებოდა და ტივიც ნაწილებად დაშლებოდა. და თუ კი ტივი ყოველივე ამას გადაურჩებოდა, ის მაინც ცხადი იყო, რომ ცურვას ვერ შეძლებდა თავისი პრიმიტიული საჭითა და ანძებით...

პირველ ხანებში სამაოდ გაუჭირდათ ახალბედა მეზღვაურებს (მათგან მხოლოდ ერთმა იცოდა ჩვეულებრივი ნავის მართვა). ზღვის ავადმყოფობაც დაემართათ... მაგრამ დღე და ღამე მორიგეობით, საჭის ნიჩაბთან ჯდომამ და ქარისა და აედრის წინააღმდეგ გა-

ნუწყებულმა ბრძოლამ გამოცდილ მეზღვაურებდა აქცია ისინი.

საკვებად მათ თან ჰქონდათ ცალე-ბული სხვათა შორის ქოქოსის კაკლის, ბატატისა და ბანანის მარაგი. ოკეანეც უხვად გაუმასპინძლა დაუბატიკებელ სტუმრებს. ტივის თიკების ყოველამე ეწვეოდნენ ხოლმე მფრინავი თევზები, სხვებს ანეკითა და ბადით იჭერდნენ; ხშირად ვეებერთელა ზვიგენებს იჭერდნენ, რომლებიც მოგზაურობის განმავლობაში მუდმივად მოსდევდნენ ტივის. ერთხელ ვეშაპ-ზვიგენსაც გადაეყარნენ, ტივზე არჩვეულებრივი აღზარდი ატყდა, მისი კულისი ერთი დარტყმაც კი საბეღამისწერო იქნებოდა მათთვის. შუბებითა და პარპუნებით შეიარაღდნენ. ძლიერად ნატყორცნი პარპუნე თავში მოხვდა ვეშაპ-ზვიგენს. გამჭინვარებულმა გვიანტმა ვატყნა პარპუნე, ვაწყვიტა თოკი და... წყლის ქვეშ მიიშალა.

მოგზაურებს არც სასმელი წყალი შემოჰკლებიათ: მის მარაგს გოგრისა და ლერწმის ჭურჭლებში წვიმის წყლით ერთიორად ავსებდნენ. ზღვისა და წვიმის წყლის ნარევი მარილის მაკურობას უწყდათ. ნედლი თევზისაგან წყურვილის მომკვლეელი წვენი გამოყოფაც ისწავლეს.

თანდათან უახლოვდებოდნენ მიზანს. მოგზაურობის ორმოცდამეხუთე დღეს უკვე გზის ნახევარი იქონდათ გავლილი. გზა კი დიდი იყო პოლინეზიამდე. მისი უახლოესი კუნძული პერუდან 4000 მილითაა დაშორებული (მილი — 1852 მეტრს უდრის).

მოგზაურობის დასრულებამდე ორჯერ მოხდნენ ქარიშხალში. პირველი ერთ დღეს გაგრძელდა, მეორე — კი ხუთს. ვეებერთელა ტალღები აფრებდაშვებულ ტივს ნაფოტივით ათამაშებდნენ. მშვიდობით გადაარჩნენ... ოლიონდ, ზღვამ მოსტაცათ მხიარული თანამგზავრი, უკვე მთასვით გამოცდილი „მეზღვაური“ — მწვანე თუთიყუში.

ოთხმოცდამეცამეტე დღეს მეწამული

ცის ფონზე კუნძულის ლურჯი კონტურები გამოჩნდა. ეს იყო პუკაპუკას ატოლი. მაგრამ ქარმა და დინებამ არ მისცათ ნება, რომ კუნძულს მიდგომოდნენ. კულისტივილით ჩაუარეს გვერდით, 4 მილი დაშორებულ მათი ოცნების საგანს. (ეს პატარა მანძილი ვერ გადალახა ტივიმ, რომელსაც 4000 მილი ჰქონდა გამოვლილი).

რამდენიმე დღის შემდეგ მიადგნენ ტუამოტუს არქიპელაგის კუნძულს — ანგატუსს. მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოხერხდა კუნძულის ირავლივ წყალქვეშა კლდეებს შორის, აზვართებული ტალღებით დაფარულ ვიწრო გასასვლელში შესვლა. მთელ დღეს უშედეგოდ ებრძოდნენ სტიქიონს. ამოვარდა ძლიერი ქარი და ტივი არქიპელაგის შუაგულისაკენ გაიტყა.


ასმერთე დღეს ტივი აღმოჩნდა დაუსახლებელი ატოლის — რარიოას წინ. ქარი არჩვეულებრივით სისწრაფით მიაქანებდა მას კუნძულისაკენ. მოქცევის ტალღამ დაღწეა ტივის „გემბანი“, დააქცია ზამბუკის ქობი, ასანთის ღერსავით გადატყნა ანძებო და ნიჩაბი; შემდეგ პაერში აიტაცა და კუნძულზე მიავლო. მოგზაურები ტივიდან გადმობტენ და ქოქოსის პალმებით დაფარულ ხმელეთს შეაფარეს თავი.

ერთი კვირის შემდეგ პოლინეზიელებმა, დაწინებული კოცონის მიხედვით, მონახეს ისინი და იქვე ყურეში მშვიდად მოტივტივე მათი შემუსრული „სომალდი“.

ასე დასრულდა ეს საინტერესო მოგზაურობა ამერიკიდან პოლინეზიამდე. ტივმა 101 დღეს დაჰყო ოკეანეში და ამ ხნის განმავლობაში 4300 მილი გაცურა.

მოგზაურობამ დადასტურა, რომ უკვე უძველეს ხანებში პოლინეზიასა და ამერიკას შორის არ არსებობდა დაუძლეველი სივრცე წყნარი ოკეანის სახით, და რომ მისი გადაცურვა შეეძლოთ ძველ პერუელებსაც კი, თავისი ტივებით. მაგრამ ოდესღაც პერუელებმა მართლაც იმოგზაურეს თუ არა პოლინეზიის კუნძულებამდე, და მხოლოდ ამგვარად დამყარდა კავშირი პოლინეზიასა და ამერიკას შორის, ამის საბოლოო დადგენა მომავალი კვლევების საქმეა.





ს ე თ ს ა რ თ უ ლ ი ა ნ ი მ ბ ა

ჩრდილოეთში, ქალაქ მურმანსკის მახლობლად, კუნძულ კილდინზე მდებარეობს პატარა ტბა, რომელსაც მოგილოე ეწოდება. ტბა ოდესღაც ზღვას გამოეყო მიწაქვეითი. მისი ფართობი 0,1 კვადრატული კილომეტრია, სიღრმე 17 მეტრს არ აღემატება. ეს პატარა ტბა მსოფლიო მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც უნიკუმი, როგორც თავისებური ბიოფიზიკური პარადოქსი.

კუნძული კილდინი ქვიანია, მცენარეულ სფერას მოკლებული. ტბის წყალში გამოირჩევა სართულები, თვითნებურ სართულს თავისი ბინადარი გააჩნია. ქვედა სართულში, ფსკერთან, წყალი გაუდენილია გოგირდწყალბადის მომწამვლელი გაზით. აქ მხოლოდ ანაერობი-ბაქტერიები, რომლებსაც შეუძლიათ უფანგბადოდ იარსებონ. სხვა ცოცხალი არსება ტბაში არ არის.

მეორე სართულში წყალს ალუმინისფერი აქვს. ამ ფერს წყალს მეწამული ბაქტერიები აძლევენ. ეს ბაქტერიები ცოცხალ ფარს წარმოადგენენ და შთანთქავენ ქვედა სართულიდან ამომავალ გოგირდწყალბადს. რომ არ არსებობდეს მეწამულბაქტერიებიანი წყლის ეს ფენა, მაშინ გოგირდწყალბადი თავისუფლად ავიდოდა ზედა ფენებში და ყოველგვარი სიცოცხლე მოიხიბოდა.

მეოთხე სართულში მომლაშო წყალია. აქ ბინადრობენ მტკნარი წყლის თევზები და ზღვის ორგანიზმები, რომლებიც ადვილად იტანენ მომლაშო წყალს. ასეთებია მეღვებე და ზოგიერთი კიბოსნაირი.

ბოლოს, ზედა ანუ მეხუთე სართულის ექვსი მეტრი სიღრმის ფენა მთლიანად მტკნარი წყლისაგან შედგება, აქაა მტკნარი წყლის თევზებისა და ორგანიზმების სამეფო, რომლის მსგავსიც ვხვდებოდა თითქმის ყველა მტკნარ ტბასა და მდინარეებში. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე და მეხუთე სართულს შორის ისეთი დიდი განსხვავება არ არის, როგორც სხვა სართულებს შორის.

რით აიხსნება ტბის ასეთი სართულებად დაყოფა? საბჭოთა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტბა მოგილოე ზღვის ნაწილია. ზღვამ უკან რომ დაიხია, ამოქვაბულში დარჩა ზღვის მლაშე წყალი ისეთივე ორგანიზმებით, როგორც ზღვაშია. შემდეგ კი კილდინის კუნძული 60 მეტრი სიგანის ხმელეთის ზოლით გამოეყო ზღვას, მაგრამ მიმოქცევის დროს ზღვის წყალი აღწევს და ავსებს ტბას. ასეთი ნარჩენი ტბები, როგორც წესი, შრება, მაგრამ ტბა მოგილოე ათასზე მეტი წელია არსებობს და კვლავაც იარსებებს. ზღვისა და ტბის წყლის გაცვლა-გამოცვლის გამო მესამე სართულის წყალი სულ ივსება და იქნება ხელშემწყობი პირობები ცოცხალ ორგანიზმების არსებობისათვის.

ტბის დაყოფა სართულებად მეცნიერულად დასაბუთებულია. მლაშე, უფრო მძიმე, ქვევით ჩადის, ხოლო მტკნარი, უფრო მსუბუქი, ზევით ექცევა; ამასთანავე ისინი ერთმანეთს არ შეერევიან, მით უმეტეს, რომ მტკნარ წყალს ტბა დებულბს წვიმებისა და თოვლის დნობის შედეგად.

საზომოდ მორთული ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის თეატრის დარბაზი ვერ იტევდა მაყურებლებს. სხვა სადამოებთან განსხვავებით იმ დღეს აქ დიდებთან ერთად თავი მოეყარათ მოსწავლეებს, ყანაში გაჭრეული ყაყაროებით მოჩანდნენ წითელყელსახვევიანი პიონერები. მათ პატარა გულებს მოეტანა დიდი სიხარული და საუკეთესო სურვილები თავიანთი საყვარელი მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრებისათვის, რომელნიც თავისი არსებობის 25 წლისთავს ზეიმობდნენ.

აქ, თეატრის თეატრის სცენაზე, საიდანაც ამ ცოტა ხნის წინ ასე მხურვალედ გაისმოდა მისაღმების გულწრფელი სიტყვები დავაქცებულ თეატრების მიმართ, აიღვა ფეხი მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა, აქ უჩვენა მან მაყურებელს თავისი პირველი სპექტაკლი „ფრიც ბაუერი“.

პირველივე სპექტაკლმა დიდი გამოამაურობა გამოიწვია ბავშვებში. მსახიობი მ. ერგნელი, რომელმაც მაშინ ამ სპექტაკლში გამკეცი — ფრაუ ბიულტერის როლი შეასრულა, იძულებული გახდა წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ჩუმად გაპარულიყო სახლში, რადგან აღმოთებული პატარა მაყურებლები დიდხანს იდგნენ ქუჩაში და ემუქრებოდნენ ფრაუ ბიულტერს.

„ფრიც ბაუერის“ წარმატებამ თეატრს მოუპოვა არსებობის უფლება. პირველი სპექტაკლის შემდეგ თეატრმა მოამზადა და განახორციელა ბევრი საინტერესო დადგმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერებაზე, რომელიც მოეწყო მოსკოვში 1940 წელს, ქართული თეატრი წარსდგა სპექტაკლებით: ს. მთვარაძის „სურამის ციხე“ და გ. ნახუცარიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“. ამ სპექტაკლებმა ყიუურის მოწონება დაიმსახურა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თეატრმა არა ერთი მაღალმხატვრული და პატრიოტული სპექტაკლი შექმნა. თეატრის კოლექტივი ომის შემდეგაც განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობას.

ქართული სცენის ღვაწლმოსილი ოსტატების — გ. კუბარავილის, თ. თვალაშვილის, გ. დარისპანაშვილის, ვ. არეშიძის, ნ. ხორაჯას და სხვათა გვერდით მუშაობენ და ნორჩი მაყურებლის სიყვარულით სარგებლობენ ნიჭიერი და კარგი სცენური მონაცემების მქონე ახალგაზრდა მსახიობები: ლ. ძიგრაშვილი, ე. გაგლოშვილი, მ. ქლენტი, გ. სიხარულიძე რ. თავართქილაძე, გ. რევაზიშვილი, ა. კიკალაშვილი, დ. ძნელაძე, ლ. ფერაძე და სხვები.

მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს ლ. კავანოვიჩის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი, თეატრის უძველესი თანამშრომლები — დირექტორი კ. ვაისურმანი, მთავარი რეჟისორი ნ. მარშაკი და სხვები ახლაც სიახლოვეთი იგონებენ, თუ რა დიდი წარმატება ჰქონდა პირველ სპექტაკლს — „პაიავატას“.

პირველ წლებში ბავშვები თეატრიდან დაუყოფიარო შეთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ „ალტაელი რობინზონების“, „ფრიც ბაუერის“, „ავთქების“ და სხვა პიესების ნახვის დროს.

თეატრმა მიზნად დაისახა მაყურებლისათვის გაცნო რუსი და უცხოელი კლასიკოსების — შექსპირის, ბუშკინის, შილერის, გოგოლის, ფონვიზინის პიესები. რეჟისორებმა მ. მარშაკმა და ა. სმირანიანმა მაყურებელს გააცნეს ქართული ზღაპრების მოტივებზე დაწერილი გ. ნახუცარიშვილის საინტერესო და მიმოხილველი ნაწარმოებები „კომლე“ და „ნაცარქექია“. დაიღვა, აგრეთვე, ა. სუმბათაშვილის „ალაღატი“ და ა. წერეთლის „პატარა კახი“. ამ ნაწარმოებებმა ნათელი წარმოდგენა შეუქმნეს მოზარდ მაყურებელს ქართველი ხალხის გმირულ წარსულზე.

სწორად მოიქცა თეატრის ხელმძღვანელობა, როცა რეპერტუარში დიდი ადგილი დაუთმო ჩვენი გმირული დღეების ამსახველ პიესებს. ასეთი სპექტაკლები იყო „ახალგაზრდა გეარდია“, „პოლკის შვილობილი“, „ჯარისკაცი ფრიცტიდან ბრუნდებოდა“, „თეორად მოჩანს აფრა ეული“, ვ. გუმბარევის „პავლეკ მორიზოვი“ და სხვ.

სცენის გამოცდილი, დამსახურებული ოსტატები თ. ბელენკო, მ. ბუბუთეიშვილი, ჩ. კიროვა, ა. ბარსანოვა და სხვები, აგრეთვე, ახალგაზრდა მხატვრები დ. ნოღია, თ. სამსონაძე, რეჟისორი მ. გიჟიმყურელი, თეატრის მხატვრული და ტექნიკური პერსონალის მიერ შემაღვენლობა მალ-ონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ ბავშვებს — ჩვენი ცხოვრების ყვაილებს მისცენ მაღალი გემოვნებით შექმნილი სპექტაკლები.

25 წლის გამოცდილებით შეიარაღებული, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების მუშაკები იბრძვიან ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ალ. ივანიძე

ფოტო ო. თ. თურქიასი

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის მაულ-კამეოლის კომბინატში. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა.
მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: ციხისძირი. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა.

რედაქტორი ზრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.
ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91. | შპსი ვ მ ა ნ. | გარეკანი და ჩანართი გვერდებში დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II 56 წ. გამომც. № 1. ქალ. ზომა 70x108/8. ნაბეჭდი ფურც. 31/2. ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 12 უმ 00529

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



სახე-კარი



იუხიჯარები

მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად ითვლება გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი-კომედია „კომბლე“. კომედიის მთავარი გმირის კომბლეს სახე იზიდავს ბავშვებს, რადგან იგი პირდაპირი, სიმართლის მოყვარული, მშრომელი და ალალი გლეხია. კომბლე ამარცხებს გაიძვერა ვაჭარს, მატყუარა მამას, უსამართლო მეფეს და გახარებული ბრუნდება შინ.

სურათზე: გამარჯვებული კომბლე (რესპ. დამსახ. არტ. ვ. არეშიძე) თავის სატრფოსთან — მარინესთან (მსახ. ე. ჩაჩავა) ერთად.

— შენა დაქორწინება გადაწყვეტილია...
— მამიკო, მამიკო, ნუ მღუპავ, მე არ მიყვარს თავადი...
ახეთი დილოგია ნ. ფილკოვის პიესის „დუბროვსკის“ ამ სცენაში. პიესა დაწერილია ა. პუშკინის ნაწარმოების მიხედვით



ნორჩი მკურნებლის უდიდესი სიყვარულით სარგებლობს ვ. დარასელის „კიკვიძე“, რომელიც გადმოგვცემს „ქართველი ჩააქვის“, სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირის, ვასილ კიკვიძის საბრძოლო ამბებს.
სურათზე: სცენა ქართული თეატრის სპექტაკლიდან „კიკვიძე“.




„ცრუ რიბაკოვი“, — ასე ეძახიან ი. გუსევის პიესის „რიბაკოვის შვილის“ გმირს. ქურდაცაცა ბიქს, რომელიც თავს ასაღებდა სამოქალაქო ომის გმირის — რიბაკოვის შვილად. სურათზე: ცრუ რიბაკოვი (დამსახურებული არტისტი ა. იულინი) მილიციაში.



მოწვალე, ლმობიერი, სათნო ხასიათის მოხუცი, — ასე დაგვიხატა მეფე ალტო-უმში ფრ. შილერმა თავის პიესაში „პრინცესა ტურანდოტი“. ალტოუმის ბუნებას საუკეთესოდ გადმოგვცემს ნიჭიერი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისანაშვილი.

ვ. კასტილიოვისა და მ. ლვოვსკის კომედიის „უჩინარი დიშკას“ მთავარი გმირი დიშა (რესპ. დამსახ. არტ. რ. კლიეროვა) დარწმუნებულია, როცა ქული მახურავს, მაშინ ვერაინ დამინახავსო.

— ახლა მხნდეთ? — ეუბნება იგი მოხუც პაპს და ენას უყოფს
— არც მინდა დავინახო! — უბრაზდება მას პაპა (რესპ. დამსახ. არტ. ა. იულინი)
— ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ვერაინ გხედავს? — ეუბნება ვასია (რესპ. დამსახ. არტ. ბუბუთიშვილი).



ბ. 8 2/30

ეროვნული
ბიბლიოთეკა

